(Патари: мужики не спали в кроватях, а на «патари», который строили из кирпичей или камней, который использовали и как место для сидения).

It is obvious that such a comment, rather than expand the bank information on the texts translated in point raised by the basic function of the referenced object, leads the reader of the target language to false images and false cultural associations.

To conclude our work we consider rather incorrect use texts of Russian literature «for wide consumption» in the form of specific translations in the majority. They don't help gratifying targets cross-cultural dialogue through the teaching of literature.

We have proposed the use of texts translated literature reviews detail to cover gaps in understanding and in particular with reference to cultural information. So, it would be possible to circumvent the barriers of «patridognosia»¹ that they are constituted and interweaved by the ethno-cultural concepts of Russian-cultural society, and which are made with corresponding specific vocabulary.

References:

1. **Akritopoulos A. (2004).** «Intercultural education and literature.» Makednos Winter.
2. **Ampatzopoulou-Fr. (2000).** «Literary translation in Greece. The writing and torment. Issues literary representation.» Athens: Patakis.
<http://www.auth.gr/virtualschool>
3. **Batsalia-John - Sella-Mazi El (1994).** «Linguistic theory and approach to the teaching of translation.» Corfu: Ionian University.
4. **Connolly, D. (1998) a.** «The (inter) invisibility of the translator.» TO VIMA 08/16/1998 (V05).
5. **Connolly, D. (1998) b.** «Literary translation: what is the theory?» Workshop: The language of literature and language translation, Thessaloniki, Greek Language Centre.
6. **Elytis, O. (1976).** «Second writing.» Athens: Ikaros.
7. **Fridaki-Ef.-Aravanis Ef.- Raftopoulou-Ag (2004).** «The literature in the service of growing intercultural awareness.» http://www.pee.gr/e25_2_04
8. **Hamburg D. (1994).** «Education for Conflict Resolution». Extract from the Annual Report 1994, Carnegie Corporation of New York.
9. **Laying.** Life-texts (2002). «Language, Literature and School. A proposal for instructional use.» v.4, p.52-53. Laboratory of Comparative Literature.
10. **Ioannatou, Associate (2000).** «Modern European Literature.» Topics Education, v.4.
11. **Kagialis, T. (1999).** «The European literature and the teaching of” communication to the scientific meeting» on “The teaching of European literature in Secondary Education”, 8-9 October 1999.
12. **Kehagioglou, G. (1998).** «Greek translations of the 18th century: Post-dative or treacherous. Faithful and unfaithful ugly and beautiful.» Conference Proceedings: “The Language of Literature and Language Translation.” Thessaloniki: Greek Language Centre.
- Krieger M. (1996).** «Everyday language, literary language, and the problem of translation». Surfaces Vol. VI.101 (v.1.OA-5/8/1996)
13. **Krimbas, P. (2008).** «Phraseologisms of Russian literary language and their performance in the new Greek». Athens: GREGORY
14. **Paschalidis, G. (1999).** «General principles of a new program for the teaching of literature» in: "Literature and Education." Ed. B. Apostolidou-El. Hodolidou. Athens: Typothito, G. Dardanos.
15. **Pissalidis B. (2004).** «Interculturalism and reason in education. A proposal for intercultural teaching» in: INTERCULTURAL EDUCATION-GREEK A SECOND OR FOREIGN LANGUAGE, University of Patras, Department of Primary Education Patras University of Patras, Department of Primary Education, t.II.
16. **Robinson D. (1991).** «The Translators Turn». Baltimore & London: The Johns Hopkins University Press.

¹ «patridognosia»: the importance of results from both synthetic as follows *patrida (homeland)*: anything that connects the individual members of a nation, the native soil and common heritage, and the members themselves of all, the nation: Babinotis, 2002: 1358 *gnosi (knowledge)*: representations formed through sensory and cognitive processing of their data, what one knows about the world and things: Babinotis, 2002: 431

17. **Sella-Mazi-El (1996) a.** «Ideologies, meanings and translation»: the “Strong” and “weak” languages in the European Union. Aspects of linguistic hegemonism. Proceedings of the conference (Thessaloniki, April 25, 1996). Thessaloniki: Greek Language Centre. Ed. A.-F. Christidis. Vol. B, s.855-864.
18. **Sella-Mazi-El (1996) b.** «Translation as a means to support» weak "languages" in the volume: "Strong-Patients' languages in the European Union. Aspects of linguistic hegemonism. Thessaloniki: Greek Language Centre.
19. **Snell-Hornby, M. (1988).** «Translation studies as an independent discipline», Translation Studies. An Integrated Approach, John Benjamin: Amsterdam: 7-37
20. **Tsoutsoura M. (1999).** «The pitfalls of translation.» To Vima.
21. **Jones, F.R. (1989).** «On aboriginal suffrance: A process model of poetic translating.» Target 1 (2): 685-689.
22. **Vayenas, N. (1989).** «Translation as a prototype. Poetry and Translation». Athens: time.
23. **Vassiliadis, B. (1999).** «Anton Chekhov, Artwork (B6). Show e-file.» Communication at scientific meetings: The teaching of European literature in Secondary Education (Athens, 8-9 October 1999) and: The teaching of European literature in high school: a research program (Thessaloniki, 14 December 1999).
24. **Yongfang H. (2000).** «Sociosemiotic approach, translation of fiction». Translation Journal, vol. 4, No 4.

მარია დიმასი, ელეფსერიოს ქარაციდისი

კულტურული ელემენტების დაკარგვა ან შენახვა/შენარჩუნება ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმანში: რუსული ლიტერატურის წიგნები საბერძნეთის საშუალო განათლების სისტემაში.

რეზიუმე

ზოგადი თარგმანი და კერძოდ ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმანი ძალიან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. თეორიის და პრაქტიკის კავშირი ლიტერატურულ თარგმანში ყოველთვის პრობლემატიური იყო. კავშირი ლიტერატურასა და კულტურას შორის უღაოა. ის გარკვეულ გავლენას ახდენს თარგმანზე.

Мария Димаси, Элефсериос Каратсидис

Потеря или сохранение культурных элементов в переводе литературных произведений: книги по русской литературе для преподавания литературы в средних школах Греции

Резюме

Общий перевод, в частности перевод литературных произведений представляет собой очень важный вопрос. Связь теории и практики в литературном переводе всегда являлась проблематичной. Связь между литературой и культурой является неоспоримой и оказывает влияние на перевод.



თამარ მერაბიშვილი
(საქართველო)

კომუნიკატივისტიკა, როგორც ლინგვისტიკის მიმართულება

კომუნიკატივისტიკა ფუნდამენტურ-თეორიული დისციპლინაა, რომელიც იკვლევს ინფორმაციის მიღება-გადაცემისა და აღქმის საკითხს. ამ გლობალურ რეალიას მიმოიხილავს როგორც საბუნებისმეტყველო (მაგ.: ინფორმატიკა, ლოგიკა და ა.შ.), ისე სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვადასხვა დარგი. ლინგვისტიკაში კომუნიკაციის მექანიზმები შეისწავლება სამეტყველო აქტების თეორიაში, დისკურსის ანალიზის თეორიასა და უცხოური სწავლების მეთოდოლოგიაში.

კომუნიკაციის აქტი მუდამ დაკავშირებულია ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების რამე კონკრეტულ აუცილებლობასთან, კომუნიკანტთა განსხვავებულ ურთიერთობასა და ფსიქოლოგიურ განწყობასთან. კომუნიკაციის ყოველი აქტი შეიცავს პრაგმატულ მიმართებას, რომელიც მიმართულია ამ აქტში მონაწილე პარტნიორზე. წარმატებული კომუნიკაციისათვის ენობრივი კომპეტენცია აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისია.

სამეტყველო აქტების თეორია ფართოვდება ტექსტ-ლინგვისტიკის თეორიამდე, ღვივდება ინტერტექსტისა და დისკურსის ანალიზის და ვერბალური კომუნიკაციების თეორიებში, რაც ილუსტრირებს თანამედროვე ლინგვისტიკის ინტერდისციპლინარულ ხასიათს, როგორც შიდა ლინგვისტურ, აგრეთვე მთლიან ანთროპოცენტრულ მეცნიერებათა წრეში.

დისკურსი რთული კომუნიკაციური მოვლენაა, რომელიც შეიცავს ექსტრა-ლინგვისტურ ფაქტორებს (ცოდნა სამყაროს შესახებ, აზროვნება, ინტენცია).

თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში დისკურსის განსაზღვრება სხვადასხვაგვარია. ინგლისური ენის ლექსიკონი დისკურსს განსაზღვრავს, როგორც თემატურად ურთიერთდაკავშირებული ტექსტების ერთობლიობას. ლოგიკაში იგი (დისკურსი) გაიგება, როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა.

ზოგადად დისკურსი გაგებულია უფრო ფართოდ – როგორც ყველაფერი, რაც ითქმება და იწერება (სამეტყველო ქმედება, აქტი).

კომუნიკაციაში ტექსტს უწოდებენ კომუნიკაციის ინტროვერტულ ფიგურას, დისკურს კი – ექსტრავერტულ ფიგურას.

დისკურსში, როგორც ერთიან ორგანიზმში, ერთდროულად ხორციელდება არა მარტო ენის, არამედ ენობრივი აზროვნების ყველაზე მრავალგვარი ასპექტები. კლასიკურ ფილოსოფიაში დისკურსული აზროვნება, რომელიც ცნებათა ან მსჯელობათა თანმიმდევრობით იშლება, უპირისპირდება ინტუიციურ აზროვნებას, რომელიც, ყოველგვარი თანმიმდევრული გაშლის გარეშე, ერთბაშად მოიხელთებს მთელს. გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ტერმინები „დისკურსი“ და „ტექსტი“ ევროპულ ლინგვისტიკაში პარალელურად იხმარებოდა.

პრინციპული განსხვავებების დანახვა, დისკურსისა და ტექსტის ცნებების გამიჯვნა დაკავშირებულია ტ.ა. ვან დეიკის დისკურსული ანალიზის სკოლასთან.

დისკურსი განსხვავებული პრინციპული მიდგომით ვითარდება, როგორც ლინგვისტური პრაგმატიკის მიმართულება.

იგი ტექსტის პრაგმატიზებული ფორმაა, მისი კომუნიკაციური მარკირებაა, რისი შესწავლაც შეუძლებელია კომუნიკაციის სუბიექტისა და მისი ადრესატის ფაქტორებისგან განყენებულად, იმის გაუთვალისწინებლად, თუ რამ განაპირობა კომუნიკაციის აქტი, როგორი კომუნიკაციური ინტენცია მართავს ამ აქტს და ვინაა

მისი ადრესატი. პრაგმატიზებული ტექსტის პირობათა გამოვლენა კი, თავის მხრივ, მოითხოვს ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებას, რადგანაც მათში თავს იყრის როგორც საკუთრივ ენობრივი, ასევე გარეენობრივი ასპექტები.

გარდა ამისა, თანამედროვე სამყაროში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლის გაფართოებასა და ზრდასთან ერთად გაძლიერდა საზოგადოებრივი აზრის პოლიტიკური ზემოქმედება, საზოგადოებრივი მასების პოლიტიზირება, კერძოდ კი, პოლიტიკური დისკურსი, რომელიც ხდება ადამიანის ინფორმაციული ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ამიტომ პოლიტიკური დისკურსის ანალიზი აუცილებელია მისი შინაგანი კონცეპტის შესწავლისათვის, მისი ჭეშმარიტი ინტენციისათვის (ანუ იმ მასალის შესწავლისათვის, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკური მოღვაწის სიტყვისა და ინტენციის გაგებას), რომელიც აისახება მის საჯარო გამონათქვამებში.

პოლიტიკური დისკურსის კოგნიტური ასპექტების კვლევის პრობლემა წარმოადგენს ენის კოგნიტური თეორიის ერთ-ერთ პრობლემას. პოლიტიკური კომუნიკაციის მკვლევარმა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იცოდეს, რამდენად სწორად ესმით ერთმანეთის მოსაუბრესა და მსმენელს. გაგებაზე ორიენტაცია ფუნდამენტური პირობაა ადამიანური ურთიერთობისა. ამასთანავე, წარმატებული დიალოგი წარმართება არა მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანები ცდილობენ, გაიგონ სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმების მნიშვნელობა პოლიტიკურ გამონათქვამებში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მაშინ, როცა ისინი კონცენტრირებულნი არიან სინამდვილის ფიგურაზე, რომლის სფეროშიც და რომლის საფუძველზეც არსებობს კომუნიკაცია ტექსტზე, რომელიც უზრუნველყოფს მის შინაარსობრივ-ენობრივ მხარეს, ასევე დისკურსზე, რომელიც უზრუნველყოფს შინაარსობრივ-მეტყველებით საფუძველს, ვერბალურსა და არავერბალურ კომპონენტებთან ერთად. კომუნიკაციის პრობლემის გადაწყვეტა ხორციელდება პოლიტიკური დისკურსის ანალიზის საფუძველზე“ ანუ მის კოგნიტურ ასპექტებზე დაკვირვებით, რამეთუ დისკურსი გარკვეული კანონზომიერებით მოწესრიგებული მეტყველებაა.

დისკურსის ზუსტი და საყოველთაოდ აღიარებული განმარტება, მისი გამოყენების ყველა შემთხვევის მომცველი, არ არსებობს. ეს ცნება მოდიფიკაციას ახდენს და სახეს უცვლის ტრადიციულ წარმოდგენას სიტყვაზე, ტექსტზე, სტილზე და ენაზეც კი.

ყველაზე მკაფიოდ გამოიყოფა ტერმინ „დისკურსის“ გამოყენების სამი ძირითადი კლასი, გაჯერებული სხვადასხვა ნაციონალური ტრადიციითა და კონკრეტული ავტორების წვლილით. ამ ტერმინის საკუთრივ ლინგვისტური მოხმარება ამერიკელი ლინგვისტის ზ. ჰარისის დისკურს-ანალიზის სტატიის სახელწოდებაში მოხდა. ტერმინ „დისკურსის“ ლინგვისტური გამოყენება ძალზე სხვადასხვაგვარია, მაგრამ მთლიანობაში შეიმჩნევა მეტყველების ტრადიციული გაგების, ტექსტისა და დიალოგის დაზუსტებისა და განვითარების მცდელობა. ერთი მხრივ, დისკურსი მოიაზრება, როგორც სიტყვა, შერწყმული კომუნიკაციურ სიტუაციასთან და ამის მეშვეობით, როგორც კატეგორია, უფრო ნათლად გამოხატული სოციალური შინაარსით ინდივიდის სამეტყველო მოღვაწეობასთან შედარებით, დისკურსი – ეს ფენომენია ცხოვრებაში ჩაძირული.

მეორე მხრივ, ანალიზის რეალური პრაქტიკა შერწყმულია კომუნიკაციური სიტუაციების ჩარჩოებში ინფორმაციის მოძრაობის კანონზომიერებების გამოკვლევებთან, განხორციელებული რეპლიკების ცვლით, რითაც ხდება დიალოგური ურთიერთქმედების ზოგიერთი სტრუქტურის რეალური აღწერა, რაც აგრძელებს სრულ სტრუქტურულ ხაზს. ამასთანავე, ხაზგასმით აღინიშნება დისკურსის დინა-

მიკური ხასიათი, რაც კეთდება დისკურსის მცნებასა და ტექსტზე, როგორც სტატიკურ სტრუქტურაზე ტრადიციული წარმოდგენის განსასხვავებლად. ტერმინ „დისკურსის“ გაგების პირველი კლასი, უმთავრესად, წარმოდგენილია ინგლისურენოვან მეცნიერულ ტრადიციებში.

ტერმინ „დისკურსის“ გამოყენების მეორე კლასი უკანასკნელ წლებში გამოსულია მეცნიერების ჩარჩოებიდან და გეხვდება პოპულარულ პუბლიცისტიკაში, რომელიც ფრანგი სტრუქტურალისტებიდან და პოსტსტრუქტურალისტებიდან მოდის, უპირველეს ყოვლისა კი – მ. ფუკოდან. ამ გამოყენების უკან შეიმჩნევა სწრაფვა სტილის ტრადიციული გაგების („სტილი – ეს ადამიანია“) და ინდივიდუალური ენის დახუსტებისაკენ.

ამგვარად, „დისკურსი“ აღწერს საუბრის ხერხს და გააჩნია განსაზღვრება – როგორი ან ვისი დისკურსი. მკვლევრებს აინტერესებთ არა დისკური მთლიანობაში, არამედ მისი კონკრეტული სხვადასხვაობები, მოცემული პარამეტრების ფართო კრებულებით: სუფთა ენობრივი განმასხვავებელი ნიშნებით (იმ საზღვრებში, რომლებშიც ისინი შეიძლება იყოს მკაფიოდ იდენტიფიცირებულები), სტილისტური სპეციფიკით (რასაც ბევრად განსაზღვრავს რაოდენობრივი ტენდენციები ენობრივი საშუალებების გამოყენებისას), აგრეთვე თემატიკის სპეციფიკით, დარწმუნების სისტემებით, განსჯის მეთოდებით და ა.შ. (ის, რაზეც საუბრობს დისკურსის ავტორი და ისიც, როგორ საუბრობს იგი ამაზე). ამ გაგებით დისკურსი – ეს არის სტილისტური სპეციფიკა პლუს მის უკან მდგარი იდეოლოგია. უფრო მეტიც, მიაჩნიათ, რომ საუბრის ხერხი (საშუალება) ბევრად განსაზღვრავს და ქმნის თვით საგნობრივ სფეროს დისკურსისათვის, აგრეთვე მის შესატყვის სოციალურ ინსტიტუციებს. ამგვარი გაგება ასევე წარმოადგენს სოციოლოგიურს უმაღლეს ხარისხში. არსებითად, განსაზღვრება – როგორი ან ვისი დისკურსი – შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მითითება სოციალური ქმედების სუბიექტის კომუნიკაციურ თავისებურებაზე. ამასთანავე, ეს სუბიექტი შეიძლება იყოს კონკრეტული, ჯგუფური, აბსტრაქტულიც კი.

ტერმინ დისკურსის მესამე გამოყენება დაკავშირებულია გერმანელი ფილოსოფოსის და სოციოლოგის ი. ხაბერმასის სახელთან. იგი შეიძლება ჩაითვალოს სახეობითად წინამდებარე გაგებებთან მიმართებაში, მაგრამ გააჩნია მნიშვნელოვანი სპეციფიკა. მესამე გაგებაში დისკურსად იწოდება კომუნიკაციის განსაკუთრებული იდეალური სახეობა, განხორციელებული შესაძლებლობების მაქსიმალური დაშორებით სოციალური რეალობიდან, ტრადიციებიდან, კომუნიკაციური რუტინიდან და ა.შ. გააჩნია კომუნიკაციის მონაწილეთა შეხედულებებისა და ქმედების კრიტიკული განხილვისა და დასაბუთების მიზანი. ამგვარად, ჩამოთვლილი სამი მაკროგაგება და მათი სხვადასხვა სახეობა ურთიერთქმედებს ერთმანეთთან.

ლიტერატურა:

1. Бенвенист Э., *Общая лингвистика*, М. Прогресс. 1974.
2. Деик Т.А., Ван., *Язык Познание Коммуникация*. М. Прогресс. 1989.
3. Van Dijk., Teun A., *Ideology and Discourse*. www.discourse-in-society.org.
4. Safire W., *On Language* -Times Books. 1981.
5. ოშიაძე ს., ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება (სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი, 2006.

Tamar Merabishvili
Communicativistics as a direction of contemporary Linguistics
Summary

The article deals with communicativistics as a phenomenon. As a pragmatic discipline it researches communicative problems. The article emphasizes discourse and its usage in contemporary humanitarian sciences, however discourse is a regulatory smooth speech.

Communicative problems are solved on the basis of political discourse analysis, observing its cognitive aspects.

Тамар Мерабишвили
Коммуникативистика как направление современной лингвистики
Резюме

В статье приводятся две точки зрения понимания коммуникативистики в современном языкознании. Как прагматическая дисциплина коммуникативистика изучает механизмы и закономерности речевого поведения коммуникантов. Ряд теоретических положений рассмотрен на материале фрагментов политического дискурса.



ირინა ყრუაშვილი
(საქართველო)

სიტყვათა თამაშის ფუნქციები და შესაძლებლობები

ენის ლექსიკური მარაგის კვლევისას საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს კრეატიულ ასპექტსაც. აქ იგულისხმება ენობრივი მასალის წინასწარ გამიზნული, სახალისო ცვლილება ან კომბინაცია, ანუ სიტყვათა თამაში, კალამბური. „სათამაშო“ მასალად გამოიყენება არა მარტო სიტყვები, მათი უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტები ან ცალკეული მორფემები, არამედ სიტყვაწარმოების მთელი მორფოლოგიურ-სტრუქტურული და სემანტიკურ-ფუნქციონალური არსენალი, კერძოდ, ენაში არსებული სიტყვაწარმოებითი ელემენტები, სიტყვაწარმოების ხერხები და სახეობები, სიტყვაწარმოებითი ნიმუშები და პარადიგმები, მორფოლოგიურ-სემანტიკური მოტივაცია და სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობები. „თამაშის წესებსაც“ თავად ენა ადგენს საკუთარი ენობრივი კანონზომიერებების შესაბამისად. სიტყვათა თამაში ხორციელდება მხოლოდ ენაში გაბატონებული სტრუქტურების, ფუნქციებისა და ნორმების მიხედვით.

მეტყველის ლექსიკონის მიხედვით, სიტყვათა თამაშის ცნება ენის ზოგადი გამოყენების ფარგლებში განიხილება, როგორც ერთგვარი თეორიული აღნიშვნა, რომელიც გულისხმობს სახალისო, სახუმარო, მახვილგონივრულ, სარკასტულ მიდგომას ომონიმური, ომოგრაფიული და ომოფონიური სიტყვებისა თუ გამოთქმებისადმი (Glück, 2000:697). პ. შიფკო სიტყვათა თამაშის ცნებას უფრო მასშტაბურად განიხილავს, კერძოდ, როგორც კომუნიკაციურ თამაშს ან სულაც სემიოტიკურ თამაშს და ამ მოსაზრებას იმით ასაბუთებს, რომ შეიძლება „ითამაშო“ ნებისმიერი ენობრივი ერთეულით და ნებისმიერი რაკურსით (Schifko, 1987:71). პ. ბუსმანი გვთავაზობს სიტყვათა თამაშის ყველაზე გავრცელებულ ხერხებს: 1) ბგერების ან მარცვლების გადანაცვლება. მაგ., *Du bist – Buddhist, Martin Luther – lehrt in Armut, Leckt schmecker*; 2) სიტყვების მორფოლოგიური ან სემანტიკური ცვლილება, მაგ., *Spaß bei Seide, SchreIBMaschine*; 3) ლექსიკური შეჯვარება ანუ კონტამინაცია. მაგ., *Unruhestand, Demokratu, Qualverwandtschaften* (Bußmann, 2008:800).

სიტყვათა თამაშს სიტყვაწარმოების კრეატიულ სახეობად მიიჩნევს ე. დონალიზი. მისი აზრით, ენაში უკვე არსებული სიტყვაწარმოებითი პროდუქტების ანალოგიით წარმოიქმნება ირონიულ-სახუმარო სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები. მაგ., *Untertan*-ის მიხედვით შეიქმნა *Obertan, Lebewesen*-ის მიხედვით – *Klebwesen*. ამგვარ წარმონაქმნებს სახალისო ეფექტი, რა თქმა უნდა, მაშინ აქვთ, როცა მკითხველისათვის ან მსმენელისთვის საწყისი პროდუქტი ნაცნობია (Donalies, 2005:152).

ის ფაქტი, რომ სიტყვებით, მათი სტრუქტურებითა და მნიშვნელობებით თამაში შეიძლება, ჯერ კიდევ ანტიკურ რიტორიკაში იყო ცნობილი. მასში აღწერილი სისტემური კატეგორიები, როგორცაა გადანაცვლება (*transmutatio*), გამოტოვება (*detractio*), დამატება (*adiectio*) და აზრის შეცვლა ან ჩანაცვლება (*immutatio*) უძველეს ენობრივ ნიმუშებს განეკუთვნება. მათ ზოგადსაყოველთაო ღირებულება აქვთ, ისინი ყველა ენისათვის დამახასიათებელია, მაგრამ მათი რეალიზება დამოკიდებულია ცალკეული ენის სტრუქტურულ და სემანტიკურ თავისებურებებზე.

ანტიკური რიტორიკის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ სიტყვათა თამაშს როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია აქვს. ეს შეიძლება იყოს პარონომასია ანუ *Annominatio*, რომელიც თვითმყოფად რიტორი-

კულ ფიგურას წარმოადგენს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვის გარეგნული ფორმა იცვლება გამეორების გზით, რასაც ხშირად თან ახლავს სიტყვის მნიშვნელობის მოულოდნელი ცვლილება. მაგ., Nicht rasen, reisen! განსაკუთრებულ სახეობად გვევლინება ე.წ. Figura etymologica, რომლის დროსაც ხდება ერთი და იგივე ფუძის გამეორება. მაგ., sein Leben leben; einen schweren Gang gehen; eine Grube graben; betrogener Betrüger; Mäßig – aber regelmäßig; zwangloser Zwang.

პარონომასიის შედარებით დამოუკიდებელ ვარიანტად განიხილება პოლიპტოტონი, რომლის დროსაც ხდება ფლექსიურ-მორფოლოგიური განსხვავებების თამაში სიტყვის სხვადასხვა ფორმის ფარგლებში. მაგ., Stadt missachtete beim Fest der Feste eigene Regel; Kein Mensch muss müssen.

საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც ანტითეზის ფორმალური გაძლიერება ხორციელდება სიტყვაწარმოებითი ანატონომიის, სინონიმის ან სიტყვაწარმოებითი ელემენტების გამეორების გზით. მაგ., Die einstige Superschwimmerin macht ergebnistechisch nur Rück – statt Fortschritte; Der Fahrstuhl im Landgericht ist ein "Standstuhl"; Eine Gesellschaft, die ... die Klamottendiktatur ... propagiert, stärkt nicht das Ego, sondern fördert den Egoismus; Es gibt erfülltes Leben – trotz vieler unerfüllter Wünsche (Poethe, 2002:25).

პარალელური სიტყვათა სტრუქტურებით მიიღწევა ანტიმეტაბოლა. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის კომპოზიციაზე (Weltbilder - Bilderwelten) და დერივაციაზე (fremde Vertrautheit – vertraute Fremdheit). ოქსიმორონში ორი საპირისპირო ცნების პარადოქსული, ერთი შეხედვით, უაზრო შეერთებით შეიძლება მიღწეულ იქნეს განსაკუთრებული სტილისტიკური ეფექტი. მაგ., schaurigschön; beredtes Schweigen.

საკმაოდ გავრცელებულია ფუძეებით თამაშის ემოციურ-ექსპრესიული მოდელი, რომლის დროსაც ხდება თავკიდური თანხმონის მონაცვლეობა. მაგ., Kuddelmuddel, Schickimicki, Hokusfokus, Techtelmechtel. ამგვარი მოდელი უპირატესად ზეპირ მეტყველებაში გვხვდება. ე.წ. „აბლაუტური გაორმაგების“ დროს კი ადგილი აქვს -i- და -a- ხმოვნების ვარირებას: Schnickschnack, Singsang, Mischmasch, Wirrarr. ამ სახის ორმაგ სტრუქტურებს უმეტესად ნეგატიური, პეიორატიული ხასიათი აქვს.

სიტყვათა შეჯვარება, რომლის დროსაც ორი ლექსიკური ერთეული ერთმანეთშია გადახლართული, სიტყვაწარმოების სპეციფიკურ სახეობად განიხილება: Formularifari მიღებულია ორი სიტყვიდან – Formular + Larifari. ასევეა vorwiegend – überwiegend + vorherrschend; angeheitert: angetrunken + aufgeheitert. მისი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ორივე უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტის ორი მეტნაკლებად კომპლექსური სემანტიკური ერთმანეთს გადაფარავს, ამასთან, კონსტიტუენტები არანაირ სემანტიკურ მიმართებას არ ავლენენ. მაგ., affenteuerlich: Affe + abenteuerlich (ჰ. ჰაინე). თუმცა, ამგვარი წარმოქმნა თვითნებურად არ ხორციელდება, იგი გარკვეულ წესებს, უპირველეს ყოვლისა კი, ფონემურ-ფონეტიკურ რეგულარობებს ემორჩილება. საწყისი სიტყვების რომელიმე ნაწილი შეიძლება ამოვარდეს ან მეორე ნაწილს შეერწყას. სიტყვათა შეჯვარება ძირითადად არსებითი სახელისა და ზედსართავის კლასს შეეხება, ზმნებთან ის ნაკლებად არის გავრცელებული. წარმოქმნის აღნიშნული ხერხი დამახასიათებელია ტექსტის გარკვეული ჟანრებისათვის, პრესისა და რეკლამის ენისათვის. მას განსაკუთრებით ხშირად იყენებენ რეკლამებში იმ მიზნით, რომ სიტყვათა უჩვეულო შეერთებით მომხმარებელთა ყურადღება შეაჩერონ გარკვეულ პროდუქტსა თუ მოვლენაზე. მაგ., Milka: Milch + Kakao; Nescafé: Nestle + Café; Persil: Perborat + Silikat; Feurika: Feuer + Paprika;

Globiläum: Globus + Jubiläum.

ზოგჯერ სიტყვათა შეჯვარების უკან ირონია და სატირა იმალება: Medizyniker: Medizin + Zyniker; akadämlich: akademisch + dämlich (Lohde, 2006:44). იშვიათად გვხვდება ამგვარი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები საყოველთაო მოხმარების ენაში ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულების სახით. მაგ., verschlimmbessern: verschlimmern + bessern; instandbesetzen: instand setzen + besetzen; jein: ja + nein; Liger: Löwe + Tiger. მთელი რიგი ამგვარი ნაერთებისა აღმოცენდა არა გერმანულში, არამედ ნასესხებია სხვა ენებიდან, ძირითადად, ინგლისურიდან. მაგ., Moped; Motel; Telex: teleprinter + exchange; Transistor: trasfer + resistor; Smog: smoke + fog; Brunch: breakfast + lunch; Stagflation: stagnation + inflation (Fleischer, Barz, 1995:47). ოკაზიონალური სახუმარო და სატირული წარმონაქმნების პარალელურად, როგორცაა Promillionär, Kompromißgeburt, გვაქვს უკვე უზუალურად ქცეული დასახელებები: Kurlaub, Schiege, Infotainment, Mechatroniker. სპეციფიკური სახის ნომინატიური მოთხოვნის საფუძველზე ვღებულობთ დასახელებას, რომელიც არსებითად წარმოადგენს ორი ცნების ნარევს, ნაზავს.

ფაქტის საზგასმა მისი საპირისპირო ცნების უარყოფის გზით ხორციელდება un- პრეფიქსით: nicht ganz unzufrieden. კინობითი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები ხშირად ირონიას ამჟღავნებენ. თუკი დიმინუტიური სუფიქსი კომბინირებულია რამე დიდის, ღირსეულის და საპატიოს აღმნიშვნელ ცნებასთან, მაშინ ამგვარი კონტრასტი უკვე სტრუქტურულადაც ირონიის სიგნალიზებას ახდენს, მაგ., eine alte Hofdame des regierenden Häuschens von Haßlau (ჟან პოლი). ირონიული ეფექტი მიიღწევა აგრეთვე დეტერმინატიულ კომპოზიტში, ატრიბუტთან მიმართებაში დარღვეული წესის შედეგად: vierköpfiger Familienvater.

სიტყვათა თამაშის ესთეტიკური, პოეტური ზემოქმედება მაშინ არის თვალსაჩინო და ხელშესახები, როცა მხატვრულ ლიტერატურაში მთელი სისრულით და გაცნობიერებულად არის გამოყენებული სიტყვაწარმოებითი პოტენციალი, იქნება ეს სხვა სტილისტიკურ ელემენტებთან კავშირში თუ გარკვეული სიტყვაწარმოებითი ნიმუშებიდან, სიტყვაწარმოებითი ელემენტებიდან, სახელდების მოტივაციიდან, სტრუქტურული და სემანტიკური ომონიმიიდან გამომდინარე.

გარკვეული ლიტერატურული ეპოქებისა და მიმდინარეობებისათვის სიტყვათა თამაში მეტად დამახასიათებელ სტილისტიკურ საშუალებას წარმოადგენს. მაგ., ექსპრესიონიზმში, სადაც წინა პლანზე ცალკეული სიტყვაა წამოწეული, მას გვერდს ვერაფრით ვერ ავუვლით. სიტყვის, განსაკუთრებით კი კომპლექსური სიტყვის ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მოახდინოს მელოდიური, რიტმული და ხატოვანი ზემოქმედება. კონკრეტულ პოეზიაში, რომელიც მთლიანად კონცენტრირებულია ენაზე, როგორც ტექსტის შექმნის საშუალებაზე, ფორმალური ექსპერიმენტისათვის მოხმობილია ენობრივ ნიშანთა ერთმანეთთან დაკავშირების ამოუწურავი შესაძლებლობები.

ესთეტიკური ფუნქციის პარალელურად სიტყვათა თამაშს ხშირად პრაქტიკული და მეტად მნიშვნელოვანი კომუნიკაციური ფუნქციაც აქვს. პ. შიფკოს აზრით, კონკრეტული ეფექტებია: მხიარულება, კომიზმი, გართობა, მანიპულაცია, ესთეტიკა, გაუცხოება, სიურეალიზმი, ემანსიპაცია, ირონია, დაცინვა, აგრესიულობა, ენობრივი და საზოგადოებრივი კრიტიკა (Schifko, 1987:70). ამასთან, სასიამოვნო ეფექტი მაშინ არის განსაკუთრებით დიდი, როდესაც სიტყვათა თამაში არ შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეული, ფაკულტატიური მანიპულაციებით, არამედ როცა ის სემანტიკურად მნიშვნელოვანი დატვირთვით მთლიანი ტექსტის ან დისკურსის

ფარგლებში ჯდება, ან კიდევ თვითონ არის მნიშვნელოვანი შინაარსის მატარებელი.

ზემოქმედებითი მიზნების გარდა ყურადღება უნდა მიექცეს ასევე ტექსტის ლინგვისტიკურ და სტილისტიკურ ასპექტებს, რომელთაც ბ. ზანდიგი მოიხსენიებს ტერმინებით – „ტექსტის სტილისტიკურ-სტრუქტურული პროდუცირება“, „ტექსტური ნიმუში“ და „სტილისტიკური ნიმუში“. მას სიტყვათა თამაში ერთგვარ ტექნიკად მიაჩნია, რომლის საშუალებითაც მაგ., სტილისტიკური ნიმუში – „სახუმაროსახალისოდ წარმოჩენა“ – ტრადიციულად რეალიზდება (Sandig, 1986:150). თუმცა, თვით მეთოდი ტრადიციული და, მაშასადამე, მოსალოდნელია, მაგრამ კონკრეტული ენობრივი ფორმა არაპროგნოზირებადი და, შესაბამისად, ყოველთვის ორიგინალურია. ამგვარი ფორმულირების ფუნქცია, გარდა ინფორმაციულობისა და შეფასებითი განზრახულობისა, არის რეციპიენტში საკუთარი ინტერპრეტაციის სურვილის აღძვრა, განსაკუთრებით კი სტილისტიკური თვითწარმოჩენა. ტექსტის შემქმნელი იმპლიციტურად ახდენს საკუთარი თავის პრეზენტაციას ენის გამოყენების მისეული ხერხებით. იგი თავის თავს წარმოაჩენს როგორც გონებამახვილი, ხუმარა, ენობრივად მოქნილი, ენაკვიმატი, ნაკითხი, განათლებული, კრეატიული ადამიანი და, ამავედროულად, იძლევა სტილისტიკურ ინფორმაციას ენისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ. ამგვარ შესაძლებლობას განსაკუთრებით ხშირად იყენებენ ჟურნალისტები თავიანთ ინდივიდუალურ სტატიებსა და რეპორტაჟებში. კაბარეს მსახიობისათვის სიტყვათა თამაში ერთგვარ ინსტრუმენტს წარმოადგენს, ასე, მაგალითად, ჰ. შტენგელის, რომელიც თავის თავს „ენის აკრობატს“ უწოდებს, აქტუალურ პროგრამას ჰქვია Transrapid und andere Transzendenzen (LVZ. 24.11.1999). ასევე სცენის მიღმაც გვხვდება მსგავსი ეფექტები, როგორც, მაგალითად, ლაიპციგელი კაბარეს მსახიობი 1999/2000 წლების მიჯნაზე ერთ-ერთი აქტუალური გამოკითხვის დროს აცხადებს: „Bald bricht das Jahr 2000 an, und viele haben Angst vor diesem Anbruch – wegen eines eventuellen Einbruchs. Andere kauen immer noch am Umbruch. Ich wünsche mir Hals- und Beinbruch beim Aufbruch, einen kreativen Ausbruch und dann den Durchbruch. Also: Laßt uns aufbrechen!“ (LVZ 31.12.99).

საბავშვო ლიტერატურაში ენისადმი „თამაშით“ მიდგომა გართობასა და გახალისებაზე მეტად შეფარვით დიდაქტიკურ მიზნებს ემსახურება და მეტაენობრივ მოსახრებებს წარმოშობს. საქვეყნოდ ცნობილია, მაგალითად, ფ. ფიუმანისა და ჰ. შტენგელის წიგნები, რომელთა თემას, ამავედროულად, ენა წარმოადგენს. ფ. ფიუმანის წიგნის სათაური „Die dampfenden Häse der Pferde im Turm von Babel“ მეტად პოეტური და იდუმალებით მოცულია. იგი მკითხველში უეჭველად დიდ ინტერესს აღძრავს. მას მოსდევს არანაკლებ დამაინტრიგებელი და მრავლისმთქმელი ქვესათაური „Ein Spielbuch in Sachen Sprache. Ein Sachbuch der Sprachspiele. Ein Sprachbuch voll Spielsachen“ (Fühmann, 1984). ენის სახელმძღვანელოებში სიტყვაწარმოებითი საშუალებებისადმი სახალისო მიდგომით თვალსაჩინოდ შეიძლება სიტყვაწარმოების სწავლება და მოსწავლეთა ენობრივი კრეატიულობის განვითარება.

სიტყვათა თამაშის სეკუნდარული ფუნქცია იქიდან გამომდინარეობს, რომ ნორმალური და სპონტანური კომუნიკაციისაგან განსხვავებით, ენის „თამაშით“ გამოყენებისას სწორედ ნორმიდან გადახვევის გამო მთელი ყურადღება გამახვილებულია თავად ნორმაზე და, შესაბამისად, ენის ფორმალურ სტრუქტურასა და ფუნქციონირების ხერხებზე; ამ გზით ხდება მათი მეტნაკლებად გაცნობიერება (Schifko, 1987:69). რასაც რეციპიენტი დიდი ძალისხმევის შედეგად იმპლიციტურ მეტაენობრივ რეფლექსიამდე, სემიოზის უმაღლეს საფეხურამდე მიჰყავს, შეიძლება დიდაქტიკურ განზრახვებსაც დავუკავშიროთ. პ. შიფკო საზგასმით მიუთითებს

სიტყვათა თამაშის დიდაქტიკური გამოყენების ჩინებულ შესაძლებლობებზე, რათა ფილოლოგიური მიმართულების სტუდენტებს ლინგვისტიკის და კომუნიკაციური თეორიის საფუძვლები, მათი ძირითადი პრინციპები გააცნოს.

ფუნქციებს, მიზანდასახულობასა და პოტენციურ ზემოქმედებას მჭიდროდ უკავშირდება კომუნიკაციის სფეროები და ტექსტის ჟანრები. გარკვეულ ტექსტებში მოლოდინიდან გადახვევა და ენის სისტემაში არსებული ყველა შესაძლებლობის გამოყენება დიდ როლს თამაშობს. ზოგიერთი ჟანრისთვის ტიპურ გამომსახველობით საშუალებას ენობრივი ფორმების და მნიშვნელობების თამაში წარმოადგენს, მაგ., აფორიზმი, სენტენცია, გამოცანა. ხანდახან საბავშვო ლექსებში თვალშისაცემია სიტყვაწარმოებითი საშუალებებისა და მოდელების უჩვეულო გამოყენება, რაც ამ ჟანრის სპეციფიკად იქცევა, როგორც დიდაქტიკური თამაშის გამოხატულება. ასევე კომუნიკაციის სხვა სფეროებშიც, რომლებშიც გაცნობიერებული და ინოვაციური ენობრივი ფორმებით ხდება რეციპიენტებზე ზეგავლენის მოხდენა, დასაშვებია ენობრივი ელემენტებისადმი სახალისო, ენობრივი ნორმების „შემლახავი“ დამოკიდებულება. ის ფაქტი, რომ ნორმიდან გადახვევა ხდება, უკვე გაცნობას აღარ იწვევს, მაგრამ საინტერესოა, თუ როგორ, რა გზით ხდება გადახვევა, ვინაიდან ამის შესაძლებლობები მეტად მრავალმხრივი და ამოუწურავია.

საქმიანი ინფორმაციისა და, ამავდროულად, სტილისტიკური ეფექტების შემჭიდროებულად გადმოცემის, ასევე ზემოქმედების მოხდენის უნარის გამო სიტყვათა თამაში განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება საგაზეთო და სარეკლამო ტექსტებში, კერძოდ, საგაზეთო სტატიის სათაურებში, სარეკლამო სლოგანებში, კედლის ლოზუნგებში. ასე, მაგალითად, მარგარინის მწარმოებელი ერთ-ერთი ფირმა იყენებს სლოგანს: *Weil's lätta schmeckt*; „შპიგელის“ ყოფილი მთავარი რედაქტორის ე. ბომეს მიერ შედგენილ გლოსეების კრებულს ჰქვია „Bonbons“ (Poethe, 2002:30); ე. ვოლფის ერთ-ერთი წიგნის სათაურია „Phänomenologie des Kitsches“ (Wolf, 1980). ზოგიერთი ბეჭდვითი ორგანოსათვის, როგორცაა, მაგ., „Spiegel“, „Die Zeit“, „FAZ“, „TAZ“, ტრადიციულ იმიჯს წარმოადგენს ის, რომ ინტელექტუალური აღქმა სხვა ხერხებთან ერთად განსაკუთრებული ენობრივი საშუალებებითაც ხორციელდება.

ჟურნალისტურ ტექსტებში, როგორებიცაა: კომენტარი, ესე, ფელეტონი, ძირითადი აქცენტი აზრის გადმოცემაზე კეთდება და ინდივიდუალური სტილისტიკური შტრიხები განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება, ასევე ხშირად გვხვდება სიტყვათა თამაშები. მაგ., *Aber in Frage steht mittlerweile die Verfasstheit der Republik – und nicht mehr nur die Verfassung der Union* (LVZ. 27.01.2000); *das Fahr- meist ein Stehzeug ist* (Zeit, 1995. Cosmas) (www.ids-mannheim.de/cosmas2); *Dschihad wird von Ideologie beherrscht, McWorld von Videologie* (Zeit, 1997, Cosmas) (www.ids-mannheim.de/cosmas2); *Nur gehen sie von dort meistens an die sogenannte Leibwäsche – Gehirnwäsche trage ich nicht, ich bin leidlich abgehärtet* (Hildesheimer, 1983:9); *Kein Pointen spuckender Witzbold..., eher schon ein witziger Ernstbold* (Donalies, 2005:153). ინფორმაციულად დატვირთულ, საქმიან ახალ ამბებშიც კი ვაწყდებით ამგვარ სახალისო სიტყვათა თამაშებს: *In Sektbranche herrscht Sektlaune* (LVZ.31.12.1999); *Geschäfte bei Florena Cosmetic florieren* (LVZ.28.01.2000); *Alles frischobello am S-Bahnhof Buckower Chaussee* (Donalies, 2005:153). სიტყვათა თამაშის სახალისო ნიმუშები მეტად შთამბეჭდავად გამოიყენება მაღაზია-დაწესებულებების ორიგინალური სახელწოდებების აღსანიშნავად, მაგ., კაფე-რესტორნების დასახელებები – *Seitensprung, Weiberwirtschaft*.

სიტყვაწარმოებითი ელემენტებით თამაში სულ უფრო მეტად გამოიყენება სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული კომუნიკაციის სფეროში, მაგ., „Das

Undenkbare denken“ (კონსტანცელი ფილოსოფოსის იურგენ მიტელშტრასის საუნივერსიტეტო მოხსენების სათაური); „Betriebslinguistik und Linguistikbetrieb“ (კრებულის სახელწოდება); „Klangfarbe - Farbenklang“ (ფერთა თეორიის საფუძვლებისადმი მიძღვნილი ღონისძიების სახელწოდება).

სამეცნიერო საქმიან პროზაში ტექსტის სტრუქტურის განსაკუთრებულად რელევანტურ ადგილებში ხშირად გამონათქვამის მნიშვნელობის ხაზგასმა ხორციელდება ფორმალურად თვალშისაცემი ენობრივი საშუალებებით, როგორცაა მორფემების გამეორება სიტყვის სტრუქტურებში. შინაარსობრივად მნიშვნელოვანი ელემენტების ხაზგასმა, რაც სიტყვაწარმოების საშუალებით მიიღწევა, კიდევ უფრო მეტად ამახვილებს დედააზრზე ყურადღებას. თვალშისაცემი სიტყვათსტრუქტურები მკითხველს ნაკლებად გამორჩევა მხედველობიდან, ვიდრე თვალშისაცემი წინადადების სტრუქტურები, ხოლო სიტყვისა და წინადადების სტრუქტურის კომბინაცია განსაკუთრებულ სტილისტიკურ პოტენციალს შეიცავს. გ. ჰელბიგი თავისი ერთ-ერთი ნაშრომის დასკვნით ნაწილში წერს: „Insofern kann von einer lexikonfreien Grammatik ebensowenig die Rede sein wie von einem grammatikfreien Lexikon“ (Helbig, 1997:12).

სიტყვებისადმი სახალისო დამოკიდებულების წინაპირობები მოცემულია სიტყვაწარმოებითი პროდუქტების სტრუქტურულ და სემანტიკურ თავისებურებებში, ასევე უზუალობისა და ოკაზიონალობის ურთიერთმიმართებაში. თუმცა, ზემოქმედების პოტენციალი არ შეიძლება ცალსახად უზუალო ან ოკაზიონალურ მიმართებას დაუქვემდებაროთ. უზუალო წარმონაქმნებთან შესაძლებელია სტილისტიკური ეფექტების მიღწევა, ხოლო, მეორე მხრივ, ოკაზიონალურ შენაერთებს ხშირად არ ძალუძთ განსაკუთრებული ზემოქმედების მოხდენა. ოკაზიონალური წარმონაქმნები, უპირველეს ყოვლისა, მაშინ არ არის თვალშისაცემი, როცა ისინი ტექსტით განპირობებული და ადვილი მისახვედრია და ინტერნული ასოციაციებით არის მოტივირებული. თვალშისაცემი ოკაზიონალიზმები, რომლებიც ხშირად ინოვაციურ წარმონაქმნებს წარმოადგენენ, თავიანთ განსაკუთრებულ ზემოქმედებას, უპირველეს ყოვლისა, სემანტიკურად შეუთავსებადი კონსტიტუენტების შეერთებით (მაგ., *Schwein ade – die Fischwurst erobert den Grill*) ან კიდევ არაპროდუქტიული სიტყვაწარმოებითი ნიმუშებისა თუ ნაკლებად აქტიური კონსტიტუენტების გამოყენებით ახდენენ (მაგ., *Sind wir eine Gesellschaft der Ichlinge?*) (Poethe, 2002:32).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცალკეული სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის ანალოგიით შექმნილი პოლისტური წარმონაქმნები. ამ შემთხვევაში სიტყვაწარმოებითი პროდუქტი წარმოადგენს ერთიან ინდივიდუალურ ნიმუშს ახალი ანალოგიური შენაერთის წარმოსაქმნელად. მაგ., *Likörelle, offenhörllich, knäckoladig*. ამგვარი ოკაზიონალიზმების ფორმალური და ფუნქციონალური კონოტაციაა: „ორიგინალურად შექმნილი“.

სიტყვაწარმოებითი პროდუქტების უმეტესობას უზუალო შემადგენელი კონსტიტუენტების სტრუქტურა აქვს, ეს კი კონსტიტუენტების სტრუქტურით თამაშის საუკეთესო საშუალებაა. უჩვეულო, არაორდინარული სემანტიკებით გასაოცარი ეფექტების მიღება შეიძლება, მაგ., *Antrags-teller, Freischwimm-erzeugnis, Gene-sender, Uran-fang; Allgemeinheit: böses Verhalten im Kosmos; Urheber: Sportler der Vorzeit; Nachteile: nächtlicher Bewegungsdrang* (Ulrich, 1995:143).

კონსტიტუენტების სინტაქსურად და სემანტიკურად სახეცვლილი გამეორების შედეგად ვლუბულობთ ფრიად შთამბეჭდავ ფორმულირებებს, როგორცაა, მაგალითად, სლოგანი: *Durch Vorsorge vor Sorge geschützt*, ან რეკომენდაცია ერთ-ერთი ბანკის სარეკლამო განცხადებაში: *Mit Fondssparen fangen Sie am besten an, indem Sie*

schon beim Kauf des Fonds sparen.

სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის სემანტიკური თავისებურებები „თამაშის“ ეფექტს აღწევენ მოტივაციით, რემოტივაციითა და მოტივაციის შეცვლით. ახლადწარმოქმნილი სიტყვები ზოგადად მათი შექმნის მომენტში მორფემულ-სემანტიკურად მეტნაკლებად მოტივირებულია, ე.ი. მათი მნიშვნელობა შეიძლება აისხნას შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობებიდან. თანდათან დემოტივაციის პროცესი იხენს თავს, რომელმაც შეიძლება სრულ იდიომატიზებამდე მიგვიყვანოს. სემანტიკური ეფექტები მიიღწევა, როცა თავდაპირველი მოტივაცია ისევე ცოცხლდება ან ახალი მოტივაცია ჩნდება, რისი სიგნალიზებაც ხშირად გრაფიკულად დეფისით ხორციელდება. უკვე უზუალურ ნაერთებად იქცნენ Hoch-Zeit, er-fahren. მოტივირებული წარმონაქმნებიც კი ყოველთვის არ არის მთლიანად გამჭვირვალე, რადგან შესაბამისი შესიტყვების ყველა ნაწილი სიტყვაწარმოებით პროდუქტში არ ჩანს და სემანტიკური მიმართებები ექსპლიციტურად არ არის გამოხატული. ზოგჯერ შეიძლება უზუალური მოტივაციური მნიშვნელობისაგან განსხვავებული მნიშვნელობაც იყოს წარმოჩენილი, რაც სიტყვათა თამაშის ერთგვარი ალტერნატივაა. ასე, მაგ., Leipziger Zoo hat 1999 neben dem Eintrittspreis einen Löwenanteil zum Erhalt der traditionellen Löwenzucht erhoben. იმპლიციტურ-კონსტექსტუალურად, უბრალო განლაგებით ან ექსპლიციტური პარაფრაზირებით შესაძლებელია იმ მოტივაციური სტრუქტურების დაშვება, რომლებიც აშკარად წინააღმდეგობაში მოდიან ლექსიკალიზებულ მნიშვნელობასთან ან ერთდროულად უზუალური და ოკაზიონალური მნიშვნელობის აქტუალიზებას ახდენენ. განსხვავებული პარაფრაზირებით ახალი მოტივაციური მნიშვნელობა მიიღება: Sparbücher sind Bücher, die man sich sparen kann. თუკი საერთო სათაურის – „Obstschüsse“ ქვეშ ისეთ სიტყვებს გავაერთიანებთ, როგორცაა Augäpfel, Fingerbeeren, Glühbirnen, Ohrfeigen da Kopfnüsse, მაშინ ამგვარი ლექსიკალიზებული წარმონაქმნები იმპლიციტურად მეტაენობრივ განხილვას მოითხოვენ (Poethe, 2002:33).

სიტყვაწარმოების სხვადასხვა სახეობის არსებითი მახასიათებლები მრავალფეროვან სპეციფიკურ შესაძლებლობებს გვთავაზობენ ენის სახალისო გამოყენებისათვის. განსაკუთრებით ნაყოფიერია კომპოზიცია და რედუქცია, ისევე როგორც რიტორიკულ ფიგურად მიჩნეული სიტყვათა შეჯვარება. საკმაოდ ხშირად გამოიყენება აგრეთვე დერივაციული მოდელები და კონვერსია. ბაზისისა და კონვერსიის პროდუქტის ფორმალური იდენტურობიდან გამომდინარე გამეორების ეფექტი აძლიერებს ზემოქმედებას: Einfach beim Sparen sparen. თუკი სიტყვაწარმოებითი პარადიგმებით ხდება თამაში, მაშინ მასში შეიძლება მონაწილეობდეს სიტყვაწარმოების ყველა სახეობა.

სიტყვათა თამაშისთვის ამოუწურავ წყაროს წარმოადგენს კომპოზიცია უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების დამოუკიდებლობისა და შედარებით მცირე დისტრიბუციული შეზღუდვების გამო. ამას ემატება ასევე სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობების ფართო სპექტრი. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სემანტიკურ მსგავსებასა და განსხვავებას შორის არსებული მიმართებაც კი კომპოზიტსა და შესიტყვებაში. მაგ., Geschlechtertheorie და Theorie der Geschlechter.

კომპოზიციას გერმანულში, უპირველეს ყოვლისა, არსებითი სახელის წარმოებისათვის უამრავი საშუალება აქვს (Blumenrath, 2003:56). ფ. ფიუმანის „პატარა ლექსი“ ამას თვალნათლივ გვიჩვენებს, მით უფრო, რომ მასში სიტყვათა თამაშის არაერთი საინტერესო ნიმუშია წარმოდგენილი:

„In ihr Maushaus
lief die Hausmaus,

In dem Zwergberg
sitzt der Bergzweig,

doch sie hielt's nicht lang drin aus,
denn im Dreckeck,
lag viel Eckdreck,
und das war ein großer Graus.

In dem Wurmturn
ächzt ein Turmwurm
und er ächzt so schauerlich,
weil der Fuchsluchs
mit dem Luchsfuchs
gestern ums Gemäuer strich.

und er sehnt sich jedes Jahr
nach dem Strandsand,
fern am Sandstrand,
wo er mal auf Urlaub war.
Und der Dachslachs
huscht zum Lachsdachs,
den er aus der Schule kennt,
und der Spechthecht
ruft zum Hechtspecht:
Endlich ist das Lied zu End!“

(Fühmann, 1984:35).

კომპოზიციები ძირითადად ორშემადგენლიანია, ხშირია აგრეთვე სამ და მეტ კომპონენტისანი წარმონაქმნებიც. გერმანელები ამ თემაზე ხშირად ხუმრობენ, აგრძელებენ რა – რამდენადაც, ეს ასე თუ ისე შესაძლებელია – ხელოვნურად სიტყვებს. აი, თუნდაც, ეს ერთი „კლასიკური“ მაგალითი (ე.წ. სიტყვა-მონსტრი): Donaudampfschiffahrtsgesellschaftskapitänswitwentröstervereinsvor sitzendenstellvertreter (გვენცაძე, 2009:147). მაგრამ სიტყვაში Rindfleischetikettierungsüberwachungsaufgabenübertragungsgesetz არ იგრძნობა ირონიული ელფერი.

სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების იერარქიული სტრუქტურა, კომპოზიციების წარმოქმნისას გერმანული ენის სპეციფიკური მიდრეკილება მრავალმხრივი განშტოებებისაკენ მკაფიოდ არის ილუსტრირებული ფ. ფიუმანის ერთ-ერთ პატარა მოთხრობაში „Am Schneesee“: „Es war einmal ein See, der war immer voll Schnee, darum nannten ihn die Leute nur Schneesee. Um diesen Schneesee wuchs Klee, der Schneeseeklee, der wuchs rot und grün, und darin äste ein Reh, das Schneeseekleereh, und dieses Schneeseekleereh wurde von einer Fee geliebt, die fast so schön war wie Scheherezade, der überaus anmutigen Schneeseekleerehfee. Diese Fee hatte, wie alle Feen dieser Gegend, sechsundsechzig Zehen, fünfundsechzig zum Gehen und einen zum Drehen, und dieser sechsundsechzigste Zeh war natürlich der Schneeseekleerehfeedrehzeh...“ (Fühmann, 1984:13).

გრძელი კომპოზიციების პრინციპზე შეიძლება მთლიანი ტექსტი იყოს აგებული, როგორც მაგალითად, ჰ. გუმპენბერგის პაროდია „Sommermädchenküssetauschelächelbeichte“:

„An der Marmelrieselplauderplätscherquelle
saß ich sehnsuchtstränentröpfeltrauerbang;
Trat herzu ein Augenblinzeljunggeselle
in verwegnem Hüfteschwingschlendergang,
zog mit Schäkerehrfurchtsbittegrußverbeugung
seinen Federbaumelriesenkrämpenhut –
gleich verspürt' ich Liebeszauberkeimeneigung,
war ihm zitterjubelschauerherzensgut!...“ (Alles Unsinn, 1974:176).

დეტერმინატიულ კომპოზიციებში უშუალო შემადგენელი კონსტიტუენტების მყარი თანმიმდევრობითა და მათი გადანაცვლებით მიღებული სემანტიკური შედეგებით ხდება თამაში ანტიმეტაბოლაში: Weltbilder-Bilderwelten; Betriebslinguistik-Linguistikbetrieb.

ერთგვარ უხერხულობას ქმნის ერთნაირი ელემენტების ზედიზედ ერთმანეთის მიყოლებით გამოყენება. შესაბამისად, კომპოზიციურ წევრთა გამეორების ეფექტიც ჩვეულებრივი მოლოდინისაგან განსხვავებულია, იგი რეციპიენტის ყუ-

რადღებას ამძაფრებს და, უპირველეს ყოვლისა, გაღიზიანებას, დაბნეულობას იწვევს, მაშინაც კი, როცა შესაბამისი განმარტებისას მნიშვნელოვანი რაციონალური მიმართება იკვეთება, მაგ., Kandidaten- Kandidaten, Erwartungserwartungen (კონსტიტუენტების ზუსტი გამეორება) ან Heckenhexe mit der Hackenhaxen (ბგერითი სტრუქტურის გამეორება).

ინიციალური შემოკლების გზით სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციის ან შესიტყვების სრული ფორმის რედუცირება კონოტაციური პოტენციალის სახალისო გამოყენების საშუალებას იძლევა. ინიციალებისათვის და, შესაბამისად, მთლიანი გამონათქვამისათვის ახალი მნიშვნელობის მინიჭების მეთოდი ყოველდღიურ მეტყველებაში უფრო ადრე დამკვიდრდა. ვ. კლემპერერი თავის მოგონებებში საპატიმრო დაწესებულების შესახებ წერს: „Es ging die Sage, einer von ihnen habe das L. A.H. auf ihren Kitteln aus „Landsberger Arbeitshaus“ in „lauter anständige Herren umgedeutet“ (Klemperer, 1996:220).

სიტყვაწარმოებით პარადიგმებში სიტყვაწარმოებითი ბუდეები ფორმალური და სემანტიკური ნათესაობის და ასევე სიტყვაწარმოების სხვადასხვა ხერხში მონაწილეობის გამო განსაკუთრებით დიდ პოტენციალს ავლენენ სიტყვაწარმოების პროდუქტების ეფექტური გამოყენების მხრივ. სიტყვებს შორის კავშირი მყარდება არა მხოლოდ შინაარსობრივი მხარის მორფოემანტიკური მოტივაციის, არამედ ასევე ფორმალური გამოხატულების მეშვეობით. თვალშისაცემი ეფექტი მიიღწევა, უპირველეს ყოვლისა, სიტყვაწარმოებითი ბუდის წევრების ხშირი გამოყენებით ან მათ შორის მცირე დისტანციით. იშვიათად წავაწყდებით ისეთ ტექსტს, რომელიც აგებულია მხოლოდ ერთადერთი სიტყვაწარმოებითი ბუდით: „Verfolger verfolgen die Verfolgten. Verfolgte aber werden Verfolger. Und weil Verfolgte Verfolger werden, werden aus Volfolgten verfolgende Verfolgte und aus Verfolgern verfolgte Verfolger.“ (Ulrich, 1995:141). აქ თამაში ხორციელდება სიტყვაწარმოებითი ბუდის verfolge- ელემენტებით და შესაბამისი გრამატიკული ფორმებით. მთლიან ტექსტში, რომელიც 187 სიტყვისაგან შედგება, 96-ჯერ გვხვდება მორფემული კომბინაცია verfolge-. სხვა ავტოემანტიკური სიტყვები მასში ძალიან მცირეა. სხვადასხვა სინტაქსური კომბინაციით ყოველ ჯერზე ახალი აზრობრივი მიმართება მიიღწევა, მაქსიმალური სიმჭიდროვე განსაკუთრებულ წვდომას უზრუნველყოფს.

ამგვარი ეფექტი უფრო ხშირად გამოიყენება ტექსტის ცალკეული ადგილების ხაზგასმისათვის: „Nur die Wirklichkeit wirkt wirklicher“; „Sprache, Sprachwissen, Sprachwissenschaft“; „Unsere postmoderne Moderne“ (Poethe, 2002:37).

სიტყვაწარმოებით მწკრივში საერთო აფიქსით პარადიგმატულად ურთიერდაკავშირებული სიტყვები ზოგადად ბაზისის განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის გამო არ ავლენენ მჭიდრო სემანტიკურ კავშირს, რომელიც აბსტრაქტული სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობის ფარგლებს სცილდება. თუკი სიტყვაწარმოებითი მწკრივის სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი პროდუქტი საგანგებოდ გვერდიგვერდ გამოიყენება, მაშინ ერთი და იგივე სტრუქტურის გამეორებით შეიძლება განსაკუთრებული ეფექტი იქნეს მიღწეული: Schnurlos wunschlos glücklich (ტელეკომის რეკლამა). დიდი ეფექტი მიიღწევა ასევე რამდენიმე პარადიგმატული მიმართების ერთობლიობით: Auf 100 Besserwisser kommt ein Bessermacher (სარეკლამო განცხადება).

როგორც კომუნიკაციის სხვადასხვა სფეროდან და განსხვავებული ჟანრების ტექსტებიდან აღებულმა მაგალითებმა გვიჩვენა, სიტყვაწარმოებითი პროცესების კანონზომიერებები, ასევე სიტყვაწარმოებითი პროდუქტების ზოგადი სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებები განაპირობებენ და ერთგვარად ხელს უწყო-

ბენ მათდამი კრეატიულ დამოკიდებულებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამო-
 უწურავი კომბინაციური შესაძლებლობები, სიტყვაწარმოებითი ელემენტებისა და,
 საერთოდ, ენობრივი სტრუქტურების პოლისემია, სიტყვაწარმოებით პროდუქტში
 მხოლოდ იმპლიციტურად გამოხატული სემანტიკური მიმართებები, რომლებიც
 ინოვაციური წარმონაქმნების შექმნისაკენ გვიბიძგებენ და ახლებური ინტერპრეტა-
 ციის საშუალებას იძლევიან. საოცარ მომხიბვლელობას ქმნის არა ზოგადად სიტ-
 ყვაწარმოებითი ნიმუშის უჩვეულობა, არამედ მისი თვალშისაცემი ლექსიკური შე-
 მადგენლობა, თვალშისაცემი სიხშირე ან ყოველდღიურობაში ესოდენ ნაცნობი
 ენობრივი კანონზომიერებების სახეცვლილება. სიტყვათა თამაშის განსაკუთრებუ-
 ლი ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ტექსტი სახალისო, სახუმარო, ორიგი-
 ნალური, მოქნილი, სხარტი, ორაზროვანი ხდება, ჩახლართული მოვლენები მარტი-
 ვად გადმოიცემა, ცნებები, შეძლებისდაგვარად, მცირე სიტყვათა მასალით ეკონო-
 მიურად უკავშირდება ერთმანეთს და ერთდროულად ხორციელდება რამდენიმე
 მოქმედება. შესაბამისად, მისი ფუნქციებია: ინფორმირება, კომენტირება, ირონიზე-
 ბა, პაროდირება, აპელირება, ემოციონალიზება.

ლიტერატურა:

1. Glück, Helmut (Hrsg.) (2000): Metzler Lexikon Sprache. Stuttgart / Weimar.
2. Schiffko, Peter (1987): Sprachspiel und Didaktik der Linguistik. In: Zeitschrift für Romanische Philologie, Bd.103, H. 1/2 gv. 68-87.
3. Bußmann, Hadumod (2008): Lexikon der Sprachwissenschaft. Stuttgart.
4. Donalies, Elke (2005): Die Wortbildung des Deutschen. Ein Überblick. Tübingen.
5. Poethe, Hannelore (2002): Wort(bildungs)spiele. In: Barz, Irmhild / Fix, Ulla / Lerchner, Gotthard: Das Wort in Text und Wörterbuch. Stuttgart / Leipzig. gv.23-40.
6. Lohde, Michael (2006): Wortbildung des modernen Deutschen. Tübingen.
7. Fleischer, Wolfgang / Barz, Irmhild (1995): Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Unter Mitarbeit von Marianne Schröder. Tübingen.
8. Sandig, Barbara (1986): Stilistik der deutschen Sprache. Berlin / New York.
9. Fühmann, Franz (1984): Die dampfenden Häuse der Pferde im Turm von Babel. Darmstadt.
10. Wolf, Wilfrid (1980): Phänomenologie des Kitsches. Leipzig.
11. Cosmas. www.ids-mannheim.de/cosmas2
12. Hildesheimer, Wolfgang (1983): Mitteilungen an Max über den Stand der Dinge und anderes. Frankfurt am Main.
13. Helbig, Gerhard (1997): Grammatik und Lexikon. Stuttgart/Leipzig.
14. Ulrich, Winfried (1995): Linguistik für den Deutschunterricht. Aachen-Hahn.
15. Blumenrath, Thomas (2003): Theoretische Grammatik, Yerevan.
16. გვენცაძე, მზია (2009): ლინგვისტური გერმანისტიკა. თბილისი.
17. Alles Unsinn. Deutsche Ulk- und Scherzdichtung von ehemdem bis momentan (1974). Gesammelt und hg. von Heinz Seydel. Berlin.
18. Klemperer, Victor (1996): Curriculum vitae. Erinnerungen 1881-1918. Bd. 1. Berlin.

Irina Kruashvili
Functions and possibilities of wordplay
Summary

Wordplay implies the expressly targeted, humorous, wistful use of the linguistic material. It is a creative sort of word building, as it points to the creative aspect. The general structural and semantic peculiarities of the products of word building cause, and in a certain sense, favor a creative attitude to the words. Using the well-cognized approach to the means and generalities of word building, it is possible to achieve outstanding stylistic effects. In the texts of certain genres the esthetic, poetic influence of wordplay is very comprehensive and evident. It is often used by the authors of journalistic and advertising texts. Comments, essay, satirical article (feuilleton) stand out by the highest rate of the use of wordplay. Nowadays interesting samples of wordplay can be encountered already in scientific texts and even in business texts. Simultaneously with the esthetic function, it often carries practical and a very important communicative function as well.

Various essential characteristics of various types of word building offer diverse specific possibilities for the fun use of the language. Composition, derivation, reduction and word breeding or contamination, prove to be the most fertile. Wordplay possesses especial value due to the fact that it makes text amusing, original, supple and ambiguous.

Ирина Круашвили
Функции и возможности игры слов
Резюме

Под игрой слов подразумевается преднамеренное, остроумное, шутивное применение языкового материала. Игра слов является определённым креативным способом словообразования, так как указывает на творческий аспект. Общие структурные и семантические особенности словообразовательных продуктов способствуют креативному подходу к словам. Сознательным, умышленным подходом к словообразовательным средствам и закономерностям можно достичь особых стилистических эффектов. В определённых жанровых текстах эстетическое, поэтическое воздействие игры слов весьма очевидно и ощутимо. Её широко употребляют авторы журналистических и рекламных текстов. Комментарий, эссе, фельетон отличаются наиболее высокой частотностью употребления игры слов. В наши дни даже в научных и деловых текстах встречаются интересные примеры игры слов. Наряду с эстетической функцией она часто обладает практической и весьма значительной коммуникативной функциями.

Существенные, основные признаки различных видов словообразования предлагают разнообразные специфические возможности для остроумного применения языка. Особенно плодотворным являются композиция, деривация, редукция и скрещение слов, т.е. контаминация. Особая значимость игры слов заключается в том, что с её помощью текст становится оригинальным, остроумным, загадочным, саркастическим и многозначным.



Марина Алексидзе
(Грузия)

ОТБОР ЯЗЫКОВОГО МАТЕРИАЛА ДЛЯ АКТИВИЗАЦИИ УПОТРЕБЛЕНИЯ СРЕДСТВ ВЫРАЖЕНИЯ ПОБУЖДЕНИЯ В РУССКОЙ РЕЧИ СТУДЕНТОВ- ГРУЗИН

Функционально-семантическая категория побуждения занимает особое место в сфере модальности, поскольку непосредственно ориентирована на коммуникативную функцию языка. Именно поэтому одной из основных задач преподавателя в процессе совершенствования навыков употребления побудительных конструкций в русской речи студентов-грузин является целенаправленный отбор и интерпретация грамматического и лексического материала, методически целесообразное описание этого материала с точки зрения говорящего и слушающего с учетом закономерных связей языковых единиц в процессе их функционирования в речи, а также сопоставления фактов русского и грузинского языков и родного языков.

При отборе и организации языкового материала для обучения способам выражения побуждения определяющим является функционально-грамматический подход к описанию различных семантических категорий, поскольку он позволяет учитывать такие факторы, как этап обучения, коммуникативная ценность побудительных конструкций, а также системная подача грамматического материала.

На продвинутом уровне становится актуальным обучение на коммуникативной основе, через реальные речевые ситуации, требующие употребления изучаемых языковых фактов. Студенты должны научиться выбирать наиболее подходящую из всех предложенных синонимичных конструкций, выражающих одну и ту же семантику. Коммуникативная ценность побудительных конструкций тем более очевидна, что категория побуждения содержится почти во всех иностранных языках, что обуславливает обращение к столь важному методическому принципу, как учет родного языка учащихся при обучении данной грамматической теме.

Функционально-семантическое поле побуждения можно разделить на три микрополя, соответствующих нейтральному, категорическому и смягченному вариантам побуждения. Каждое из указанных микрополей, в свою очередь, включает в себя несколько сегментов, отражающих конкретные проявления побудительной модальности, такие, как просьба, требование, совет и т.п. Учитывая конфигурацию ФСП побуждения, рассмотрим побудительные конструкции, входящие в каждое из выделенных микрополей.

Микрополе нейтрального побуждения.

Ситуация нейтрального побуждения имеет следующие характеристики:

а) коммуникативно-ролевой статус говорящего соответствует статусу адресата; б) говорящий нейтрален в своем эмоциональном воздействии на собеседника; в) говорящий оставляет собеседнику возможность выбора в принятии решения о выполнении / невыполнении обозначенного действия.

К микрополю нейтрального побуждения могут быть отнесены следующие конструкции:

1) императив глагола 2 л. ед./мн.ч.

Если хотите познакомиться с нашим районом, то встаньте около канцелярского магазина. Это на перекрестке Сто восьмой и Шестьдесят

четвертой. Приходите как можно раньше (Довлатов).

Несмотря на однозначность побудительного значения приведенных императивных конструкций, интенсивность побуждения зачастую зависит от контекста или речевой ситуации. Так, например, фраза *Катя, подай огурцов!* может выражать не только просьбу, но и представлять собой распоряжение, приказ, в зависимости от конкретной ситуации, проясняющей отношения говорящего и адресата, а также степень необходимости выполнения действия.

2) формы совместного действия:

а) *Ты слышишь, как он по-русски говорит, - поэт говорил и косился, следя, чтобы неизвестный не удрал, - идем, задержим его, а то уйдет (Булгаков).*

б) *Давайте-ка мы сначала мебель купим! (Чехов).*

Включение говорящим себя в исполнители названного действия исключает указанные формы из разряда категорических, оставляя их исключительно в микрополе нейтрального побуждения.

3) глагол в форме прошедшего времени множественного числа:

Эта конструкция по своим функциям близка к формам совместного действия, поскольку тоже предполагает участие говорящего в совершении действия.

Пошли назад! - махнул он им (Чехов).

4) глагол 3 л. ед./мн.числа с частицей *пусть*:

- Пусть матери расскажет всю правду. Может что и придумаем? (Андреева).

5) глагол в форме совместного действия с интонацией вопроса. Такие вопросительные конструкции наиболее употребительны в ситуациях предложения и просьбы.

Может, погуляем? Включим музыку? (из разговорной речи).

Вопрос в данных ситуациях является лишь формальным средством обращения, поскольку зачастую адресанту не нужен ответ собеседника для того, чтобы приступить к выполнению действия.

6) конструкции типа *прошу/советую/рекомендую/ предлагаю /приглашаю + инфинитив* (или лексико-контекстуальные распространители).

Рекомендую вам обратиться к врачу за советом.

Прошу тебя выслушать внимательно то, что я тебе скажу.

Прошу тишины (из разговорной речи).

Приведенные высказывания в большей мере характерны для официального стиля общения, например, при выступлении на публике и т.п.

7) вопросительные конструкции типа *(ты/вы) + глагол в форме будущего времени* или *(ты/вы) + не + глагол в форме будущего времени*:

Вы закроете окно? Не закроешь окно? Вы не подскажете, который час?

8) конструкции типа *следует/стоит/лучше + инфинитив*. Такие конструкции используются в основном для выражения совета. Их характерной особенностью является употребление глагола совершенного вида в инфинитиве.

Не стоит горевать о нем, не заслуживает он этого!

Вам лучше прилечь.

Конструкции со *следует* довольно часты в книжной речи.

9) безглагольные (эллиптические) побудительные конструкции. Основным формальным признаком таких конструкций, помимо отсутствия глагола, принято считать повелительную интонацию.

Употребление эллиптических побудительных конструкций характерно для стандартных ситуаций, в которых каузируемое действие обычно заранее известно исполнителю. Для большинства таких ситуаций характерен дефицит времени, и лаконизм побудительных высказываний оправдывается своевременным исполнением каузируемого действия.

Характерной, даже стандартной ситуацией для использования эллиптических побудительных конструкций является сфера обслуживания. Например, шоферу такси мы обычно называем только адрес, в магазине мы просим: *Полкило огурцов, пожалуйста*, на приеме врача или в парикмахерской мы часто слышим: *Следующий!*

Среди основных формальных свойств таких ситуаций можно выделить следующие:

- говорящий ставит себя выше слушающего (имеет более высокий социальный статус);
- еще до момента речи слушающий знает, какое именно действие будет каузировано;
- императивная конструкция служит сигналом к немедленному исполнению действия (Храковский, 1992:187).

Существует три основных типа безглагольных побудительных высказываний (Козырев, 1983).

а) побуждение адресата к продолжению действия с изменением его качества (быстрее, лучше и т.п.):

- *Скорей! Иероним! — крикнул мой мужик. - Барин дожидается!* (Чехов).
- *Правей лети, глупый, правее!* (Гайдар).

б) побуждение адресата к действию или движению в том или ином направлении:

- *Ну, оставить при госпоже. А борова к поварам!* (Булгаков).

в) побуждение адресата к действию, направленному на предмет или создание условий, необходимых говорящему:

- *Паспорт!- тьякнул кот и протянул пухлую лапу* (Булгаков.)

Конструкции типа *Чаю!*, *Сюда!*, *Ко мне!* иногда интерпретируются как эллиптические, т.к. в них опускаются глаголы со значением «давать», «идти» и проч.

Наряду с приведенными тремя типами функционируют безглагольные побудительные конструкции номинативного, вокативного, междометного и других типов.

- *Ну, полно, полно... - сказал адвокат, хлопая меня по плечу, и засмеялся* (Чехов).

В ситуациях нейтрального побуждения безглагольные конструкции выражают чаще всего просьбу, приглашение (предложение) или предостережение. Есть и такие ситуации, в которых смысл высказывания становится понятен только из контекста. Например, представим себе раздевалку в театре. Не являясь свидетелем сцены, вряд ли можно понять, что в данном случае обозначает фраза *Ваше пальто* - гардеробщик просит посетителя передать ему пальто с тем, чтобы повесить его на вешалку, или предлагает посетителю забрать свое пальто.

Вокатив отличается от других именных побудительных конструкций тем, что все эти значения передаются опосредованно, не через название требуемого действия, а через указание объекта воздействия. Характер же этого воздействия определяется субъективными и объективными обстоятельствами общения.

Из представленных безглагольных конструкций лишь те, что выражают совет, предложение и предостережение, относятся к микрополю нейтрального побуждения. Остальные же конструкции выражают семантику категорического побуждения.

Важно отметить, что интенсивность воздействия на собеседника таких ситуативно или контекстуально неполных предложений во многом зависит от ситуации или контекста, а также от интонации.

Микрополе категорического побуждения

Ситуация категорического побуждения отличается такими характеристиками, как а) коммуникативно-ролевой статус говорящего выше, чем у адресата; б) говорящий стремится оказать сильное эмоциональное воздействие на собеседника; в) говорящий не оставляет собеседнику возможности выбора, предполагая безоговорочное выполнение требуемого им действия. Приведем конструкции, которые можно отнести к микрополю категорического побуждения.

1) Инфинитив

- *Встать!-закричал визгливым женским голосом лейтенант Кноп и появился в дверях, пропуская полкового врача. - Встать, собачьи дети! (Паустовский)*

Считается, что употребление этих конструкций связано с высокой степенью экспрессивности и определенностью речевой ситуации. При этом, «чем экспрессивнее категоричность требования, достигающая высшего выражения в инфинитивном императиве по сравнению с личным императивом, тем определеннее речевая ситуация, в которой требование адресуется конкретному исполнителю» (Золотова, 1979:44).

2) конструкции типа *чтобы + пр. вр. глагола /инфинитив:*
Чтоб и глаза мои вас не видели! (Чехов).

3) императив 2-го л. ед./мн.ч.

- *Давайте! – сказал он грубо (Достоевский.)*

Как видно из приведенных примеров, форма императива наиболее четко и однозначно передает такие виды побуждения, как требование или приказ.

Поскольку в конструкциях с глаголом в форме 3-го лица ед./мн.ч. побуждение передается через посредство третьего лица, то оно не может быть категоричным. Поэтому такие конструкции не включаются в микрополе категорического побуждения.

Формы совместного действия также не могут входить в данное поле, т.к. конструкции с такими формами предполагают участие самого говорящего в выполнении действия, что определенным образом смягчает побуждение.

4) форма пр.вр. глагола

- *Пошел, пошел, не болтай! — сказал Чичиков (Гоголь).*

5) форма буд. вр. глагола

Особенно употребительна эта форма в ситуации распоряжения или запрета.

- *Никуда вы не поедете, - сказал Лаптев (Чехов)*

6) (я) настаиваю /требую/приказываю + инфинитив

чтобы ты/вы + глагол пр.вр.

Я приказываю вам сейчас же замолчать!

Я требую, чтобы вы немедленно покинули помещение!

7) безглагольные конструкции:

Такие конструкции просто незаменимы в приказах и командах. Например:

- *Живее, живее, старикан! Что ползешь, как вошь по струне? (Булгаков)*

- *Прочь с глаз долой! (Чехов).*

- *Ваши документы! (отсутствие «пожалуйста» и глагола делает побуждение*

категоричным).

Микрополе смягченного побуждения

Ситуация смягченного побуждения характеризуется следующими признаками:

а) коммуникативно - ролевой статус говорящего не является более высоким, чем у адресата; б) говорящий хочет смягчить директивный характер своего высказывания; в) говорящий следует «принципу вежливости»; г) говорящий оставляет за адресатом возможность дать отрицательный ответ на свой вопрос-побуждение.

Конституентами микрополя смягченного побуждения являются следующие конструкции:

1) форма сослагательного наклонения глагола

Остались бы... чаю попили бы (Чехов).

2) вопросительные конструкции

а) не + буд.вр. глагола 2-го л. + ли

Лисонька, не сведешь ли меня к царю на обед? (Русская народная сказка).

б) не + мог/могла/могли + бы + ты/вы + инфинитив

Не могла бы ты сходить со мной в институт? (из живой речи).

в) ты/вы + не можешь/можете + инфинитив

Ты не можешь подать мне ту книгу? (из живой речи).

г) не + инфинитив + ли + тебе/вам

Не искупаться ли вам в реке? (из живой речи).

д) почему бы тебе/вам + не + инфинитив

Почему бы тебе не поехать в отпуск на Канары? (из живой речи).

е) не хочешь/хотите ли + инфинитив или лексико-контекстуальные

распространители.

Не хотите ли со мной на консилиум, а? (Чехов).

3) императив 2-го л. ед./мн.ч. Обычно на мягкость тона говорящего указывает какой-нибудь лексико-контекстуальный показатель, находящийся при императиве. Это может быть частица *-ка*, ласковое обращение к собеседнику, использование уменьшительно-ласкательных суффиксов и проч.

Возьмите-ка, почитайте! (Чехов).

Пустите нас, миленький Максим, дорогой, - молили Турбин и Мышлаевский, обращая по очереди к Максиму ужасающие взоры на окровавленных лицах (Белая гвардия).

4) безглагольные конструкции

Машенька, сюда, пожалуйста (из живой речи); Водички бы (из живой речи).

Со стоном он подбежал к ней и... припал лбом к муфте и как бы замер.

- Ручку! Ручку святую! - проговорил он, задыхаясь (Чехов).

Использование в таких конструкциях уменьшительно-ласкательных суффиксов способствует смягчению побуждения.

Особо следует упомянуть *фразеоконструкции*, которые не относятся ни к одному из выделенных участков побудительной модальности. Это конструкции типа *Пьянству - бой! Родине - ударный труд!*, поскольку такие высказывания, хотя и имеют побудительную модальность, но ни один из компонентов фразеосистемы не обладает значением побуждения (Табачкова, 1988:56).

Отдельно следует рассматривать в качестве средства выражения побуждения в русском языке неопределенно-личные предложения: *Обещанного три года ждут. Так со взрослыми не разговаривают.* Адресат в этих предложениях имеет обобщенное

значение, он рассматривается как один из множества.

Литერატურა:

1. Золотова Г.А. Коммуникативные аспекты русского синтаксиса. М. 1982.
2. Козырев В.И. Актуализационные признаки безглагольных побудительных высказываний в современном русском языке: АКД. Л. 1983.
3. Табакова З.И. Имплицитная повелительность в именных конструкциях типа N3-N4 // ВЯ, 1988, № 4.
4. Храковский В.С. Повелительность. // Теория функциональной грамматики. Л. 1992.

მარინა ალექსიძე
ენობრივი მასალის შერჩევა ქართველი სტუდენტების რუსულ ენაზე
მეტყველებაში შეგულებების გამომხატველი საშუალებების
აქტივიზაციისათვის
რეზიუმე

შეგულებების ფუნქციურ-სემანტიკურ ველს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოდალობის სფეროში, ვინაიდან იგი უშუალოდ არის ორიენტირებული ენის კომუნიკაციურ ფუნქციაზე. სწორედ ამიტომ მასწავლებლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ქართველი სტუდენტების რუსულ ენაზე მეტყველებაში შეგულებების კონსტრუქციათა გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებისას წარმოადგენს გრამატიკული და ლექსიკური მასალის მიზანმიმართული შერჩევა. ამასთან, სხვადასხვა სემანტიკური კატეგორიის აღწერისადმი ფუნქციურ-გრამატიკული მიდგომა რჩება წამყვანად, ვინაიდან იგი შესაძლებლობას იძლევა გათვალისწინებულ იქნეს ისეთი ფაქტორები, როგორცაა სწავლების ეტაპი, შეგულებების კონსტრუქციათა კომუნიკაციური ღირებულება და ასევე გრამატიკული მასალის მიწოდების სისტემა. სტატიაში აღწერილია შეგულებების კონსტრუქციები, რომლებიც ქმნიან შეგულებების ფუნქციურ-სემანტიკური ველის სამ მიკროველს და შეესაბამებინ შეგულებების ნეიტრალურ, კატეგორიულ და შერბილებულ ვარიანტებს. ენობრივი მასალის შერჩევა მიმდინარეობს მათში ამა თუ იმ შეგულებების გამომხატველი სიტუაციისათვის დამახასიათებელი სემანტიკური ნიშნების კონცენტრაციის შემცირების გათვალისწინებით.

Marina Aleksidze
Selection of Language Material for the Activating of Usage of the Means
of Expression of Intention in the Russian Speech
of Georgian Students
Summary

The functional-semantic field of intention plays a special role in the field of modality, as it is directly oriented towards the communicative function of language. That is why one of the main aims of a teacher in the process of developing skills of usage of constructions showing intention in the Russian speech of Georgian students is to correctly select and interpret the grammatical and lexical material. With this respect, the key role is played by the

functional-grammatical attitude to the description of various semantic categories. Such attitude enables envisage factors like the stage of education, the communicative value of the constructions showing intention, as well as the system of explaining the grammatical material. The paper deals with the constructions of intention, comprising three micro-fields of the functional-semantic field of intention and corresponding to the neutral, categorical and mitigated variants of intention. The selection of the language material is implemented envisaging the decrease of concentration of semantic features characteristic of this or that situation of intention.



Марине Арошидзе
(Грузия)

ЯЗЫКОВАЯ СИТУАЦИЯ И ЯЗЫКОВАЯ ПОЛИТИКА В УСЛОВИЯХ ГЛОБАЛИЗАЦИИ

Начало двадцать первого века – период сложных общественно-политических процессов и природных катаклизмов. Процессы глобализации и интеграции затронули не только Европу, к тому же многочисленные природные катаклизмы заставляют все человечество задуматься над совместными действиями по спасению окружающей среды. А любая совместная деятельность нуждается в эффективной коммуникации.

История человечества изобилует разными типами языковых ситуаций: национальные государства с одним государственным языком, многонациональные государства с двумя государственными языками. В Советском Союзе даже существовал термин – «второй родной язык». Но интенсивные общественно-политические изменения (миграция населения, межнациональные конфликты и пр.) «перекроили» языковую карту Европы, изменили языковую ситуацию во многих странах, в том числе и в современной Грузии. На смену билингвизму приходит поликультуризм, который требует серьезных исследований на когнитивном уровне, в области коммуникативной лингвистики, психолингвистики, этнолингвистики.

В настоящее время специалисты самых разных областей знаний становятся профессионалами при владении, как минимум, тремя «языками»: а) языком социализации; б) языком специальности в) языком современных технологий.

В роли языка социализации чаще всего выступает родной язык, благодаря которому ребенок «вращается» в окружающий его социум. Но в поликультурном обществе социализация осуществляется и с помощью других языков, например, государственного языка. Под языком специальности мы понимаем язык, на котором молодой человек получает образование (как среднее, так и высшее), а также те языки, на которых он совершенствует свой профессиональный уровень. Языком современных технологий, бесспорно, является английский язык, хотя великое множество программ и сайтов функционируют на русском и на других международных языках.

В нашей стране резко активизировалось функционирование английского языка как международного. «Языковая карта» современной Грузии и «лингвистические иерархии» нуждаются в пристальном изучении, связанном с теоретическим исследованием таких вопросов, как языковое планирование, языковая политика. Ведь ошибки, допускаемые в социо-коммуникативном отношении могут быть катастрофическими как для политического диалога, так и для экономического сотрудничества. Сам термин «диалог» весьма условен, ибо современное сотрудничество скорее представляет собой «полилог». Поэтому надо стремиться к новому, не теряя старого. Приоритетное изучение английского языка должно сочетаться с сохранением русской коммуникативной компетенции, ибо русский язык не только один из распространенных международных языков, но и важнейший язык межкультурного общения на огромной территории постсоветского пространства.

В настоящее время Грузия переживает сложнейший в языковом отношении период, когда повсеместно взят курс на интенсивное изучение английского языка, но мультилингвизм еще не перерос в мультикультуризм. Русские культурно-исторические

реалии и советизмы уже агнонимичны для подрастающего поколения, а реалии англо-американской культуры еще далеко не привычны.

Изменение социальной структуры общества приводит к изменениям личности языковой, лишает ее привычного средства самореализации и самопонимания. В рамках антропоцентрической парадигмы центральными языковедческими проблемами стали «человек в языке и язык в человеке», осмысление феномена *homo loquens* – «человека говорящего». В современных условиях всеобщей глобализации и интеграции (сегодня в Европейском Союзе двадцать три официальных языка) студенты и молодые специалисты все чаще оказываются в инокультурной среде, когда владение несколькими иностранными языками становится необходимым условием их конкурентноспособности. Языковая, а точнее, коммуникативная компетентность (помимо компетентности профессиональной) – одно из главнейших условий успешного трудоустройства и карьеры. Современные грузинские школьники и студенты получают образование в условиях настоящего «лингвистического бума»: резко увеличилось количество иностранных языков, привычное «трио» обогатилось турецким, испанским и др. языками. Изменилась также языковая ситуация – это прежде всего сокращение русскоязычного населения, почти полное отсутствие языковой практики (кроме учебной деятельности в школе и вузе). Общение на русском языке, ранее охватывающее все стороны общественно-политической и культурной жизни, сосредоточилось в основном в сфере профессиональной. Круг людей, для которых доступны телевизионные передачи на русском языке и Интернет, довольно ограничен, к этому необходимо добавить, что язык средств массовой информации демонстрирует размывание и расшатывание литературных норм на всех уровнях языка, засилье заимствованной и нецензурной лексики. Не удивительно, что у грузинских студентов мотивация изучения русского языка, безусловно, очень низкая. Тогда как у турецких студентов она столь высока, что они занимаются очень интенсивно и, как правило, плодотворно, что не удивительно, ибо знание русского языка помогает им получить высокооплачиваемую работу. Для грузинских же студентов знание русского языка помогает в получении профессиональной компетенции и улучшает лишь довольно-таки отдаленную перспективу, не удивительно, что все внимание они переключают на изучение английского языка, чтобы использовать возможности многочисленных фондов и студенческих программ по изучению иностранных языков за рубежом.

Языковая личность в современной Грузии формируется на всех образовательных ступенях: сначала в дошкольных учреждениях, о чем свидетельствует большое количество детских садов, специальных студий, обучающих малышей иностранным языкам, в первую очередь английскому; затем в средних общеобразовательных школах, в которых почти повсеместно английский выступает как первый иностранный язык в сочетании со вторым иностранным языком, роль которого выполняет немецкий, русский, французский и даже турецкий языки; и, наконец, в высших учебных заведениях, где опять-таки приоритет прочно удерживает английский язык. Современный участник межкультурного диалога в Грузии – это языковая личность, владеющая как минимум тремя языками. Чаще всего это родной язык, английский и второй иностранный, в роли которого выступают разные языки. Пока еще в массе жители владеют разговорным русским языком, хотя русский язык перестал быть обязательным предметом в средней и высшей школе, а в случае выбора иностранного языка обычно уступает английскому языку. Знание русских культурных реалий, владение определенным объемом русских страноведческих фоновых знаний и пр. сохраняет статус русского языка как второго

иностранного в средней школе. В высшей школе выбор второго иностранного языка шире, чем в средней, часто студенты выбирают немецкий язык, иногда конкуренцию русскому языку как второму иностранному оказывает французский язык. А в некоторых регионах Грузии, например, в Абхазии, благодаря новой социо-культурной среде, благодаря все усиливающимся политическим и экономическим связям с Турцией, роль второго иностранного языка с успехом выполняет турецкий язык, тем более, что этот язык усиленно пропагандируется и организованы систематические бесплатные курсы по изучению турецкого языка.

С учетом тех изменений, которые произошли в нашем обществе за последние десятилетия, можно выделить следующие группы грузин-мультилингвов:

а) родной язык – грузинский, I иностранный – английский, II иностранный – русский;

б) родной язык – грузинский, I иностранный – немецкий, II иностранный – русский;

в) родной язык – грузинский, I иностранный – английский, II иностранный – немецкий, III иностранный – русский;

г) родной язык – грузинский, I иностранный – английский, II иностранный – турецкий;

д) родной язык – грузинский, I иностранный – английский, II иностранный – турецкий, III иностранный – русский;

е) родной язык – грузинский, I иностранный – русский.

Самой многочисленной является первая группа грузин-мультилингвов, самой малочисленной – последняя, основной ареал распространения этого типа – высокогорные села, куда «еще не ступала нога» учителя английского языка и пока еще сохраняется «старая гвардия» учителей русского языка.

На уровне высшей школы обучение иностранному языку как средству общения между специалистами разных стран в настоящее время не является чисто прикладной и узкоспециальной задачей. Вузский специалист – это широко образованный человек, имеющий фундаментальную подготовку. Соответственно, иностранный язык специалиста такого рода — и орудие производства, и средство повышения образования, и часть культуры. Все это предполагает фундаментальную и разностороннюю подготовку по языку. Поэтому мультилингвизм, по нашему глубокому убеждению, должен базироваться на мультикультуризме.

Языковая политика ООН в Европе акцентирует внимание на необходимости изучения нескольких иностранных языков и базируется на их уровневом изучении. Уже неоднократно отмечалось, что помимо английского необходимо популяризировать и другие европейские языки, что любой опыт по усвоению иностранных языков – бесценен. В свете всего вышесказанного становится очевидной необходимость продуманной языковой политики и интенсивных исследований процесса социализации мультикультурных языковых личностей.

მარინე აროშიძე
ენობრივი სიტუაცია და ენობრივი პოლიტიკა
გლობალიზაციის პროცესში
რეზიუმე

ინტენსიურმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა (მოსახლეობის მიგრაცია, ინტერნაციონალური კონფლიქტები და სხვ.) შეცვალეს ევროპის ენობრივი რუკა, ენობრივი სიტუაცია ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც. ბილინგვიზმი შეცვალა პოლიკულტურალიზმა, რომელიც მოითხოვს სერიოზულ კვლევას კოგნიტიურ დონეზე კომუნიკაციური ლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის, ეთნოლინგვისტიკის სფეროში.

გაეროს ენობრივი პოლიტიკა ევროპაში აქცენტს აკეთებს რამდენიმე ენის შესწავლის აუცილებლობაზე და ბაზირებს მათ დონეებრივ შესწავლაზე. უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ ინგლისური ენის გარდა საჭიროა სხვა ევროპული ენების პროპულარიაზაცია, რომ ნებისმიერი გამოცდილება უცხო ენების სწავლაში ფასდაუდებელია. ზემოთქმულის ჭრილში, განსაკუთრებით ნათელი ხდება გააზრებული ენობრივი პოლიტიკის და მულტიკულტურული ენობრივი პიროვნების სოციალიზაციის პროცესის ინტენსიური შესწავლის საჭიროება.

Marine Aroshidze
Language Situation and Language Policy in the Course of Globalization
Summary

Intensive social and political changes (migration, international conflicts, etc) altered the language map of Europe, changed the language situation in lots of countries, including Georgia. The bilingual approach was replaced by multi-cultural approach requiring significant researches at the cognitive level, in the area of communicative linguistics, psycholinguistics, ethnolinguistics.

The UN Language policy in Europe focuses on the necessity of several foreign languages and is based on the level approach to their learning. It has been already highlighted that apart of English, other languages should also be popularized, and any experience in learning foreign languages is priceless. In this light it becomes apparent that there is need for the comprehensive language policy and intensive study of the socialization process of the multi-cultural persona lingua.



ასმათ არძენაძე
(საქართველო)

კულტურათა სხვაობა – როგორ გავუმოთ ერთმანეთს

მასობრივი ინფორმაციის ინტენსიურმა განვითარებამ გამოიწვია ურთიერთობის არეალის გაზრდა. დღევანდელ საკომუნიკაციო სივრცეში ადამიანებს შეუძლიათ კონტაქტები დაამყარონ ყველასთან, დედამიწის ნებისმიერ კუთხეში. ჩვენი დროის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინტეგრაცია. ამან კი საშუალება მისცა მეცნიერებს ესაუბრათ ახალი ეპოქის კულტურათშორის და ცივილიზაციათა შორის დიალოგის ეტაპის დასაწყისზე.

ხალხებსა და კულტურებს შორის დიალოგის თემა ერთ-ერთი ძირითადია თანამედროვე ლინგვოკულტურულ კვლევებში. ამასთან, დიდი ყურადღება ექცევა კულტურათშორის სხვაობებს, კულტურის სფეროფიკას, რომლებიც განიხილება მათი ურთიერთქმედების ასპექტში. ურთიერთქმედება, უპირველეს ყოვლისა, ხდება ენების საშუალებით, ენა კი ცნობილია, რომ არის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ესთეტიკური, კულტურული და სხვ. კონტაქტების რეალიზაციის ინსტრუმენტი.

ადამიანი შედის სამყაროში როგორც განსაზღვრული კულტურის წარმომადგენელი. ის განსხვავდება სხვა კულტურის წარმომადგენლებისაგან. საკუთარი კულტურის ათვისების პროცესი მიმდინარეობს ქვეცნობიერად, განსაკუთრებით მისი განვითარების ადრეულ ასაკში. ადამიანი თითქოს შეზრდილია თავის კულტურასთან, ამიტომ საკუთარი კულტურის ბევრ ფენომენს და ელემენტს ის აღიქვამს როგორც ჩვეულებრივს. ზრდასთან ერთად ადამიანი თვითონ ცდილობს გაიაზროს რა არის მისთვის ფასეული, შეითვისოს ქვეყნის ნორმები, რომლებიც მიღებულია საკუთარი კულტურისათვის და მიიღოს ან არ მიიღოს ის.

როგორც ტერ-მინასოვა აღნიშნავს, ენათა სხვაობები ცნობილია ადამიანებისათვის უძველესი დროიდან. უცხო ენის შესწავლა შესაძლებელია, მაგრამ ენის შესწავლა ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვან ურთიერთობებს. ამისათვის საჭიროა ენობრივი ბარიერის გარდა კულტურული ბარიერის გადალახვა, რომელიც ბევრად უფრო რთული და სახიფათოა, ვიდრე ენობრივი. ენობრივი ბარიერისგან განსხვავებით, ის უხილავია (Ter-Minasyan, 2008:49).

ერთ ქვეყანაში ერთი ეროვნებისა და ერთი ენის მატარებელ ადამიანებსაც კი შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული კულტურა.

ინტერესი უცხო კულტურისადმი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ის გამოწვეულია უამრავი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციით, საინფორმაციო ტექნოლოგიების ბუმით.

კულტურათა სხვაობებისადმი ზედმეტი ყურადღება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის. ადამიანები რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი ხედავენ, ესმით, აღიქვამენ სხვადასხვაგვარად. აქედან გამომდინარე, თვლიან, რომ ერთადერთი კულტურა, რომელიც ნორმალურია, ეს საკუთარი კულტურაა. სწორედ ეს იწვევს არასწორ დამოკიდებულებებს სხვა კულტურებისა და მათი წარმომადგენლებისადმი.

კულტურასთან დაკავშირებულმა ყველა აქტუალურმა საკითხმა თანამედროვე პირობებში არნახული სიმწვავე შეიძინა. განსაკუთრებით გამწვავდა ინტერესი სხვადასხვა ერის კულტურათა შესწავლის მიმართ. იბეჭდებოდა პუბლიკაციები დიალოგების თემაზე და განსაკუთრებით კი კულტურათა კონფლიქტებზე. ტარდებოდა კონფერენციები, კონგრესები კულტურის საკითხებზე, საშუალო სკოლებში შეტანილი იქნა კულტუროლოგიისა და ანთროპოლოგიის საგნები. ყველაფერი ეს მოწმობს თანამედროვე ინფორ-

მაციათა ბუმზე, ინტერესების გაღვივებაზე კულტურის პრობლემებთან მიმართებაში.

სამწუხაროდ, ამ ბუმის უკან იმალება არა მარტო კეთილშობილური და შემოქმედებითი ინტერესები – გაამდიდროს საკუთარი კულტურა სხვათა გამოცდილებით, არამედ სხვა მიზეზები: ბოლო წლებში ინტენსიურმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა მსოფლიო მასშტაბით მიგვიყვანა ხალხთა არნახულ მიგრაციამდე. სწორედ მათ გადასახლებასა და სხვა კულტურასთან არევის მიყვარტ კულტურათა კონფლიქტებამდე.

ამავე დროს, შეიმჩნევა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. საზოგადოების მშვიდობისმოყვარე და გონიერ ხალხთა ნაწილი ხსნის ახალი შესაძლებლობების გზებს, ურთიერთობების ახალ ფორმებსა და სახეებს, რომელთა ეფექტურობის მთავარი პირობა არის ურთიერთგაგება, მოთმინება, კულტურათა დიალოგი, პარტნიორთა კულტურის დაფასება.

ყოველივე ამან კი მიგვიყვანა იქამდე, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიგვექცია კულტურათშორისი ურთიერთობების საკითხებზე. ეს ის საკითხებია, რომლებიც კაცობრიობას აწუხებდა უხსოვარი დროიდან. ამის დასადასტურებლად გავიხსენოთ ანდაზა. ანდაზები ითვლება ხალხური კულტურის კონად. ეი ხალხური კულტურის გამოცდილებად, რომლებიც ინახება ენაში და გადაეცემა თაობიდან თაობას. მაგალითად, რუსული ანდაზის – „В чужой монастырь со своим уставом не ходят“ – შესატყვისი ინგლისურ ენაშიც მოიძებნება – „when in Rome do as Romans do“. ამ ანდაზის სიტყვასიტყვითი თარგმანი იქნება ასეთი: რომში თუ ხარ, რომაელივით მოიქეცი. როგორც რუსული, ისე ინგლისური ანდაზის რამდენიმე შესატყვისი ქართულ ენაშიც მოგვეპოვება: 1) სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო. 2) მგლებში მაცხოვრებელმა, ყმუილიც უნდა ისწავლოსო. 3) ვარდთან ვარდობა იგემე, ეკალთან ეკლის რქებია. 4) მგელს მგლურად დაუხვდი, მელას მელურადო. ყოველ ენაში ხალხური სიბრძნე ცდილობს დაიცვას თავისი ენა კულტურათა კონფლიქტისაგან.

კულტურემა აერთიანებს მშობლიურ ენას სხვა კულტურასთან და ერთდროულად გამოყოფს მას სხვა უცხო კულტურისაგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მშობლიური ენა – ეს არის ფარი, რომელიც იცავს საზოგადოების ეროვნულ თავისებურებას.

კულტურათა კონფლიქტების ყველაზე ნათელ მაგალითებს გვაძლევს, უბრალოდ, რეალური ურთიერთობები უცხოელებთან, როგორც მშობლიურ ქვეყანაში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. სწორედ ასეთ კონფლიქტებზეა შექმნილი მრავალი სახის ანეკდოტი, კურიოზი, არასასიამოვნო დრამები და სხვა.

მაგალითები კულტურათა კონფლიქტებზე შესაძლოა უსასრულოდ მოვიყვანოთ. უცხოური ლიტერატურის კითხვისას ვეცნობით უცხო ქვეყნის ხელოვნებას. უცხოური ლიტერატურის კითხვისას გარდაუვალია უცხო ქვეყნის კულტურის გაცნობა და მასთან კონფლიქტი. ამ კონფლიქტის პირობებში ადამიანი იწყებს საკუთარი კულტურის ღრმად შესწავლას, იაზრებს საკუთარ მსოფლმხედველობას და საკუთარ დამოკიდებულებას ცხოვრებასთან და ადამიანებთან (Тер-Минасова, 2008:24).

ის წიგნები, რომლებიც აკრძალულია ამა თუ იმ პოლიტიკური რეჟიმითი, ნათლად მოწმობენ იდეოლოგიის კონფლიქტზე და კულტურათა შეუთავსებლობაზე. მეცნიერების წინაშე დგას რთული ამოცანა: პირველ რიგში, ისინი ცდილობენ გამოიკვლიონ კულტურის ფესვები, აღმოცენება, ფორმა, სახე, კულტურისა და ურთიერთობის განვითარება სხვადასხვა ერს შორის და ხალხს ასწავლონ უცხო კულტურის მოთმინება, პატივისცემა და აღქმა.

ლიტერატურა:

1. Тер-Минасова С.Г., Война и мир языков и культур. Москва. 2008.
2. Тер-Минасова С.Г., Язык и межкультурная коммуникация. Москва. 2008.

Asmat Ardzenadze
Difference in Cultures - How to Understand Each Other
Summary

Native language and culture is considered to be habitual and admissable. During the process of learning a language, due to the influence of native language, a human being is making a lot of mistakes. Linguistic mistakes may cause some misunderstandings. However, the mistakes which are caused due to less cultural background knowledge, become more dangerous. Cultural barrier among the representatives of different cultures arises disharmony and conflicts. That is why, it is very important to assimilate not only foreign language but foreign culture as well.

Асमत Ардзенадзе
Различие культур - Как понять друг друга
Резюме

Родной язык и родная культура воспринимаются как нечто привычное, приемлемое. При изучении иностранного языка под влиянием родного языка человек допускает целый ряд ошибок. В результате лингвистических ошибок возникают недопонимания. Однако гораздо более болезненно воспринимаются ошибки, которые вызваны незнанием чужой культуры. Незнание чужой культуры создает т.н. культурный барьер, вызывающий дисгармонию, конфликт. Именно поэтому так важно при изучении иностранного языка изучать культуру народа изучаемого языка.



დარეჯან რაზმაძე
(საქართველო)

**ემოციური ლექსიკონის ერთეულები, როგორც
ლინგვოკულტურული კონცეპტები**

სამყაროს აღქმისა და შემეცნების პროცესს თან ახლავს ადამიანის შეგრძნებები, განცდები, სურვილები. შესაბამისად, რადგანაც ენა წარმოადგენს აქტუალური ინფორმაციის მიღება-გადაცემისა და რაციონალური გადამუშავების ძირითად საშუალებას, ის ნებისმიერ დონეზე აუცილებლად შეიცავს ემოციურ კომპონენტებს. ემოციები გამოსჭვივის სიტყვებში, ფორმანტებში, ფრაზებში, რომლებსაც წარმოთქვამს კონკრეტული ინდივიდი. ისინი არსებობს ყოველი ენობრივი პიროვნების ცნობიერებაში, მაგრამ მათი ექსპლიკაცია დამოკიდებულია როგორც სამეტყველო აქტის პირობებზე, სამეტყველო სიტუაციაზე, ინტენციაზე, ისე, ზოგადად, პიროვნების გარე სამყაროსთან ურთიერთობის სპეციფიკაზე. განცდებისა და შეგრძნებების ექსპლიკაცია შეიძლება როგორც ვერბალურად, ისე არავერბალურად, მაგრამ ჩვენი კვლევის საგანია მათი ვერბალიზაციის საკითხი ლინგვისტური, კოგნიტური და კულტურული ასპექტების სინთეზში. ნებისმიერი ემოციური მდგომარეობის ვერბალიზაციას წინ უძღვის მათი გამომწვევი კონკრეტული მიზეზის შეგრძნება და განცდა. ემოციური განცდის ეს თავდაპირველად აბსტრაქტული აზრი ილექება და მას შემდეგაც განაგრძობს ადამიანის ცნობიერებაში არსებობას, როდესაც მისი გამომწვევი მიზეზი ან ფაქტორი წყვეტს არსებობას. ენა აფიქსირებს ემოციასა და მის თანამდევ რეაქციას და ფსიქოფიზიკურ მდგომარეობას, რის შედეგადაც ყალიბდება წარმოდგენა ამ ემოციის არსებითი ნიშან-თვისებების შესახებ. ასე ვიღებთ მოცემული ემოციის განზოგადებულ, კონცეპტუალიზებულ ფორმას. სწორედ კონცეპტის სახით ინახება ის ადამიანის ცნობიერებაში. კონცეპტი წარმოადგენს კულტურული ნიშნით მარკირებულ აზრობრივ ერთეულს, რომელსაც გააჩნია მსოფლმხედველობრივი მიმართულება. ის არის კოლექტიური აზროვნების შედეგი, ინახება ენობრივი პიროვნების ინდივიდუალურ ცნობიერებაში და გამოიხატება სხვადასხვა ენობრივი საშუალებით. ამიტომ, ის ყოველთვის ატარებს სუბიექტურ ხასიათს.

მოცემულ შემთხვევაში კონცეპტები კულტურის საბაზისო ერთეულებია. „ისინი არა მხოლოდ უნივერსალიებია, საგნების ფართე კლასის ზოგადი თვისებებით, არამედ სულიერი არსის მატარებლებია, რომლებსაც ძალუბო უზრუნველყოფს კავშირი სამყაროს სხვადასხვა თანრიგის იდეებს შორის – ღვთიურსა და ადამიანურს შორის, რომლებიც აღინიშნება უკიდურესი სულიერი დაძაბულობით. კონცეპტები არის ადამიანის სულიერი კულტურის ელემენტები, შექმნილი ადამიანის მიერვე, რათა შეიცნოს საკუთარი თავი და საკუთარი ადგილი სამყაროში. აქ შედის სიყვარული, რწმენა, სიკვდილი და უკვდავება, ჭეშმარიტება და ტყუილი, მშვენიერება, ბედნიერება და სხვა“ (Воркачев, 2004).

კონცეპტი, როგორც მენტალური ერთეული, ინდივიდის ცნობიერებაში უკავშირდება სოციუმის კონცეპტოსფეროს, ანუ კულტურას; ხოლო კონცეპტი, როგორც კულტურის ერთეული, წარმოადგენს კოლექტიური გამოცდილების ფიქსაციას, რომელიც ხდება ინდივიდის კუთვნილებით. ლინგვოკოგნიტური კონცეპტი არის ინდივიდუალური ცნობიერების მიმართულება კულტურისაკენ, ხოლო ლინგვოკულტურული კონცეპტი წარმოადგენს მიმართულებას კულტურიდან ინდივიდუალური ცნობიერებისაკენ (Смирнова, 2009:247-253). ვ. ი. კარასიკი და გ.გ. სლიშკინი ლინ-

გვოკულტურულ კონცეპტს ახასიათებენ როგორც „პირობით მენტალურ ერთეულს, რომელიც გამოიყენება ენის, ცნობიერებისა და კულტურის კომპლექსური შესწავლისას“ (Карасик, Слышкин, 2001:75-81). მათი აზრით, კონცეპტი დევს ცნობიერებაში, წარმოადგენს კულტურის ელემენტების მენტალურ პროექციას და განსხვავდება ენაში და/ან მეტყველებაში.

რაც შეეხება ემოციებს, კონკრეტულ კულტურაში, სოციუმში სოციოლოგიზებული ენის საშუალებით ობიექტივირებული ემოციები იძენენ ემოციური კონცეპტების თვისებებს, რომელსაც ნ.ა. კრასავსკი განიხილავს როგორც „ეთნიკურად, კულტურულად განპირობებულ, სტრუქტურულ-აზრობრივ, ლექსიკურ და/ან ფრაზეოლოგიურად ვერბალიზებულ წარმონაქმნს, რომელიც ემყარება ცნებით საფუძველს“ (Красавский, 2002:113-119). ემოციური კონცეპტი, როგორც ლინგვოკულტურული კონცეპტის სახეობა, წარმოადგენს მაღალი ხარისხის აბსტრაქციის მენტალურ ერთეულს, რომელიც ენობრივ ცნობიერებაში ასახავს ხალხის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას ემოციური განცდის შესახებ უნივერსალური და კულტურულად სპეციფიკური წარმოდგენების სახით. ენა ინახავს სოციალურ გამოცდილებას, ემოციები კი ამ გამოცდილების მიმართ დამოკიდებულების ობიექტივაციის საშუალებას წარმოადგენს. ემოციური კონცეპტები განისაზღვრება ისეთი სოციოკულტურული ფაქტორებით, როგორებიცაა: ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, აზროვნების სტერეოტიპები, ქცევის მოდელები და რომლებიც ყალიბდება ამა თუ იმ ეთნოსის ისტორიული განვითარების პროცესში.

როგორც ვხედავთ, ლინგვოკულტურული კონცეპტი წარმოადგენს კულტურულად ან ნაციონალურად შეფერილ მენტალურ ერთეულს, რომელშიც ფიქსირდება ემოციური კომპონენტი და ინდივიდისა და კოლექტივის მიერ სამყაროს შემეცნებისა და განცდის სუბიექტური და ობიექტური გამოცდილება.

ჩვენი მიზანია, განვიხილოთ, თუ რა კოგნიტური და კულტურული ფაქტორები განაპირობებს ლინგვოკულტურული კონცეპტის „დიდება“, „Слава“, „Glory“ ემოტიურობას. აგრეთვე, ქართული, რუსული და ინგლისური ენების შედარებითი ანალიზის საშუალებით გავარკვიოთ, რა მსგავსება და სპეციფიკა ახასიათებს აღნიშნული კონცეპტის გააზრებასა და ვერბალურ რეპრეზენტაციას განსხვავებული მენტალობისა და კულტურის მქონე ეთნოსების ენობრივ ხატში.

რაც შეეხება კვლევის მეთოდს, მიზანშეწონილად გვესახება მივმართოთ ენობრივი ნიშნის ლექსიკური მნიშვნელობის კომპონენტურ ანალიზს, ხოლო აზრის უმცირესი ელემენტების, მათ შორის, ემოტიური ელემენტის გამოსავლენად ვისარგებლებთ პროფ. ჟ. ვარძელაშვილის მიერ შემოთავაზებული ნანოსემების ანალიზის მეთოდით, რომელიც გულისხმობს ენის ლექსიკურ-სემანტიკური დონის ძირითადი ერთეულის – სემემის დაშლას კიდევ უფრო მცირე ელემენტებად: სემად, სემანტიკურ მარკერად, დიფერენციალურ ნიშნად, მნიშვნელობის კომპონენტად, აზრის ატომად, ნანოსემად (Вардзелашвили, 2003, 2007).

კომპონენტური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ, მოცემული ლექსემის დეფინიციების რაოდენობაში განსხვავების მიუხედავად (ქართულში ფიქსირდება ხუთი, რუსულში – ექვსი, ინგლისურში – ხუთი), სამივე ენობრივ ხატში ფიქსირდება კონცეპტში „დიდება“ შემავალი საერთო მნიშვნელობა –საყოველთაო აღიარება, სახელი, პატივი (почет, honour) დამსახურების, ნიჭის, ღირსეული ქმედების გამო. ინგლისურსა და რუსულ ენებში „დიდება“ გულისხმობს ბრწყინვალეობას (glory, сияние), ქებას, მაღლიერებას. ქართულში – პატივისცემას და სიყვარულს. დიდება უკვდავებაა, სახელის დატოვება სიკვდილის შემდეგ. კულტუროლოგების აზრით, ადამიანისათვის დიდებისაკენ ლტოლვა, დიდების მოპოვება დაკავშირებული

ღია პირველყოფილ სურვილთან, არ გაქრეს გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ, თუ ამ სურვილს არ კვებავს ღირსეული იმპულსი, დიდი სულიერი ღირებულება, ის გადაიქცევა ამოუბად (тщеславие), ცუდმედიდობად (славолюбие). როცა დიდების წყურვილი (жажда славы) სცილდება მაღალი კულტურული ღირებულების კატეგორიას, ის გარდაიქმნება უარყოფით ენერგიად, რომელსაც შეიძლება სახელი კი მოაქვს, მაგრამ ის უკვე აღარ არის დაფასების, სიყვარულის, პატივისცემის მომტანი საზოგადოებრივი კრიტერიუმების თანახმად. აღსანიშნავია, რომ მსგავსი რეალიის ნომინირება ინგლისურ ენაში ხდება განსხვავებული ლექსიკური ერთეულით notoriety, რაც ეკვივალენტია ქართული „ცუდი სახელი“ და რუსული „дурная слава“ კოლოკაციებისა. როგორც დეფინიციის კომპონენტური ანალიზის შედეგები აჩვენებს, იკვეთება ორმხრივი დამოკიდებულება: ერთი მხრივ, „დიდება“ მოიაზრება როგორც წარმატების, ნიჭის ნიშანი, დამსახურების აღიარება და პოზიტიურ აზრს შეიცავს; მეორე მხრივ კი – დიდების წყურვილს ნეგატიური გავლენა აქვს (მაგ.: слава Герострата, ბოროტი საქმით მოხვეჭილი სახელი). უარყოფით აზრს ატარებს კონცეპტის „слава“ ერთ-ერთი მნიშვნელობა რუსულ ლინგვოკულტურაში და ნიშნავს ჭორს, მითქმა-მოთქმას. ამგვარად, რუსულ ენაში слухи+молва=дурная / худая слава (ვინმეს შესახებ, რომელსაც ცუდი რეპუტაცია აქვს საზოგადოებაში), რაც არ ფიქსირდება ქართულსა და ინგლისურ ენებში. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურსა და ქართულ ლინგვოკულტურაში კონცეპტის „დიდება“ ხატოვანი მახასიათებლები ყოველთვის ატარებენ დადებით შეფასებას. მასთან დაკავშირებული ან მისგან გამომდინარე უარყოფითი შეფასებები გამოხატულია განსხვავებული ლექსიკური ერთეულებით და არა დერივაციით ან სიტყვათშეთანხმებით.

ამასთან დაკავშირებით, ლოგიკურად გვეჩვენება თვალი მივადევნოთ, როგორ ავითარებს კონცეპტუალიზაციის განსხვავებულ ვექტორებს ყველა დასახელებულ ლინგვოკულტურაში არსებული თავდაპირველი „დიდება“ – ღმერთისადმი მიმართვა. თუმცა, რუსული ენობრივი ცნობიერება ინახავს მას როგორც არქეტიპულს, რაც მტკიცდება უკვე აღნიშნული ფაქტებით. რელიგიურ დისკურსში, ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, „დიდება“, „glory“, „слава“ აღნიშნავს ღვთის სადიდებელს, ხოტბას. „დიდება არს ღმერთისა ყოველთა სიწმიდეთა და სახიერობათა და ქველის მოქმედებათა ხსენება“ (ს.ს. ორბელიანი). სამივეში დამკვიდრებულია ღვთის სადიდებელი შეძახილი: „დიდება უფალს!“, „слава Бору!“, „Let us give glory to God!“ შესაბამისად, კულტურული მოდელის წარმართობიდან ქრისტიანობაზე ფუნდამენტური ცვლის პირობებში ცნება „დიდება“ აღარ ვრცელდება მხოლოდ ადამიანზე. დიდება ერთ-ერთი მთავარი ბიბლიური ცნებაა. „ღმერთთან მიმართებაში ის აღნიშნავს ღვთის სიდიადეს, მისგან მომდინარე ბრწყინვალეობას. ასევე, ის წარმოადგენს ღვთის საუფლოს ნიშანს, მის მარადიულობასა და სისპეტაკეს. ამქვეყნიური, წარმავალი და ცოდვილი სამყაროსგან განსხვავებით, სადაც ღმერთი ეცხადება ადამიანს, იქვე ნათელი ხდება მისი დიდება, თუმცა, ადამიანს არ უწერია სრულად იხილოს ღვთიური დიდება. როდესაც ადამიანები ქრისტეს რწმენით ხსნას პოვებენ, ისინი ღვთის შვილები ხდებიან და მათ ეხება მაცხოვრის სიტყვები: „მე მათ მივეცი დიდება, რომელიც შენ მომმადლე“ (Библейская Энциклопедия Брокгауза). ღირს მამა მაკარ ეგვიპტელს თუ დავესესხებით, წმინდანები, რომელნიც ღმერთს მადლობას სწირავენ, შეიძლება ხედავენ არა ღვთის დიდებას, არამედ ადამიანების დიდებას, მათი ახლობლების ბრწყინვალეობას, ადამიანის თვალისმომჭრელ სხივს, რომელიც შექმნა ღმერთმა და ამქვეყნიური დიდების მოპოვებით სასუფევლისკენ მიმავალი გზა გაუხსნა.

ამრიგად, ლინგვოკულტურული კონცეპტი „დიდება“ მოიცავს უმაღლესი კა-

ტეგორიის სულიერ ღირებულებებს, რწმენას, მადლიერებას, ღირსებას, დიად საქმეებს. ზოგჯერ იმდენად დიდია დიდების მოპოვების, აღიარების ცდუნება, რომ ჩვეულებრივ მოკვდავს უჭირს დაიცვას ოქროს შუალედი და ჭეშმარიტი ღირებულებების ნაცვლად იაფფასიან პოპულარობას გამოეკიდოს. „დიდება“ იმდენად ბევრისმომცველი ცნებაა, რომ ის უდავოდ უკავშირდება ემოციურ აღქმას და ემოციურ ექსპლიკაციას. კონცეპტის ბუნებიდან გამომდინარე, ეს ემოციები ხშირად ურთიერთგამომრიცხავიც არის. აღტაცება, ძლიერი და ჭეშმარიტი გრძნობა, უღრმესი პატივისცემა და მოწიწება, თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა, შური და თავდადება შედის კონცეპტ „დიდებას“ კონცეპტუალურ ველში და მონაწილეობს საზოგადოებისა და პიროვნების მორალურ-ზნეობრივ ფორმირებაში.

ლიტერატურა:

1. Библейская Энциклопедия Брокгауза: электронный ресурс; режим доступа: www.dic.academic.ru; дата доступа: январь-июнь, 2011.
2. Вардзелашвили Ж. А., Наносемы лексических структур. Русское слово в мировой культуре. СПб., 2003.
3. Вардзелашвили Ж. А., Наносемы как латеральный компонент значения слова. Acta Linguistica. Vol. 1. No 1. Sofia, 2007.
4. Воркачев С. Г., Счастье как лингвокультурный концепт. М., 2004.
5. Карасик В. И., Слышкин Г. Г., Лингвокультурный концепт как единица исследования. Методологические проблемы когнитивной лингвистики. Воронеж, 2002.
6. Красавский Н. А., Русская и немецкая концептосферы эмоций (опыт лингвокультурологического анализа словарных статей). Методологические проблемы когнитивной лингвистики. Воронеж, 2002.
7. Лихачев Д. С., Концептосфера русского языка . Изв. РАН Сер. лит. и яз. Т. 52. №3.
8. Лотман Ю. М., Семиосфера. С-Пб., 2001.
9. Смирнова О. М., К вопросу о методологии описания концептов, Филология. Искусствоведение Нижегородского университета им. Н.И. Лобачевского, 2009, № 3.
10. Стернин, И.А., Методика исследования структуры концепта. [Текст] / И. А. Стернин // Методологические проблемы когнитивной лингвистики: Научное издание /Под ред. И. А. Стернина. Воронежский государственный университет, 2001.

ლექსიკონები:

1. The Concise Oxford Dictionary of Current English. Fourth Edition. 1958.
2. ელექტრონული რესურსი; მისაწვდომობის რეჟიმი: <http://www.merriam-webster.com/dictionary>; მისაწვდომობის თარიღი: იანვარი-ივნისი, 2011.
3. Кузнецов С. А. *Большой толковый словарь русского языка*. - 1-е изд-е: СПб.: Норинт. 1998.
4. Даль В. И. *Толковый словарь живого великорусского языка*. Издательство «Цитадель». Москва.1998.
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986.
6. ორბელიანი ს. -ს. ლექსიკონი ქართული, ტ I, თბ., 1991.

Darejan Razmadze
Emotive Lexical Units as Linguocultural Concepts
Summary

The article deals with the issue of identifying the cognitive and cultural factors causing emotivity of linguocultural concept "Glory", „dideba”, „слава". It aims to analyze the similarities and specificity of interpretation and verbalization of the given concept in the linguistic picture of different ethnic groups according to their mentality and cultural background.

Дареджан Размадзе
Эмотивные лексические единицы как лингвокультурные концепты
Резюме

В статье рассмотрен вопрос выявления когнитивных и культурных факторов, обуславливающих эмотивность лингвокультурного концепта “Glory”, „დიდება”, „Слава”. Анализируется сходство и своеобразие осмысления и вербализации данного концепта в языковой картине различных этносов с учетом их ментальности и культурной принадлежности.



სალომე მენაბდე
(საქართველო)

**ფული, როგორც ეკონომიკური ტერმინი და
კულტურათაშორისი კონცეპტი**

ადამიანის სამყაროსთან ურთიერთობის სპეციფიკა აისახება ენაში, რომლის საშუალებითაც ის აგებს სამყაროს სურათს. როგორც მარტინ ჰაიდეგერი მიუთითებდა, ადამიანი ასახავს სამყაროს როგორც სურათს; სამყარო მისთვის სურათში გარდაიქმნება (1985). ხოლო ჟ. დელოზის მიხედვით, სამყაროს შემეცნება კონცეპტებში აისახება. ცნობილ ნაშრომში „აზრის ლოგიკა“ (1998) დელეზი განმარტავს: კონცეპტი აზრის მტკიცე კოლტია ცნობიერებაში.

ბუნებრივია, რომ კონცეპტი – აბსტრაქციაა, მაგრამ თანამედროვე მეცნიერებაში მისი არსებობა უდავოა, ხოლო სამეცნიერო დისკუსიის საგანს წარმოადგენს ამ სამეცნიერო აბსტრაქციის გაგება, რომელიც ვარირებს მეცნიერებისა და სკოლების შესაბამისად. ასე, მაგალითად, ჟაკ დელოზი და ფელიქს გვატარი ამტკიცებენ, რომ კონცეპტი, გარდა ფილოსოფიისა, ვერსად ვერ იარსებებს (1998). მაგრამ კოგნიტური მეცნიერებები და ლინგვისტიკა აღიარებს მის არსებობას ენობრივი პიროვნების ცნობიერებაში. უფრო მეტიც, კოგნიტური მეცნიერებების ციკლში კონცეპტი წარმოადგენს ძირითად, საბაზისო ტერმინს შემეცნების პროცესების შესწავლისას. ხოლო გარე სამყაროს შემეცნების პროცესს კონცეპტუალიზაციას უწოდებენ. მიჩნეულია, რომ ადამიანის ცნობიერებაში გარკვეულ ცნებასთან დაკავშირებული აზრები მხოლოდ ნაწილობრივ ექვემდებარება ვერბალიზებას, რადგან ცნებაში შედის ვიზუალური ხატები, ტაქტილური შეგრძნებები, ქვეცნობიერი და არაცნობიერი. და ეს ყველაფერი სიტყვის მნიშვნელობასთან ერთად ცნობიერებაში აყალიბებს მოვლენის კონცეპტუალიზაციას.

თანამედროვე მეცნიერება ადამიანის ბუნების შესწავლისას მიუახლოვდა არამატერიალურს, ისეთს, როგორც მისი ცნობიერების სტრუქტურებია. ამ სტრუქტურებთან შედევვის ერთადერთ საშუალებად ბუნებრივი ენის ერთეულებია მიჩნეული. ანუ, ენის ნიშნის მატერიალურიდან, აბსტრაქტულამდე: მნიშვნელობამდე, ცნებასთან და მის შეფასებამდე, იდეასთან და ასოციაციებთან. ეს ყოველივე იმ სტრუქტურას წარმოადგენს, რასაც ლინგვისტიკაში კონცეპტს უწოდებენ. ხაზი გავეუსვათ იმას, რომ ლინგვისტიკაში შეისწავლება მხოლოდ კონცეპტის ვერბალიზებული ნაწილი და მოვლენასთან დაკავშირებული კულტურული კონტექსტი. ამ შერწყმაში ვლინდება კონცეპტუალური სტრუქტურების ეთნოსპეციფიკური კომპონენტი. ხოლო მიღებული მონაცემების საფუძველზე რეკონსტრუირებენ ამა თუ იმ ენის სამყაროს სურათს.

ისევე როგორც კონცეპტი, ცნება „სამყაროს სურათი“ მეცნიერული აბსტრაქციაა. ამ ტერმინს მკვლევრები იყენებენ პასუხისთვის, თუ როგორ აცნობიერებს და ყოფს კატეგორიებად ადამიანი ათვისებულ ინფორმაციას. ლინგვისტიკაში უკვე რამდენიმე ათეული წელია ოპერირებენ ცნებით „სამყაროს ენობრივი სურათი“. მის პარალელურად ასევე სულ უფრო ხშირად იყენებენ ცნებას „სამყაროს კონცეპტუალური სურათი“. ეს უკანასკნელი გაგებულა, როგორც ადამიანის კოგნიტური მოღვაწეობის რეპრეზენტაცია, მათ შორის, ენობრივ ფორმებშიც. ამასთან დაკავშირებით, მოვიყვანოთ კუბრიაკოვას სიტყვები: სამყაროს ენობრივი სურათი „ეს არის „ადამიანის კონცეპტუალური სურათის ის ნაწილი, რომელიც მიბმულია ენასთან და რომელიც ენობრივ ფორმებშია გარდატეხილი“ (კუბრიაკოვა, 1988:142).

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს კონცეპტი „ფული“. როგორც სამყაროს ენობრივი სურათის ფრაგმენტი. კონცეპტი „ფული“ არის კულტურულად ათვისებული, მიეკუთვნება „სოციალურ“ სამყაროს ენობრივი სურათის ფრაგმენტს. ამ კონცეპტის ენობრივი ვერბალიზატორების სიმრავლე მოწმობს მის კულტურულ ღირებულებას: ფულის გადაცვლა, ფულის ხარჯვა, ფულის ძალა და ა. შ. ყველა ეს მიეკუთვნება კონცეპტის საბაზისო დონეს, რადგან ამ ერთეულთა კავშირი პროტოტიპულ ელემენტთან ექსპლიციტურია. ცხადია, რომ ცნების ენობრივი ექსპლიკატორების სიმრავლე, მისი გათავისება სხვადასხვა ლინგვოკულტურით განპირობებულია თვითონ „ფულის“ ფენომენით: ითვლება, რომ ფული არსებობს ისევე დიდი ხანია, როგორც თვით კაცობრიობის ცივილიზაცია. ფულადი მნიშვნელობა ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მონეტებამდე პერიოდში; როგორც ისტორია ამტკიცებს, ლითონის მონეტა პირველად გაჩნდ ქვ. წ. აღ. VII საუკუნეში. ჯერ კიდევ ქვ. წ. აღ. V საუკუნეში სპარსეთის მეფე დარიოსმა განახორციელა ეკონომიკური რევილუცია, შემოიღო რა ხმარებაში მონეტები. მონეტები იჭედებოდა: სპილენძისგან, ვერცხლისგან, ოქროსა და პლატინისგან. მოგვიანებით გაჩნდა ფულადი ნიშნები, რომლებსაც არ ჰქონდათ თვითღირებულება და მიმოქცევისას ცვლიდა ძვირფასი ლითონების მონეტას. ფული ყველა ადამიანს სჭერია ხელში, ამიტომაც ეს ფაქტი ყველა კულტურის უნივერსალურ ფასეულ განწყობებში აისახება: ფული – ეს მძლავრი საზოგადოებრივი ძალაა, რომელსაც შეუძლია სიკეთისა და ბოროტების მოტანა. ფული ცალკეული ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების ცხოვრების კონტექსტის განუყოფელი ნაწილია. დროთა განმავლობაში ფული სპეციალური მეცნიერული ინტერესის ობიექტი ხდება, რაც ობიექტის ახალ რაკურსებს აშუქებს. ეს უკანასკნელი ყოფითი ცოდნისთვის შეიძლება არ იყოს ყოველთვის არსებითი, მაგარმ პრინციპულია მეცნიერული ცოდნისთვის. ყოფითი ენობრივი ცნობიერება ცნება „ფულის“ მნიშვნელობის შემდეგ კომპონენტებს აფიქსირებს: „1. ლითონის ან ქაღალდის ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ღირებულების საზომს ყიდვა-გაყიდვისას. 2. რამესთვის განკუთვნილი თანხა; რისამე გადასახადი“ (არნ. ჩიქობავა). ლექსიკონის დეფინიცია აფიქსირებს ყოფით შემეცნებაში ცნების იდეალიზაციას განმარტებაში კატეგორია „ნიშნის“ შემოტანით, ანუ რაღაცა, რაც საგნის შემცვლელია. ამავე რიგში განიხილება ცნებები: „ღირებულების საზომი“, „ყიდვა-გაყიდვა“. შევადაროთ მეცნიერულ განმარტებას: „აქტივების ერთობლიობა, გამოყენებული გარიგებათა დასადებად; საყოველთაო ეკვივალენტი, რომელზედაც ხდება ყველა საქონლის გაცვლა; გრძელვადიანი ანაბრები, აგრეთვე ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები და საბიუჯეტო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშებზე არსებული თანხა, ბიუჯეტის სახსრები...“ (რ. ასათიანი, თანამედროვე ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი). გაუუსვათ საზი ერთ გარემოებას: სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ მიუხედავად მრავალი ათასი წელი ფულის არსებობისა, დღემდე გრძელდება დისკუსია იმის შესახებ, თუ რა არის ფული და რატომ გამოიყენება მეურნეობაში.

ყოფით ენობრივ შემეცნებაში *ფული* არის: 1) *ნიშანი*; 2) *ყიდვა-გაყიდვის საზომი*. მეცნიერულ შემეცნებაში *ფული* არის: 1) *აქტივების ერთობლიობა*; 2) *საყოველთაო ეკვივალენტი*; 3) *არაფულადი ლიკვიდური სახსრები*; 4) *ანაბრები, დეპოზიტები*. გამოვეყნოთ განსხვავება: ყოფითი ენობრივი შემეცნება არ გაიაზრებს ფულს, როგორც საქონელს. თუმცა, ისტორიულად ფული წარმოდგება ნივთიერი საგნიდან, რაღაც საგნიდან, რომელიც მონეტამდე პერიოდში ასრულებდა გაცვლისას ღირებულების საზომის ფუნქციას, რომელიც შემდეგ ყიდვა-გაყიდვაში გადავიდა. ყოფითი ცნობიერება ასახავს როგორც ღირებულების საზომს, მეცნიერული – არქმევს „ეკვივალენტს“, „საყოველთაო ეკვივალენტს“. სასაქონლო წარმოე-

ბის განვითარებასთან ერთად საყოველთაო ეკვივალენტის როლი თავიდან ენიჭებოდა ძვირფას მეტალებს, შემდგომ უკვე როგორც ფულს, ხოლო მოგვიანებით – ფულის ნიშნებს, ქალაქის კუპონებს. ეს არის ყოფითი ცნების იდეალიზაციის შემდგომი ნაბიჯი, რადგანაც თავისთავად ქალაქის ნიშნებს არ აქვს ღირებულება, ის მხოლოდ კონვენციურად ითვლება ღირებულების საზომად. მიუხედავად იმისა, რომ ყოფით ცნობიერებაში ფულადი ნიშნისა და ოქროს ფონდის კავშირი პირობითია, ფულის ნიშნები ინარჩუნებენ ყველა კოლექტიურ ღირებულ განწყობას, რომელიც დაკავშირებულია სიმდიდრესთან, თავისუფლებასთან, ძალასთან.

კონცეპტი „ფულის“ სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ის ერთდროულად არის სამყაროს ენობრივი და მეცნიერული სურათის ერთეული, რადგან სპეციალური მეცნიერული ინტერესის საგანს წარმოადგენს (ეკონომიკა, ფინანსები, მართვა და ა. შ.). ენობრივი პიროვნება და კონცეპტი ლინგვოკულტუროლოგიის საბაზისო კატეგორიებია, რომლებიც ასახავს მენტალობასა და ბუნებრივი ენის მატარებლის მენტალიტეტს.

ლინგვოკულტურული კონცეპტების კლასიფიცირება შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა საფუძველით. თემატიკის თვალსაზრისით კონცეპტები ქმნიან, მაგალითად, ემოციურ, საგანმანათლებლო, ტექსტობრივ და ა. შ. კონცეპტოსფეროებს.

ასეთ კონცეპტულურ სფეროდ აქ განიხილება ეკონომიკის კონცეპტოსფერო, ხოლო ერთეული, რომელიც ამ კონცეპტულურ სფეროს ფორმირებს, არის დარგის ტერმინი. ნაციონალური კონცეპტოსფერო აფიქსირებს დეტერმინოლოგიზაციის პროცესს, როდესაც კერძო დარგობრივი ტერმინი ხდება ზოგადი ლექსიკის ერთეული.

ლიტერატურა:

1. ასათიანი რ., თანამედროვე ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2009.
2. Делез Ж., Логика смысла, М. – Екатеринбург, 1998.
3. Делез Ж., Гваттари Ф., Что такое философия? М., 1998.
4. Кубрякова Е.С., Роль словообразования в формировании языковой картины мира / Е. Кубрякова С. // Роль человеческого фактора в языке: Язык и картина мира. Наука, М., 1988.
5. ჩიქობავა არნ., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1950.
6. Хайдеггер М., Время картины мира // Хайдеггер М. Время и бытие: статьи и выступления. СПб., 2007.

Salome Menabde

Money as an Economic Term and Intercultural Concept

Summary

Modern linguistics studies concepts in several directions. The basis for all scientific disciplines, as well as a linguistic and cultural categorical system is the conception of linguistic personality and the concept, which reflects the mentality of the bearer of a natural language.

The article examines the concept "Money" as a piece of linguistic picture of the world. The concept "Money" is culturally disbursed and belongs to a fragment of "social" linguistic picture of the world. Specificity of the concept "Money" is that it simultaneously is a unit of language and scientific world picture, as is within the scope of special scientific interest (economics, finance, management, etc.).

Саломе Менабде
Деньги как экономический термин и межкультурный концепт
Резюме

Исследования проблематики концепта в современной лингвистике ведутся в нескольких направлениях. Основой как для всех научных дисциплин, так и для лингвокультурологического категориального аппарата являются понятие языковой личности и концепт, которые отражают ментальность и менталитет носителей природного языка.

В статье анализируется концепт «Деньги» как фрагмент языковой картины мира. Концепт «Деньги» является культурно освоенным, и принадлежит фрагменту «социальной» языковой картины мира. Специфика концепта «Деньги» состоит в том, что он одновременно является единицей языковой и научной картины мира, так, как входит в сферу специального научного интереса (экономика, финансы, управления и т.д.)



თეა ჯღარკავა
(საქართველო)

**პროტაგონისტის დახასიათების ტექსტობრივი ბაღე შტ. ცვაივის
მოთხრობაში „მწველი საიღუმლო“. პროტაგონისტის, როგორც
პიროვნების „შიდა განზომილება“ (შინაბანი სამყარო)**

შტ. ცვაივის ნარატივში პერსონაჟთა სისტემა ატარებს ველის სახეს, რაც ნიშნავს შემდეგს: სიუჟეტის განვითარებისთვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ყველა პერსონაჟი, მაგრამ კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც უნდა წარმოადგენდეს სიუჟეტური დინამიკის არსსა და საფუძველს, კონკრეტულად ფოკუსირებულია ბავშვ ედგარში – მისი, როგორც პიროვნების, შიდა და გარე განზომილებათა ერთობლიობაში. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ დახასიათების ტექსტობრივი ბაღის ცნება გამოყენებული უნდა იქნეს, პირველ რიგში, სწორედ ედგართან მიმართებაში. რაც შეეხება ტექსტობრივი ბაღის ცნებას: მხატვრული ტექსტის ორი დონის (ენობრივი და საკუთრივ ტექსტობრივი დონეების) ურთიერთმიმართების გამოხატვის მიზნით თანამედროვე ტექსტის თეორიაში არსებობს „ტექსტობრივი ბაღის“ ცნება. მონოგრაფიაში „გრამატიკულ კატეგორიათა პოეტიკა“ ლ. ნოზდრინა ლაპარაკობს ისეთი ორი ფენომენის ურთიერთობაზე, როგორებიცაა, ერთი მხრივ, ლექსიკურ-გრამატიკული ველის ენობრივი ფენომენი და, მეორე მხრივ, ტექსტობრივი ბაღის ფენომენი. იგი შემდეგნაირად განსაზღვრავს ამ ორი ფენომენის ურთიერთმიმართებას: „ლექსიკურ-გრამატიკული ველისაგან და ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიისაგან განსხვავებით, რომლებიც წარმოადგენენ პარადიგმატულ კატეგორიებს, ტექსტობრივი ბაღე არის სინტაგმატიკური, ტექსტობრივი კატეგორია“ (Ноздрина, 2004:51-52) განაგრძობს რა ხსენებულ კატეგორიათა ურთიერთმიმართებაზე მსჯელობას, ავტორი წერს: „თუ დაფუძვნირდებით იმას, თუ როგორ ავლენს ველი თავის თავს ტექსტში, დავინახავთ, რომ მასში ჩნდება არა ველის ყველა წევრი, არამედ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი. გარდა ამისა, ზოგი ენობრივი საშუალება თითქოს „მიბმულია“ გარკვეულ ფუნქციურ სტილზე; სხვა სტილებში კი თითქმის არ გვხვდება. ასე რომ, ველი წარმოგვიდგება ტექსტში როგორც ისეთ ენობრივ საშუალებათა გარკვეულ ერთობლიობად, რომლებიც გამოხატავენ გარკვეულ სემანტიკურ შინაარსს (ტემპოლარულობას, მოდალურობას, და ა.შ), ეს ენობრივი საშუალებები ერთიანდებიან ცნებაში „ტექსტობრივი ბაღე“ (Ноздрина, 2004:51-52).

როგორც ითქვა, ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიებისგან განსხვავებით, ტექსტობრივი ბაღე ატარებს არა სივრცით (ანუ ველისებრ), არამედ ლინეარულ (დროით) ხასიათს. ვფიქრობთ, ამ ორ ენობრივ და ტექსტობრივ ფენომენტთა შორის ხსენებული განსხვავების „დაფიქსირებით“ საფუძველი ჩაუყარეთ დახასიათების იმ ტექსტობრივი ბაღის ადეკვატურ წარმოჩენას, რომელიც ობიექტურად შეესაბამება ზოგადად პერსონაჟთა, პირველ რიგში კი პროტაგონისტის (ედგარის) ცვაივისეული პოეტიკის ენობრივი ასპექტის კვლევას.

როგორც უნდა იყოს ცვაივისეული პროტაგონისტის დახასიათების ტექსტობრივი ბაღე, თუ მისი სტრუქტურის განსაზღვრისას ერთდროულად დავეყრდნობით როგორც მის ლინეარულობას (დროებითობას), ისე, რა თქმა უნდა, და, პირველ რიგში, სიუჟეტთან შინაგან კავშირს. ჩვენი აზრით, ხსენებული ტექსტობრივი ბაღე გასაანალიზებლად ნარატივში ხასიათდება შემდეგი ორი ნიშან-თვისებით:

- ა) დინამიკურობით;
- ბ) ორგანზომილებიანობით.

რას გულისხმობს პროტაგონისტის დახასიათების ტექსტობრივი ბადის შინაგანი, ანუ სტრუქტურული დინამიკურობა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას გავისვენოთ ედგარის ის დახასიათება, რომელიც მას მიეცა ნარატივის ექსპოზიციის ფარგლებში და რომელიც მკითხველს აწვდიდა ბავშვის როგორც ფიზიკურ, ისე შინაგან პორტრეტს. დაერწმუნდით, ალბათ იმაში, რომ ამგვარი, შეიძლება ითქვას, „სასტარტო“ დახასიათება წარმოადგენდა ექსპოზიციის ორგანულ ნაწილს და ამავე დროს რეალიზებული იყო ძირითადად „დახასიათების“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმით. არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ პერსონაჟის ნარატიულ დახასიათებასა და ნარატიულ სიუჟეტს შორის არსებობს (ყოველ შემთხვევაში, ასეა ცვაიგთან) სიღრმისეული კავშირი: როგორც უკვე იქნა ჩვენ მიერ მინიშნებული, მოცემულ გასაანალიზებელ ნარატივში სიუჟეტის „ღერძი“, ანუ მისი დამფუძნებელი კონფლიქტი გამოიხატება იმით, რომ პროტაგონისტში (ბავშვ ედგარში) ხდება ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ „ეგზისტენციალური გარდატეხა“ (თუ გავისვენებთ, რომ ტერმინ „ეგზისტენციით“ თანამედროვე აზროვნებაში აღინიშნება, როგორც ოფ. ბოლნოვი ამბობს, ადამიანის „შინაგანი, ანუ სიღრმისეული, ბირთვისეული განზომილება (*die letzte Innerlichkeit*), (*das innerste Kern*)“ (Большов, 1999:38), მაშინ გასაგები გახდება, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ ბავშვში მომხდარი გარდატეხა არა უბრალოდ ხასიათობრივ ცვლილებად, არამედ სწორედ „ეგზისტენციალურ გარდატეხად“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ საშინელმა იმედგაცრუებამ, რომლის მოწმე გახდა და რომელიც ასე მძიმედ განიცადა ბავშვმა, მას მთლიანად შეუცვალა დამოკიდებულება როგორც ადამიანისადმი, ისე სამყაროსადმი და საკუთარი თავისადმი. ჩვენი აზრით, გამართლებული იქნება, თუ სიუჟეტთან ამგვარად, ანუ სიღრმისეულად დაკავშირებულ დახასიათებას ვუწოდებთ ცვაიგის მიერ შემოთავაზებულ „გარდატეხის პოეტიკას“.

როგორც ვხედავთ, პროტაგონისტთან დაკავშირებული დახასიათების ტექსტობრივი ბადე ცვაიგისეულ ნარატივში ატარებს დინამიკურ ხასიათს, ეს დინამიკურობა კი განპირობებულია ამ დახასიათების შინაგანი, სიღრმისეული კავშირით სიუჟეტთან.

პროტაგონისტის დახასიათების ტექსტობრივი ბადის, როგორც დინამიკური სტრუქტურის განსაზღვრის შემდეგ, ბუნებრივია, დავსვათ შეკითხვა: რაში მდგომარეობს ამ ტექსტობრივი ბადის ორგანოზომილებიანობა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას კვლავ უნდა გავისვენოთ ტექსტობრივი ბადის ზემოთ ხაზგასმული დინამიკურობა და ამ დინამიკურობის შინაგანი კავშირი ნარატივის სიუჟეტთან. მაგრამ იგივე ტექსტობრივი ბადის მეორე ასპექტის, ანუ მისი ორგანოზომილებიანობის ჩვენებისა და განსაზღვრისთვის უკვე აუცილებელი ხდება თვით ცვაიგისეული სიუჟეტის, როგორც ერთიანი ფენომენის ბიპოლარულობაზე მსჯელობა: ვგულისხმობთ იმ გარემოებას, რომ ამ სიუჟეტს აქვს ორი განზომილება – შინაგანი და გარეგანი: სიუჟეტის შინაგანი განზომილება, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შიდა სიუჟეტი, მოგვითხრობს იმ შინაგან ძვრებზე, რომლებიც ხდება პერსონაჟთა შიდა სამყაროში, ხოლო სიუჟეტის გარეგანი განზომილება, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, „გარე სიუჟეტი“, მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ აისახება ხსენებული შინაგანი ძვრები პერსონაჟთა ურთიერთობაზე.

სწორედ ცვაიგისეული სიუჟეტის ეს ბიპოლარულობა (ორგანოზომილებიანობა) უნდა მივიჩნიოთ, ალბათ, იმ ორგანოზომილებიანობის წყაროდ და საფუძვლად, რომლითაც ხასიათდება დახასიათების ტექსტობრივი ბადე ნარატივის იმ ასპექტში, რომელიც ეხება პროტაგონისტ ედგარს. პროტაგონისტის ცვაიგისეული პოეტიკა გამჭოლად და თანმიმდევრულად ორგანოზომილებიანია: ავტორი მოგვითხრობს იმ შინაგან ძვრებზე, რომლებიც ხდება ედგარის შინაგან სამყაროში, ანუ

მასში მომხდარ „ეგზისტენციულ გარდატეხაზე“ და, როგორც წესი, გვიჩვენებს ამის შემდეგ, თუ როგორ აისახება ეს გარდატეხა მის ურთიერთობაზე ნარატივის სხვა პერსონაჟებთან.

ლიტერატურა:

1. Ноздрина Л. А., Поэтика Грамматических категорий, Москва, „Тездурус“, 2004.
2. Больнов О. Ф., философия Экзистенциализация, Санкт-Петербург, 1999.

Tea Jgarkava
The main character's textual net in Stefan Zweig story "Burning Secret"
Summary

The given article deals with those improvements of the main character which are going on in his inner world and his sudden changes reflections on mutual relations with the characters.

We come to the conclusion that the textual net in Stefan Zweig's narrative has a dynamic disposition. This disposition defines inner close connection with the topic.

Tea Djgarkava
Текстовая сеть главного героя в новелле Стефана Цвейга "Жгучая тайна"
Резюме

В данной статье рассматриваются те положительные изменения в образе главного героя, которые происходят в его внутреннем мире и отражения его внезапного изменения на взаимоотношения с другими персонажами произведения.

Мы приходим к выводу, что текстовая сеть в повествовании Стефана Цвейга имеет динамический характер. Это расположение определяет внутреннюю тесную связь с темой.



ვარდო ჩოხარაძე
(საქართველო)

შავშური ლექსიკის ზოგიერთი საკითხი

თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე ისტორიული საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი მდებარეობს. მათ შორისაა შავშეთი. მისი ერთი ნაწილი თურქეთის რესპუბლიკის, ხოლო მეორე – საქართველოს შემადგენლობაშია. ქართული ენა შენახულია იმერხევის ხეობაში, უსტამისში, ჩაქველთასა და მაჭახელში. შავშეთის მეორე ნაწილი მეთურქულაა.

ნიკო მარის განმარტებით, იმერხევეში ქართული ყველგან როდი იცინან, მაგ.: დიობანში, შოლტისხევეში, აგარაში და ა.შ. აქ მცხოვრებ ქართველებში დავიწყებას ეძლევა ქართული ტრადიციები, ქართული ყოფა. თანდათან შევიწროვდა ქართული ენა. სახელმწიფო ენა, თურქული, ჩვენებურთა მეტყველებაზე დიდ ზეწოლას ახდენს, შედეგად ქართული ენა თანდათან დავიწყებას ეძლევა (მარი, 1911).

მიუხედავად ამისა, თურქეთის საქართველოში (ტაოში, შავშეთში, იმერხევესა და მაჭახელში), განსაკუთრებით უფროს თაობაში, მშობლიური ენა და ადათ-წესები ასე თუ ისე მაინც არის შემონახული. ისიც საგულისხმოა, რომ ბოლო დროს საქართველოსა და თურქეთს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება შავშეთში მცხოვრებთა ქართულ მეტყველებაზე დადებითად აისახა.

ქვემოთ განვიხილავთ ქართულ-თურქული ლექსიკური ურთიერთობის რამდენიმე შემთხვევას, კერძოდ:

- ა. ქართული სიტყვები უქონლობის მაწარმოებელი სუფიქსებით;
- ბ. თურქული სიტყვა ქართული მაწარმოებლით;
- გ. თურქული სიტყვა თურქული მაწარმოებლით.
- ა. უ-ლ უქონლობის სახელს აწარმოებს. მაგ.:

უკაცო - (უქმრო) - „უკაცო ქალი კიდო კარქა აფერებს იდარეს“ (ინ.); „უკაცოთ ცოდვა ხარ“ (ინ.);

უთაგბოლო - უპასუხისმგებლო - „უთაგბოლო ბაღნები არ არიან“ (ინ.);

უდელო - დედის (ძირის, კვეთის) გარეშე: „რძე უდელო ნუ შედგება, მივცეთ დედა!“ (ინ.);

უშვილო შვილი - ნანატრი შვილი, დედისერთა: „უშვილო შვილივით შეფერებული ნუ ხარ!“ (ინ.);

„უძაღლო ვერ დავმდგარვარ“ (ჩაქ).

თურქული გზით შემოსულ სიტყვებში გამოყენებული ქართული თანდებულები:

„ესკერში“, „ქენერში“, „მაჰალეში“, „არაბაში“, „დულუნში“, „მექთეფებში“ „ინსნები“, „ქოშესთან“ და ა. შ:

„ესკერში“ – (არ. asker) - „ჯარისკაცი“, „სამხედრო სამხასხური“. „წვედა ჩემი კაცი ესკერში“ (უსტ.); „ესკერში წასული არ იყო ჯერ“ (ბაზგ.)...

„ქენერში“ – (kenar) - „ყართოფ ყანი ქენერზე ვთესავთ“ (უსტ.); „იგზე ჩემი ტყუპები იყვნენ ყანი ქენერზე“ (სვირ.)...

ამ სიტყვებში შეინიშნება ბგერათმონაცველობა და ასიმილაციის საფუძველზე მომხდარი ცვლილებები. სრული ფორმაა „ასქერ“, „ქენარ“, ხოლო მოქმედი წარმოთქვამს „ესკერ“, „ქენერ“. „ა“ ენაცვლება „ე“ ხმოვანი, ხოლო „ქ“ თანხმოვანს ენაცვლება „კ“.

ნ. გურგენიძის მიხედვით, „ა“ და „ე“ ბგერათმონაცვლეობა კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევა. აჭარულ დიალექტში, თურქულიდან შემოსულ სიტყვებში მოკლე „ა“ () „ა“ ხმოვნითაა გადმოცემული, ხოლო იგივე სიტყვები თურქულსა და თურქულ დიალექტში „ე“ ხმოვანს გადალევს (გურგენიძე, 1973:106-107).

სამხრულ მეტყველებაში ზოგჯერ (k) () თანხმოვანი „ყ“-ს, ზოგჯერ კი „კ“ თანხმოვანს გადალევს (გურგენიძე, 1973:137).

შავშურ მეტყველებაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მთქმელი ერთილაიგივე სიტყვის წარმოთქმისას იყენებს როგორც „ა“, ისე „ე“ ხმოვანს. მაგ.:

მაჰალე/მეჰელე – (მაჰალე) – „უბანი“. „მაჰალეში დგას“ (ხევწ); „იმ მეჰელეში გახვალ იპოვნი“ (ჩიხ.)... „ში“ მარტივი ერთმარცვლიანი თანდებულია და სახელს მართავს მიცემით ბრუნვაში. თურქულად იქნება „mahalede“.

დულუნ/დუგუნ - „düğün“ – 1. „ქორწილი“, „ლხინი“, „საქორწილო ზეიმი“: 2. წინადაცვეთის რიტუალთან დაკავშირებული ლხინი: იგი იწერება როგორც „düğün“, მაგრამ იკითხება როგორც „düyün“. სიტყვა დულუნი ორი ფორმით გვხვდება შავშურში. 1. დულუნი. მაგ: „ერთმანეთი დულუნში დევნახეთ“ (შავშ.); „დულუნ დუუცადევთ, დულუნ და ემესა წვიღებ სუ ყველა ფერსა“ (შავშ.). 2. დუგუნი მაგ: ძველად დუგუნებში გარმონს დუუკრავენ“ (ტაო); „დუგუნამდე ხუთი ექსვი თვე გევიდა, ჰიხ არ დიმიანახავს“ (შავშ.); „ადეთი არი. დუგუნამდე მისი მშობლები მოდიოდნენ“ (შავშ.);

თურქული ენის განმარტებით ლექსიკონში „düğün“ ძირითადი მნიშვნელობით ნიშნავს „ქორწილს“, „ლხინს“, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით - ბავშვის დაბადებასთან და წინადაცვეთის რიტუალთან დაკავშირებულ ლხინს.

სიტყვა „düğün“ აჭარულ დიალექტში „sünnet düğün“-ის მნიშვნელობითაა დამკვიდრებული („წვეულება“, „ლხინი“), იმავე ფორმით არის დადასტურებული თურქულ ენაში.

არაბა – (araba) - „მანქანა“, „ვეტი“: „ჩვენ სამი თანე ვართ, ადგილი არ გექნებათ არაბაში“. „არაბაში“ - „ში“ მარტივი ერთმარცვლიანი თანდებულია და სახელს მართავს მიცემით ბრუნვაში. გამოხატავს „შიგ“ მყოფს. თურქულად გამოითქმის „arabada“. „da“ თურქულ ენაში ადგილობითი ბრუნვის მაწარმოებელია, რომელიც გამოხატავს ადგილს, კონკრეტულად თუ სად ხდება მოქმედება.

„ქოშესთან“ – (köşe) - „კუთხე“: „ისინი იმ ქოშესთან არიან“ (უსტ.); „ქოშესთან აკეთებენ მაგასა“ (ჩაქვ.)... „ქოშე“ - კუთხე, „თან“ თანდებული, რომლის ძველი ფორმა იყო „თანა“. ძველ ქართულში ნათესაობით ბრუნვასაც მოითხოვდა, ახალში კი მხოლოდ მიცემითს.

არხათაში – (თ. Arkadaş) - „მეგობარი“, „ახლობელი“, „ამხანაგი“: „არხატაშებმა ისე რაცხა უთხრეს მე რა ვიცი“ (ბუჯ.) სიტყვა „Arkadaş“ ორი ნაწილისაგან შედგება: „Arka“ - ზურგი და „Taş“ - იგივეა რაც „Daş“ და ნიშნავს თანამონაწილეს, სიტყვა-სიტყვით თანამეზურგეს

ქეფენში – (არ. Kefen) – სუღარა: „კდარი შეხვევლია ქეფენში“ (ინ).

მეზერ – (არ. Mezer) – საფლავი: „წიყვანებენ ხოჯები ყურანს იკითხებენ და ჩადებენ მეზერში“ (თხ).

გურჯიჯაზე – „გურჯიჯაზე არ ვილაპარაკებდით, სულ თურქიაზე იყო სიმღერა“ (გურბ.); „უწინ მუუთქვამდენ, მაგრამ თურქიაზე“ (ფეთ.)...

გურჯისტანიდან – (Gurcistan - „საქართველო“): „გურჯისტანი იქოვრობა ლა-მაზი ყოფილა“ (ბაზგ.); „ერთი ბიჭი დავაქორწილო“ და „გურჯისტან არი“ (ხ.);

„მოდლოდენ გურჯისტანიდან, გამოადებიეს ფაშაფორთი“ (იფხ.);

თურქულიდან შემოსული – ებ სუფიქსით ნაწარმოები სახელები:

მექთეფ – (mektep) – „სასწავლებელი“. „მექთეფებში რომ არ აკითხებენ, გურჯიჯა არ იციან“, „ჩუენი ბაღნები მექთეფებში იარებიან“.

„მექთეფ“ არის სასწავლებელი, „ებ“ მრავლობითი რიცხვის სუფიქსი და „ში“ თანდებული. თურქულად იქნება (mekteplerde) – „სასწავლებელი“, „ler“ მრავლობითის ნიშანი და „de“ ადგილობითი ბრუნვის ნიშანი.

გენჯები – (თ. Gençler – ახალგაზრდა, ჭაბუკი, ყმაწვილი): „დედაბერი თუ მოკდა არ ვიტირავთ, გენჯები თუ მოკდენ, დიდი ტირილი გვაქვან მაშინ“...

ეთრაფებში – (Etraf – მხარეები, გარემო, მიდამო, არემარე): „იქიდან მომსვლელი კაცები ეთრაფებში დაჯდებიან“ (ერ.)...

დუგუნებში – („Düğün” – ქორწილი): „გვაქ ჭანჭური, წურილი ზეითუნივით, რომ მუა, მოკრეფ, გავახმოთ, შევინახავთ დუგუნებში იხმარენ“ (იფხ.);

თორუნებმა – (Torun – შვილიშვილი): „მე თურქია იმფო არ ვიცი, თორუნებმა იციან აბა არ იციან?!“ (დაბ.);

ინსნები – (არაბ. İnsanlar) – ადამიანი, კაცი, ხალხი, ადამიანები, კაცთა მოდგმა: lar, ler – თურქული მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი „თქვენი ქართველები ზორ კად ინსნები არიან“; „ბაშხა ბაშხა ინსნებს არ ახსოვს“ (ისკ.); „იქავრ ინსნებ ვებუცე“ (მაჭ.); „ესა აწყენს ინსნებსა“ (მაჭ.); „კაი ინსნები არიან“ (მაჭ.)...

საუბარში ფიქსირდება აგრეთვე „ებ“ თემის ნიშნით ნაწარმოები ზმნა „დადინგლება“. „dinlemek“ – „მოსმენა“, „გაგება“, „დასვენება“: „თქვენ კასეტები არ გაქვან, მე ვუდინგლებ?“, „რადიოში ვუდინგლებდით“ (მ.).

ზმნაში „გ-უ-დინგლ-ებ“ „გ“ I პირის სუბიექტური ნიშანია და „უ“ სასხვისო ქცევის ნიშანი. „დინგლ“ ძირი მიღებულია თურქული დინღემექ-ისგან (ძველი ფორმა გექონდა დინღემექ – „მოსმენა“, „დაჯერება“). ზმნის „დინღე“ – ფუძიდან, რომლის ფუძისეული „ე“ არ ჩანს ქართული „ებ“ თემის ნიშანთან სიახლოვის გამო. უნდა გექონოდა „გ-უ-დინღე-ებ“. ორი ხმოვნის შერწყმის შედეგად მივიღეთ: „გ-უ-დინგლ-ებ“.

შავშურში იგივე ფორმა გვხვდება –ავ თემის ნიშნითაც:

ვუდინგლავ (შდრ. ვაკეთავ). „მე რადიოს ვუდინგლავ“ (იფხ.);

დადინგლავს - დინღილით ამოავსებს ჭურჭლის კედელზე გაჩენილ ნასვრეტებს: „გაზაფხულზე ანაი დადინგლავს კასრებ, გუარდებ გამთბარი დინღკელითა“ (მეზ.);

დადირეგავს/დადირეღავს – ბოძს შეუყენებს: „შეფთალის ტანებ დადირეგავს“ (ად.)...

-უ აფიქსით ნაწარმოები სახელები:

ზბერექეთო (არ. bereket – სიკეთე, დოვლათი, სიუხვე): „უდოვლათო, ზბერექეთო ინსანია თლათ, ხელებში უქარდება ყუელამფერი“ (თ.ქ.);

უღუგუნო – („düğün” – ქორწილი): „უღუგუნო იქნება ახლანდელი გენჯები“.

ტაოურ მეტყველებაში ამ სიტყვას წარმოთქვამენ როგორც „ღუღუნი“. მაგ.:

„ღუღუნ ღუუცადევო, ღუღუნ და ემესა წეიდებ სუ ყველა ფერსა“ (შავშ.).

უფიშმანია – (სპ. pişman – მონანიება, დანანება): „ასე უფიშმანიან კაცებსა“ (სტ.).

თურქულიდან შემოსული –**ობ** თემის ნიშნით ნაწარმოები სახელები:

ფეთიმობა - ობლობა: „ბადვი გეიზარდა ფეთიმობაში“ (სტ.); „ფეთიმობით გაზდილი ვყავარ ნენეჩემსა“ (ინ.).

ემექლობა – (თ. Emekli) – I. პენსიონერი, სამსახურიდან გადამდგარი: „ემექლობა გავეხდით, ჩვენ ახლა არ ვმუშაობთ“; „ახლა ოღრეთმენი ქი ხარ, ემექლი გახდები, ფარა არაა იქა?“ (მან.)...

თურქული სიტყვები თურქული მაწარმოებლით:

გელინლუქი – (Gelinlik) – პატარძლობა, საპატარძლო ტანსაცმელი: **lik** – მაწარმოებელია, რომელიც დანიშნულების სახელებს აწარმოებს. „გელინლუქის უკან იდო და მეიტანდნენ“ (აქ.); ჩემი **გელინლუქის** კაბა მე შევეკერე“ (აქ.)...

გურჯუჯა/გურჯიჯე – (თ. Gürcüce) – „ქართული ენა“, „ქართულად“: **Gürcü** – „ქართველი“ და **ca, ce** – არის მაწარმოებელი, რომელიც ენას აწარმოებს: „გურჯიჯაჲ ჰინ არ გვიმღერია, ჩვენზე დიდვანებს უმღერია“; „ახლა გურჯულაჲ ძალვან დედერლი გახდა“; „იქვერი გურჯიჯა არ იციან აქ“ (იფხვ.);

თურქჩა – (Türkçe) – „თურქული (ენა)“, „თურქულად“: „ბაღნებმა კად იყვონო სულ თურქჩას ვილაპარაკებდით“ (ქართლ.); „ჰემ თურქჩა, ჰემ გურჯუჯა ვლაპარაკობ“ (გვერ.);

თურქული **ca, ce, ça, çe** ქართული „ულ“-ის ფარდია:

უნდა ითქვას, რომ თურქულის გავლენა შავშურზე (და საერთოდ სამხრულ კილოებზე) განსაკუთრებით ხელშესახებია ლექსიკურ დონეზე. რაც შეეხება შავშურის ფონეტიკურ და გრამატიკულ სტრუქტურას, იგი ჯერ კიდევ ინარჩუნებს თვითმყოფადობას.

ლიტერატურა:

1. თურქულ-ქართული ლექსიკონი, I-II, სტამბოლი, 2001.
2. ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული წიგნი პირველი, ბათ., 1993.
3. Март Н.Я. Георгий Мерчул, Жизнь св. Григория Хандзийского поездки в Шавшетию и Кларджию. ТРАГФ, т.VII, СПб., 1911.
4. გურგენიძე ნ., აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბ., 1973.
5. Kâmüsi Türki Şemseddin sâmî 1989.
6. Türkçe sözlük – Ankara 2005, 10 baskı.

Vardo Chokharadze *Some issues on Shavshian lexics* **Summary**

The paper deals with some cases of Georgian and Turkish lexical interrelation, namely: Georgian words with negative suffixes, Turkish word with Georgian prepositions; Turkish words with Turkish prepositions.

Spoken language also uses verbs formed by “**eb**” theme symbol “**dadingleba**.” “**Dinlemek – to listen**”, “**gageba - to understand**”, “**dasveneba - to rest**”: “Don’t you have some cassettes I could listen to?”.

As for the phonetical and grammatical structure of Shavshuri, it still retains its

independence.

We think that from the linguistic point of view the material gathered by me must be of great importance. By its observation, we can define the changes the Turkish lexics undergoes and how it retains its form in the speech of Georgian people.

Вардо Чохарадзе
Некоторые вопросы шавшетской лексики
Резюме

В статье рассматриваются некоторые случаи грузинских и турецких лексических взаимосвязей, а именно: грузинские слова с отрицательными суффиксами, турецкое слово с грузинскими предлогами; турецкие слова с турецкими предлогами.

Разговорный язык также использует глаголы, образованные символом „тд“ - „და-ღიბგლებს“: „Dinlemek - прослушивание“, „გაგება - понять“, „დასვენება - отдохнуть“: „У Вас не будет кассет, которые я мог бы послушать?“

Что касается фонетической и грамматической структуры Шавшетии, он все еще сохраняет свою независимость.



Эльмира Зогранян
(Грузия)

КОГНИТИВНЫЕ МОДЕЛИ ТЕМПОРАЛЬНОСТИ

Проблема концептуализации моделей знания в сознании человека тесно связана с историей освоения явлений и реалий. Модель сознания формируется вместе с практическим опытом, рефлексией и научным знанием. Поэтому вне исторического контекста анализ процессов концептуализации не может быть полным. Тема нашего обзора – понятие «время» в сознании человека.

Насколько реально время? Зависит ли оно от сознания или существует вне него, ибо носит объективный, всеобщий и универсальный характер? Значит ли это, что от сознания зависит восприятие времени, но не его природа? Является ли оно иллюзией интеллекта или существенным свойством вселенной?

Выдающийся русский философ В. С. Соловьев определял время как основное условие всякого конечного существования: время не допускает ни эмпирического (основанного на опыте) объяснения происхождения, ни рационального (рассудочного) определения его сущности (Соловьев, 1989). А уже Мартин Хайдеггер, говоря о чертах времени, которые диктует нам здравый смысл и научное понятие соразмерности, характеризует их как черты неподлинного, вечно времени. А подлинное время для человека – это экзистенция (страх предвосхищающего опыта смерти). «Подлинное время» двояко действует на сознание человека: оно указывает человеку на незначительность всех его проектов, но оно же побуждает человека сконцентрироваться на собственном времени (Хайдеггер, 1993). Поэтому, в общих чертах, философские рассуждения о времени основаны на признании дихотомии: «объективное время – субъективное время» и носят онтологический, метафизический характер.

Как пишет М. Фуко, в каждой культуре между использованием того, что можно было бы назвать упорядочивающими кодами и размышлениями о порядке, располагается чистая практика порядка и способов бытия (Фуко, 1977:38). Начиная с первых греческих мыслителей, понимание знания – это уметь найти начало или природу вещей.

В эпоху античности складываются субстанциональная и реляционная концепции времени. Первая связывается, прежде всего, с сочинениями Платона (время как движущийся образ вечности), вторая – с сочинениями Аристотеля (время как число, мера движения).

Тенденция к субъективации времени продолжилась в рассуждениях античного философа-идеалиста Плотина, основателя неоплатонизма, которого принято считать создателем оригинальной теории вечности, и в доктрине христианского богослова Аврелия Августина (Блаженный Августин).

Плотин относит вечность к Уму (умопостигаемому миру), а время – к мировой душе. Мировая душа бестелесна, она созерцает идеи мира и является источником движения чувственного мира. Плотин определяет время как «жизнь души, которая в процессе движения переходит от одного проявления жизни к другому» (Плотин, 1995:334)

Размышления о времени начинаются у Августина с признания: «Признаюсь Тебе, Господи, я до сих пор не знаю, что такое время, но признаюсь, Господи, и в другом: я знаю, что говорю это во времени... Каким же образом я это знаю, а что такое время, не

знаю? А может быть, я не знаю, каким образом рассказать о том, что я знаю?» (Августин. Исповедь, XI, 32). Философ, таким образом, подчеркивает несоответствие между интуитивной очевидностью этого феномена и трудностью его осмысления. Своими рассуждениями богослов подходит к истокам психологической концепции времени: прошлое и будущее существуют, но существуют в сознании человека. К эпохе Средних веков относятся и рассуждения о времени Фомы Аквинского и Бонавентуры.

В науке Нового времени об этом неуловимом феномене размышляли Декарт, считавший, что время дано только в нашем мышлении, Гоббс, выводивший идею времени из образа движущегося тела, Спиноза, различавший вечное и длящееся...

Для Лейбница время, как и пространство, не могут существовать независимо от тел (исключая существование идей в уме Бога). В его теории пространство – это порядок существования, а время – последовательность различных явлений.

В философии Канта время присуще не самим предметам, а только субъекту, который их созерцает. Поэтому философ вводит понятие «трансцендентальное время», время, которое существует в виде некоторого образа-схемы в сознании человека. Это – чувственный образ времени, основанный на понятиях рассудка, но переведенный на язык чувств. При этом время у Канта неотделимо от движения и изменения.

Австрийский философ Ф. Brentano, уже в XIX веке, ставит проблему необходимости разграничения длительности времени (объективной) и ощущения длительности времени (субъективной). Понятие времени, по Brentano, выводится именно из ощущений.

И если Brentano полагал, что время состоит из отдельных мгновений-актов, то в XX веке философ-феноменолог Гуссерль провозглашает: время – это непрерывный континуум непрекращающихся изменений, которые сливаются в сознании человека. Этот континуум не подлежит делению на фазы, а то, что мы делим время – не более, чем абстракция. Поэтому для феноменологической философии часы – это эпистема, с которой человек соотносит временную реальность, цикличность, ритмичность и мерность времени. Часы-образ, в котором для человека сливаются в единство время, движение и место. По Гуссерлю, время следует анализировать через анализ сознания, только так оно может быть понято: время – это переживание в едином потоке переживаний.

Но М. Хайдеггер не принимает концепции времени как бесконечно длящегося континуума делений. В философии Хайдеггера время – это то, что сознание фиксирует как нечто конечное, направленное к смерти. «Само бытие есть время». Следовательно, время – это главная форма самосознания.

Э. Кассирер в концепции созданной им философии языка называет тело человека центром некоторой сетки координат временных и пространственных обозначений. От чувства времени человек продвигается в процессе познания к понятию времени, и это находит отражение в языке (см. об этом: Новая философская энциклопедия, 2001).

Человеческая деятельность обусловлена языком, сложившимися в нем представлениями, понятиями, концептами. И если это так, то «мы имеем дело не с объективной реальностью, а с когнитивными доменами, которые мы наблюдаем через призму других когнитивных доменов, переходя из одного домена в другой. Чтобы ответить на вопрос о времени, необходимо связать опыт использования слова с опытом деятельности, сопровождающейся словом. /.../ За словом «время» скрываются, прежде всего, последовательность и одновременность, абстрагированные от конкретных процессов, поддерживающих жизнедеятельность системы. Исходя из этого, настоящее,

прошлое и будущее следует считать изобретениями человеческого разума, понятиями, служащими для объяснения нашего существования, проживания, присутствия, которое ощущается как происходящее «теперь» [Maturana, 1988; 1995; 1999; Maturana & Varela 1980] (Чугунова, 2009, АДД).

Жиль Делез, один из самых известных философов XX века, провозгласил: «Человек представляет собой фигуру из песка между морским отливом и приливом». И если время – изобретение человеческого разума, тогда обретает логику и постмодернистский тезис отказа от времени, развитый Ж. Делезом и Ф. Гваттари в труде «Что такое философия?» (Делез, Гваттари, 1998).

На основании представленного выше обзора философских концепций можно сделать вывод: объективная реальность, будучи не всегда достигаемой для познания человека, неизбежно преломляется в его сознании, памяти и языке. Никакая реальность, никакая субстанция не может быть отделена от того, кто воспринимает ее, то есть от человека. Делез ввел в философию понятие «граница между знанием и незнанием» (Алфавит Жилия Делеза, 2003:44). Воспользовавшись образом метафорическим Делеза, полагаем, что попытки понимания времени человеком проистекают в этом пространстве.

Полагаем, что исходной установкой лингвистического аспекта анализа процессов концептуализации понятия «время» является следующее:

1. Время – одна из главных форм самосознания: «Само бытие есть время» (Хайдеггер).
 2. Время – основное условие всякого конечного существования (Соловьев).
 3. Временные представления связаны с мировоззрением, обыденным сознанием, с реальной жизнедеятельностью людей.
 4. От чувства времени человек продвигается в процессе познания к понятию времени, и это находит отражение в языке (Кассирер, Деррида); время, в том числе, проявляется через язык.
 5. Понимание времени человеком стремится к объективному, но всегда содержит субъективное начало.
 6. «Научное» и «обыденное» время могут быть представлены в виде дихотомии «объективное время – субъективное время»; понятие «время» выводится в обыденном сознании из ощущений.
 7. Время в человеческом сознании связано как с опытом использования слова, номинирующим понятие, так и с опытом деятельности, стоящим за этим словом.
- В связи с вышеизложенным приведем слова Э. Бенвениста: «Язык придает основную форму тем свойствам, которые разум признает за вещами» (Бенвенист, 2002:111).

Литература:

1. Августин Аврелий Исповедь., М.,1991.
2. Бенвенист Э. Общая лингвистика. М., 2002.
3. Делез Ж., Гваттари Ф. Что такое философия? СПб., 1998.
4. Плотин. Эннеады. Киев, 1995.
5. Соловьев В. С. Сочинения: В 2 т. Т. 2. М., 1989.
6. Фуко М. История безумия в классическую эпоху. СПб., М.,1997.
7. Хайдеггер М. Время и бытие. Статьи и выступления. М.,1993.
8. Чугунова С. А. Концептуализация времени в разных культурах. АДД. Тверь, 2009.
9. Новая философская энциклопедия. М., 2001.

ელმირა ზოგრანიანი
ტემპორალობის კოგნიტიური მოდელები
რეზიუმე

დროის ბუნების შესახებ არსებული ფილოსოფიური შეხედულებების მიმოხილვის საფუძველზე, სტატიაში წარმოდგენილია დასკვნა, რომ დროის ფენომენი მიეკუთვნება ცნობიერების კატეგორიათა რიგს, რომელიც შეგრძნებებით აღიქმება. მისი გაგების რაკურსი დამოკიდებულია შემეცნებითი აზრის განვითარებაზე, ხოლო შემეცნების შედეგები აუცილებლად გარდატყდება ცნობიერებაში, მესხიერებასა და ენაში.

სტატიაში ჩამოყალიბებულია ცნების „დრო“ კონცეპტუალიზაციის პროცესების ანალიზის ლინგვისტური ასპექტის საწყისი განწყობა.

Elmira Zogranyan
Cognitive Models of Temporality
Summary

Based on the review of the philosophical viewpoints about the nature of Time, the article concludes that the phenomenon of Time refers to the sensitive categories of consciousness. Angles of its understanding depend on the development of cognitive thinking, and the results of knowledge is inevitably refracted in consciousness, memory and language.

In conclusion, the initial installation of the linguistic aspects of the analysis of conceptualization process of the conception "Time" is formulated.



Леонид Джахая, Христо Мутафов
(Грузия) (България)

КЪМ ВЪПРОСА ЗА СТРУКТУРНИТЕ ЕЛЕМЕНТИ НА НАУЧНИЯ ТЕКСТ

I

Приемайки, че научният текст (тезиси, статия, брошура, монография) образува цялостна речева знакова система, следва, че основна негова структурна единица е речевото изказване под формата на граматично изречение, което възможно най-пълно предава съдържанието се в него научно съобщение. Това е вярно дотолкова, доколкото изречението действително е елементарно структурно подразделение на научния текст и повечето формулировки на научни закони, дефиниции на научни понятия или тезиси се предават именно във форма на отделно речево изказване (изречение). Но изчерпателни формулировки на научни закони, дефиниции и тезиси рядко могат да се изразят с едно елементарно граматично изречение («от точка до точка»). Анализът показва, че като структурни подразделения на научния текст исторически са се утвърдили 1) граматическото изречение като най-малка елементарна единица на осмислен научен текст, 2) абзацът като развита относително завършена мисъл, която ученият съзнателно обособява по съответния начин, 3) главата (раздел, параграф) на статии, брошури или монографии като смислова единица, изразяваща значителна част от основната, водеща идея на конкретното научно изследване (научния текст) и 4) цялата статия, брошура или монография като напълно завършена мисъл (идея), представяна от дадения научен текст.

По-подробното разглеждане на всяка от тези четири структурни единици на научния текст, утвърдени исторически като устойчиви и всеобщи форми на документална реализация на съвременното научно мислене ни дава основание за следната тяхна характеристика:

Първо: Под граматическо изречение (речево изказване) би трябвало да се разбира не само логическото съждение от стандартен тип «S е R», отговарящо на законите на логиката и правилата на граматиката на конкретен език. Изреченията включват в себе си и живата практика на националните езици, които разполагат с множество своеобразии лексически и семантични възможности, излизащи извън рамките на стандартните изрази от типа «S е R». Всички тези специфични възможности, а също и някои стилистични и художествено-естетични критерии, които, съдейки по опита на утвърдени учени в никакъв случай не бива да се пренебрегват, трябва да се приемат при характеристиката на граматичното изречение като елементарна структурна единица на научния текст.

Второ: Абзацът предава завършена мисъл по-добре от граматичното изречение, защото се състои от верига изречения, които са с различа семантична наситеност. Множеството изречения, образуващи абзац, носят дескриптивен, експлицитен или спомагателен характер и само в единство могат да се приемат за относително завършена мисъл, образуваща абзац като качествено определена структурна семантична единица на научния текст. Оформянето на абзаци е нормален и общоприет подход при излагане на резултатите от научните изследвания в писмена форма.

Трето: За структуриране на научните статии, брошури или монографии в

глави, раздели или параграфи се използват елементи, осигуряващи връзки, фиксиращи последователности и формиращи систематизации и класификации на научния материал. Всеки параграф, раздел или глава, притежавайки относителна завършеност, съдържа в себе си мисъл (тезис), заради които се пише и отделя в рамките на по-обширния и цялостен научен текст. По този начин структурните подразделения на текста съдържат постановката на проблема, съответната аргументация, опровержения и доказателства, критика и полемика. Мисълта, съдържаща се в параграфа или главата, безусловно, е по-сложна, разклонена, и обоснована. В това се състои качествено различие на тези структурни подразделения на научния текст от граматичното изречение и абзаца.

Четвърто: Качественото своеобразие на статиите, брошурите и монографиите се състои в това, че не могат да бъдат семантично редуцирани към съставните им глави, раздели, параграфи, абзаци или отделни изречения. За научната статия или монографията е важна не само граматично-семантичната, но и структурно-функционалната организация на обширния научен текст от гледна точка на подреденост, композиционна стройност, пропорционалност на обема и симетрията в разположението на научния материал. При това, безспорно е, че ако при всеки познавателен акт действителна научна придобивка е само новата информация, то в статията или монографията такава действително нова семантична информация е не повече от 15%. Ако тази цифра е по-висока, тогава би следвало всяка фраза (изречение) в статията или монографията да е ново научно утвърждение (факт, принцип, доказана теорема и т.нат.), което е практически невъзможно. Такава статия или монография и съдържащата се в нея нова информация рискува да остане неразбрана, което не веднъж се е случвало в историята на науката. Даже такава синтетична в информационно отношение книга като «Начала» на Евклид не се състои само от списък на аксиоми и теореми, а закономерно включва и доказателства. При съобразяване с тези доказателства картината се променя – ако е дадена теорема, изразена с граматично изречение, и съществуват средно три аргумента за нейното доказване, следователно най-малко още три изречения, и още, в крайна сметка, три изречения, свързващи тези аргументи в процеса на доказателството, то общо се получават седем изречения, от които само едно (а именно формулировката на теоремата, която е изводът в това доказателство) носи нова научна информация, а останалите само го придружават. Отношението 1:7 са тези посочени по-горе около 15%. Тази усреднена величина в действителност може да бъде значително по-ниска, в частност, за сметка на незадължителни въведения, цитати, заключения, библиографски списъци, изразяване на благодарност към субсидиращи организации и т.нат.

II

Като се придържаме, *първо*, към тезаурусния и топологичния подходи към семантичната информация, отчитайки, *второ*, липсата на общоприета «единица мярка за семантична информация», с осмисляне, *трето*, гносеологичните аспекта на диалектическите категории «количество-качество» и «форма-съдържание» и на понятието «ценност на семантичната информация», в съответствие, *четвърто*, с относителността на понятието «елементарен обект» при разглеждането му от позициите на редуцирания и интегралния подходи, съобразявайки се, *пето*, със съвременните представи за същността на ситуационния анализ на текста, както и, *шесто*, с информационния подход към изучаването на процеса на анализ и синтез на

семантичната информация в процеса на научното познание, а също и, *седмо*, с постановките на множество автори, разглеждащи въпроса за мерна единица за семантичната информация, приемаме, че «научният документ» или «структурна част от научния документ, обособена от автора му (със заглавие)» е най-малката семантична структурна единица, представяща конкретен обект на познанието в такава семантична пълнота и изчерпателност, в каквата авторът на документа приема, че знанието за изучавания обект запазва своята същност, т.е. своята семантична мяра. Това определение за «мяра на семантичната информация» позволява да се направи съществена крачка напред в усилията за оценъчни анализи в науката и е предпоставка за постигане на практически резултати.

ლენიდე ჯახაია, ხრისტო მუტაფოვი
სამეცნიერო ტექსტის სტრუქტურული ელემენტების საკითხისათვის
რეზიუმე

პროფესორ ლ. ჯახაიას (I ნაწილი) და პროფესორ ხ. მუტაფოვის (II ნაწილი) სტატიაში ახლებურად არის დასმული და გადაწყვეტილი საკითხი სამეცნიერო ტექსტის სტრუქტურული ელემენტების შესახებ: ერთი გრამატიკული წინადადება – აბზაცი – თავი (პარაგრაფი).

Leonid Djakhaia, Khristo Mutafov
The question of structural elements of scientific text
Summary

In article of professor L.G.Djakhaia (I part) and professor Khr.G.Mutafov (II part) the question of structural elements of scientific text is posed and concluded innovative: an grammatical proposition – abzac – chapter (paragraph).



ლუარა სორდია
(საქართველო)

**ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაბედიების
ასახვა ბალაკტიონის პოეზიაში**

**გათელილი, გაყინული, გაუჩინარებელი, გადაშენებული, გარდაცვლილი ყვაილი
და მისი ვარიაციები – რწმენის უარყოფის მაცნე.**

ბალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს საღვთო სიყვარულის იდეას და ამ გრძნობას ეწოდება ზექვენიური სიყვარული, სიყვარული მზიანი, სიყვარული პირველი, სიყვარული უკანასკნელი, სრული ტრფობა, სხვა სიყვარული, ჯერ ყველასგან მიუკვლევადი სიყვარული.

საღმრთო სიყვარულზე მიმანიშნებელ სიმბოლოებად მიგვანია „ტრფობის წმინდა ყვაილი, იღუმალი, შორეული სატრფო, იღუმალეა შორეულ ტრფობის, სატრფო ვარსკვლავი“.

ქართველ პოეტს ამ გზაზე დიდი ტრადიციები უძღოდა წინ: პლატონის მოძღვრება მიწიურ და ციურ ეროსზე, სიყვარულის არეოპაგიტული მოძღვრება, აღმოსავლური სუფიზმი, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, რუსი და ევროპელი სიმბოლისტების შემოქმედება, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, დავით გურამიშვილის, ვახტანგ VI-ის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას პოეზია.

ბალაკტიონი უზენაეს, უპირველეს გრძნობად ღვთის რწმენას, „პირველ სიყვარულს“ სახავდა და თავის შედეგებში განუმეორებელი მხატვრული სახეებით აფიქსირებდა ამ წმინდა გრძნობის ერთგულებას, ამასთან, ღმერთისუარმყოფელი ათეისტური ეპოქის ტრაბედიებსაც გვიცნობიერებდა ენიგმური, სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით. მის პოეზიაში თვალში საცემია ჩამქრალი, ლანდად ქცეული, ქიმერებში ჩავარდნილი, გარდაცვლილი, ჩასული მზის, გაუჩინარებული შუქის, სხივის, ცეცხლის სახეები, დამსხვრეული რწმენის გემის, დაღწილი ხომალდების, ჩაძირული ნაგების რექვიემი, გამხმარი ვახის, გათელილი, გარდაცვლილი, გაპარცეული, ბურუსების იქით გადაკარგული, დაშხამული ვარდების ტკივილი, გამქრალი ზაფხულის, გარდასული გაზაფხულის სევდა; დამშრალი წყაროს, გამხმარი ბადის, თოვლიანი ალვის გამოტირება; თვალში გვეცემა დაღწილი, ჭორფლიანი, ტალახიანი ცის ხსენება, გაფითრებული იაგუნდის დღე, დანგრეული კოშკები, გრაალის კოშკები იმსხვრევა და მათი მრავალმნიშვნელოვანი, დაფარული ქვეტექსტები ეპოქალურ უბედურებაზე მიგვანიშნებს.

ამჯერად თვალი გადავაგლოთ რწმენის იგნორირებაზე მიმანიშნებელ ყვაილთა სახეებს.

ლექსი „მიმდერე რამე“ სწორედ საღვთო სიყვარულის უარყოფაზე მიგვანიშნებს ბურუსებს იქით გაუჩინარებული სიცოცხლის დილის ყვაილების სახით: „როგორ მიყვარდა, მაგრამ ხსოვნა იმ ტრფობის სრულის დარჩა ჩემს გულში წარუშლელი და მოკამკამე, იმას იგონებს მოგონება დაღალულ გულის, იმ სიყვარულის მიმდერე რამე!“ „ტრფობა სრული“ საღვთო სიყვარულია, იგივე „პირველი სიყვარული“. ამ გრძნობის დავიწყება უსაყვედურა ქრისტემ ეფესოს ეკლესიას, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში: „შენს საწინააღმდეგოდ ის მაქვს, რომ მიატოვე შენი პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცხადება, 2,4) (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992:492).

ბალაკტიონის გულში წარუშლელი, მუდმივი ადგილი უკავია ამ გრძნობას,

მაგრამ წამების მიზეზი ის არის, რომ ბურუსებს იქით არის გაუჩინარებული „ყვა-ვილები სიცოცხლის დილის“: „ახალგაზრდობა, ყვავილები სიცოცხლის დილის ბურუსებს იქით გადიკარგა, როგორ ვეწამე, ახლა თავს მადგას მჭმუნვარება მომავლის ჩრდილის, იმ სიყვარულის მიმდევრე რამე“.

ყვავილი ქრისტეს სიმბოლური სახელია და ეს სახე მომდინარეობს სოლომონის ქებათა ქებიდან: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (ქებათა-ქება, ა2) (ბიბლია, 15).

სიცოცხლე, ცხოვრება ასევე ქრისტეს მიემართება. სახარებაში ქრისტე არის „გზა, ცხოვრება, ჭეშმარიტება“ (იოანე, 14, 6) (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992:21).

დილა მარიამის სიმბოლოდ გვესახება:

„მჭმუნვარე მომავლის ჩრდილიც“ ქრისტეს სიმბოლოა. პავლე მოციქულის ეპისტოლეში ძე ღმერთს „მომავლის ჩრდილი“ ეწოდება (პავლე მოციქული, კოლასელთა, 2, 17) (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992:433).

ქრისტე არის აგრეთვე „მომავლის მღვდელთმთავარი“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 9, 1) (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992:478).

გალაკტიონის ლექსიდან ირკვევა, რომ ბურუსებს იქით გაუჩინარდა ღვთისა და ღვთისმშობლის სათნო სახეები, მაღალ იდეალებს შეაგებეს გესლი, ახალგაზრდობისას დაუძღურების, ცეცხლის, განადგურებისა და „წარუშლელი მწუხარების“ განმცდელს, ისევ იმ მაღალი სიყვარულის, ღვთაებრივი სათნოების ნოსტალგია გაუჩნდა (ტაბიძე, 1997:11).

გალაკტიონის პოეზია გამოირჩევა საღმრთო ვარდებისათვის გამზადებული ტრაგიზმის ვარიაციებით.

ლექსი „როგორც სიზმარი“, რომელიც დათარიღებულია 1915 წლით, გვაუწყებს, რომ ყვავილს ჩასაფრებია „განადგურების ქარი“: „სიმწრით აივსო ყვავილთ ნექტარი, ყვავილთა შორის სიამის ნაცვლად განადგურების ქანაობს ქარი“ (ტაბიძე, 1997:212).

„ატმის ყვავილებში“ (1915წ.) ბებერი ქარი „ავობს“, იძარცვება ატმის ყვავილი და სიკვდილის მსხვერპლი ხდება უცხო მხარის „დედოფალი“ – ატმის ყვავილი: „ყვავილი იგი მოკვდა და ჩქარა წითლად დაფარა ბადის ბილიკი. მეფობს სიკვდილი ჭკნობის მსურველი. ჩაქრა სურნელი, დაჭკნა ყვავილი!“ (ტაბიძე, 1997:290).

ჩვენი აზრით, ატმის ხე მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა, ყვავილი – ქრისტესი. მარიამი მოიხსენება აგრეთვე, როგორც „ნაზი ქალი“, უცხო მხარის დედოფალი, ქრისტეს სახეებად მოაზრებულია გაზაფხული, ნამი, მზე (იხ. ამაზე დაწვრილებით ჩვენი წერილი „ატმის ყვავილებს“ ციკლი, სორდია, 2009:99-113).

„ატმის რტო, დაღალულო რტო“ აკონკრეტებს ეპოქას, სადაც ზღვა და სისხლი მძვინვარებს, სადაც რტოს გადარჩენა საეჭვო გამხდარა: „ნაპრალებზე გადაიმსხვა ნერგი, ახლა ზღვაა, ახლა სისხლის დროა. თუ გადარჩი, ხომ გადარჩი, კარგი, ატმის რტო, დაღალულო რტო“ (ტაბიძე, 1997:290).

რტო საღმრთო სახელია.

ლექსში „გული“ (ტაბიძე, 1997:320) მეგობრად დასახული მოსისხლე მტრის მიერ დაწვევტილი ვარდები, დანგრეული ძეგლები და ქანდაკებები ამხელს ქვეყნის უბედურებას.

„შემოდგომის დღეში“ (ტაბიძე, 1997:328-329) „მკვდარ ყვავილების ფენას გრძნობს მომაკვდავი ბაღი“.

1915 წელს დაწერილ ლექსში „სადამო“ ყურადღებას იქცევს ჯვარზე გაკრული ელვა – პოეტის და – მარიამი და ურჩი ახალგაზრდობის მიერ გათელილი ლურჯი ყვავილი: „ჯვარზე გაკრული ელვა – ეს ჩემი დაა ლურჯი, ლურჯ ყვაი-

ლებს თელვა, ახალგაზრდობა ურჩი! ჯვართან მისული სურო – მარტოობაა ქნარის“ (ტაბიძე, 1997:254).

უფიქრობთ, ელვა მარიამის სახელია, ლურჯი ყვავილი – ქრისტეზე მინიშნებს (სორდია, 2009:113-117).

1914 წელს დაწერილი „სამრეკლო უდაბნოში“ (ტაბიძე, 1988:40) ყურადღებას იქცევს იანვრის თოვლით დამჭკნარი სულის იებით, შიშველი, თეთრი ყვავილით, წუხილის საგანია ცოდვილი ხელები, დამალული დალატი, თეთრი ბეჭდების თვლები: „იანვრის თოვლი, იანვრის თოვლი ატკნობს ჩემს სულში ნაადრევ იებს და ჩემი სული სწუხს ცოდვილ ხელებს, დაფარულ ცოდვებს, დამალულ დალატს, ნაზი ფრჩხილების გრძელ ზამბახებს, სწუხს სხვაგვარ ცრემლებს, თეთრ ბეჭდების თვლებს, – შიშველ, თეთრ ყვავილს“.

შიშველი, თეთრი ყვავილი მინიშნებაა უარყოფილ ქრისტეზე.

თეთრი ბეჭედი მარიამის სიმბოლოა. „ვემირებუნი ძლისპირნის“ მიხედვით, მარიამი არის ზეცის „ბეჭედი“ (ნევემირებუნი ძილისპირნი, 1982:821).

სულის ია აგრეთვე მიემართება ღვთისმშობელს. ვახტანგ VI-ის პოეზიაში მარიამი მოხსენიება, როგორც „უბიწო ია“ (ვახტანგ VI, 1975:18).

პოეტის წუხილის მიზეზი ღმერთის უარყოფილი ეპოქაა და მისი სული „წუხს, ვით სამრეკლო ცის უდაბნოში“ („სამრეკლო უდაბნოში“).

სადმრო ყვავილის იგნორირების წუხილია ლექსში „ზღაპრებიდან“ (1915): „ო, გაიგონეთ ჩემი წუხილი ვარდებში რგული“. აქვე „სნეული ვერხვი“ ოხრავს. ვერხვი სიცოცხლის ხის სიმბოლოა, სიცოცხლის ხე კი ღმერთის სახელია.

ლექსში „ვერხვები“ (1915წ.) „სადღაც დაკარგული ვარდი და გვირილები“ პოეტის მოგონებაში მუდმივად არსებობს. იგი „პაჟია“, ერთგული მსახურია „ყვავილების“ (ქრისტესი) და პრინცესის – მარიამის (ტაბიძე, 1988:47).

მარიამი ხომ მეფის ასულია, პრინცესაა, დედოფალია.

აი რას გვაუწყებს დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნი: „ტახტი შენი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდეა, სიმაღლის კვერთხია შენი კვერთხი“.

„შენს გვერდით დადგა დედოფალი ოფირის ოქროთი შემკული“ (ფს. 44, 7, 10) (ბიბლია, 562).

ქე ღმერთის, მესიის გვერდით მდგარი დედოფალი, ბიბლიის კომენტატორთა მიხედვით, მსოლოდ ღვთისმშობელია: „ვინ არის ის დედოფალი, რომელიც მესიის გვერდით დაუყენებიათ? რა თქმა უნდა, იმ ძის, იმ მესიის დედა, სხვა ვინ უნდა იყოს მესიის გვერდით მდგომი ქალი?“ (იოანე-იონა, 1994:152).

ლექსში „ეს იყო 15 წლის წინათ“ – გრიგალი ადებს პოეტის კარებს და გულისმომკვლელი ქვითინით ხდება ძიება იდეალის: „მე თვალთ ვეძებდი ზამბახის პრინცესას, მწყუროდა ცისფერი ვარდები“ (1927წ.) (5, 312).

უფიქრობთ, „ცისფერი ვარდები“ ქრისტეს, ზამბახის, პრინცესა მარიამის სიმბოლოებია (იხ. ამაზე ჩვენი წერილი გალაკტიონის „ზამბახის პრინცესა“ (სორდია, 2009:13-18).

„შემოდგომის ფრაგმენტში“ (1916წ.) განწირული, გაძარცვული ყვავილებისა და გაშავებული ცის შემყურე პოეტი კითხულობს: „ეს ყვავილები, ეს ცა მითხარით, არავის თქვენგანს არ ენანება?“ (ტაბიძე, 1988:76).

უსასრულოდ იზრდება ასეთი მაგალითები გალაკტიონის პოეზიაში.

ლექსში „წერილიდან მისდამი“ (1916წ.) ცრემლიანი ყვავილები იქცევენ ყურადღებას: „როს იმ ყვავილების ცრემლებს ვათოვ, გთხოვ, სასიკვდილოდ ნუ მიმაცხოვებ“ (ტაბიძე, 1997:350).

„ტკნება ვარდები რგული, ქარი ქანაობს ქნარად, არ გამთელდება გული? წყნარად, წარსულო, წყნარად!“ – გვაუწყებს ლექსი „ქარი ქანაობს ქნარად“ (1924

წ.) (ტაბიძე, ტ. II, 1993:48).

ქარისაგან დაღეწილი ფოთლები, ყვავილები, ცა მინიშნებაა ეპოქისეულ ტრაგედიებზე, რაც მძაფრი ტკივილით სავსე შეკითხვას ამოაკენებს „შემოდგომის ფრაგმენტის“ ავტორს: „ოჰ, ეს ფოთლები ფენილი ქარით, ეს მწუხარე და ნაზი ზმანება, ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით, არავის თქვენგანს არ ენანება?“

„ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ (1917) გამომშვიდობებაა „ციურთა თანად“ ოცნებასთან, იმსხვრევა გრაალის კოშკები (გრაალი სულიწმინდის სიმბოლოა), გაფითრებულია „ღრუბელი ფერადი“ (მარიაში), „ალვა ტანადი“ (ქრისტე). ანგელოზი თითქოს განაჩენს კითხულობს, ეშვება ფარდები და „კვდება ვარდები“, რომელსაც გულისტკივილით ემშვიდობება ლექსის ლირიკული გმირი.

ლექსი „აწ კივილისთვის ირევიან“ (1927წ.) აფიქსირებს ჯოჯოხეთურ ყოფას, როცა ბრძოლის გამფეტიშებელ ეპოქას ცოდვად მიუჩნევია ვარდების სიყვარული და მშვენიერების, უზენაესის სიყვარულს „დაცინვას, წყრომას, ირონიას“ უპირისპირებს: „ჯოჯოხეთი“ გარდა ბრძოლისა, ყველაფერი იქნება ცოდვა, თვით ეს ვარდებიც, ასე მგონია, გაისმის, როგორც მოგონების შეშლილი ბოდვა, დაცინვა, წყრომა და ირონია“ (ტაბიძე, 1997:301).

„გულო, რა გემართება?“ (1927წ.) ისევ ხაზს უსვამს „ვარდის“ ზედმეტობას: „ვარდები არ არიან, მაგრამ რა მევარდება?“ (ტაბიძე, 1988:318).

„ორნამენტში“ (1948წ.) სიმბოლური ყინვა ემუქრება ყვავილებს: „გარეთ ყინვაა, ყვავილებიც გადაიყინა“ (ტაბიძე, ტ. III, 1993:242).

მოკლედ, XX საუკუნის დასაწყისიდან 80-90-იან წლებამდე გრძელდებოდა ათეიზმის ზეობის პერიოდი და გალაკტიონის ტკივილი არ ნელდებოდა 1959 წლის 17 მარტის ტრაგედიამდე.

1917 წელს უღმერთობაზე „ნაწვიმარ სილაში ვარდის“ სახით, „საბედნიერო სულის“ (ღმერთის) გაუჩინარებით მიგვანიშნა (სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში) (ტაბიძე, 1988:129).

„აღარ არის მენესტრელი“ (1912წ.) ყორნების ჩხავილის, თოვლის ფონზე გვიჩვენებს იდეალური ყვავილის სილისათვის გამეტებას: „იყო ირგვლივ ზიანება და ყორნების ჩხავილი, თოვლმა სილას მიანება ნოვალისის ყვავილი“ (ტაბიძე, 1988:188).

ვარდების სიკვდილის, გრაალის კოშკების მსხვრევის და უზენაესთან გამომშვიდობების მაუწყებელია ანგელოზის პერგამენტი, რაც აპოკალიფსის დარად გვიცნობიერებს უღმერთო იმპერიაში რწმენასთან გამოთხოვებას (ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი) (1917წ.): „სადამო ნელდება და კვდება ვარდები, მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!“ (ტაბიძე, 1988:132).

ლექსში „გული“ (1919წ.) მეგობრად დასახული მოსისხლე მტრის ხელობად აღიქმება ვარდების დაწვევა: „მეგობრად მყავდა დასახული მოსისხლე მტერი... დაწვევით ვარდებს ძალამოკლულ თვალით დაეცქერი“ (ტაბიძე, ტ. I, 1993:155).

სხვაგან ჩონჩხების, სატანის, ღამის შიშს, ქარს ყვავილების სასიკვდილო ხვედრი ენაცვლება: „რას მოელიან ვარდები რგული? ყვავილებს თიბავს ეღვათა ცელი, თენდება. ქარმა წაიღო გული და ათას ცხრაას მეოცე წელი“ (მაგიდა ალემბიკებით) (ტაბიძე, ტ. I, 1993:186).

ლექსი „გადაუღებლად“ (ტაბიძე, 1997:54) გვაუწყებს ზაფხულის გაქრობას, ყვავილთა ჭკნობას: „გაჰქრა ზაფხული, წავიდა ის დღე, როს მეორე დღეს შვებით ვხვდებოდი, მე ყვავილები მესიზმრებოდა და მე ყვავილებს ვესიზმრებოდი. დატკნა ყვავილთა ნარნარი გროვა, გული წუხს და წუხს, გარეთ წვიმს და წვიმს“.

დაცვენილი ვარდები, ჩამოშლილი შუქი, უჩვევი ნათელის გაუჩინარება და ჩვეული სიცივეა ლექსში „აღვები თოვლში“ (ტაბიძე, 1997:720).

პოეტი ამოდ ეძებს „ნაცნობ ყვავილს“, თუმცა, მრავლად ხედავს „უცხო და შორეულ მდინარის ნაპირთა“ ვარდებს („მე მოვალ“) (ტაბიძე, 1997:76).

სადგოთ ვარდებისადმი გულგრილობას, ათეისტ რევოლუციონერთა არაპუმანურ საქმიანობას ხაზგასმით გვამცნობს სტრიქონები: „ირგვლივ ნისლი სუფევდა, ვარდებს შხამი ერია, მაგრამ წყნარად ამბობდი: იყოს, არაფერია!“ („რევოლუციონერის ხსოვნას“) (1922წ.) (ტაბიძე, ტ. I, 1993:201).

1923 წელს დაწერილი „მშობლიური ეფემერა“ ეროვნული ღირებულებების დამდაბლებას, უღმერთობას, მოყვრის ნიღბით მოვლენილი მეზობლის ვერაგობას ღრუბლით შემოსილი ყაზბეგის, დაცარიელებული ყვავილთა ცის და დარიალიდან მოსმენილი ზარის შთამბეჭდავი ხატებით შეგვაგრძნობინებს: „ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით და ცა აღუბლით საესეა, კმარა, ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდნენ, დარიალიდან ზარავდა ზარა“ (ტაბიძე, ტ. I, 1993:217).

ღამე, მღვრიე ქარიშხალი, აყირავებული ზამბახთა კალათი ისახება დაღატის დაგვირგვინებად ლექსში „გული გრძნობს“ (1927წ.): „ელვარე ღამე აყირავებს ზამბახთა კალათს. შენ გახსოვს? მღვრიე ქარიშხალი ჰაერს რომ რევდა, გული გრძნობს დაღატს“ (ტაბიძე, ტ. II, 1993:63).

ოქროს შარავანდედისგან გაძარცვულ „საამო ვარდეთში“ „სიკვდილის ხმის“ მოსმენა ამბაფრებს ტრაგიზმს ლექსში „40 წლის წინ“: „სიკვდილის ხმით შეიფიფქა ეს საამო ვარდეთი, თავგანწირვით ეცლება ოქროს შარავანდედი“.

„ვერხვის ფოთოლთა თეთრი ღაშქრის უშორესი შრიალი“ (ვერხვი სიცოცხლის ხე, ანუ ღმერთის სახელია) და „სადღაც დაკარგული ვარდი და გვირილები“ (რომლებსაც პოეტის მოგონებაში სამუდამოდ დაუმკვიდრებიათ ადგილი) გვაგრძნობინებს ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიას ლექსში „ვერხვები“ (ტაბიძე, 1988:47).

პოემა „მშვიდობის წიგნში“ მრავლად არის ჯაგი, ეკალი, ჭინჭარი, სამაგიეროდ არ ჩანს იები, ვარდები და პოეტი სასოწარკვეთილი ხმით კითხულობს: „ვის რად ენება გადაშენება იათ და ვარდთა?“ (ტაბიძე, ტ. XI, 1993:242). პოემა დაწერილია ათეიზმის ზეობის პეროიდში – 1945-56 წლებში.

არასწორი გზების, ბურუსის, პეტერბურგის ყინულის, შავი გულის, ლოცვის მაგიერ ფრთიანი ქიმერების ბატონობის, წმინდა ქართული აზროვნების დანაშაულად გამოცხადების ტკივილია ლექსში „918“. ამავე დროს, ლექსის ღირიკული გმირი „უდაბნოს ყვავილის“ (ქრისტეს სიმბოლოა) თავგანწირული მძებნელია. ლექსი არის იმის ტკივილიც, რომ ქართველი კაცი მარადიული იანიჩარია, ანუ სხვის ომში მემომარი, რაც ილია ჭავჭავაძის „იანიჩარის“ ასოციაციას იწვევს. ეს მრავალგვარი საწუხარი ერთად არის ლექსში ემოციურად გადმოცემული: „მაგრამ უეცრად მოდის ბურუსი და შორს, ძლიერ შორს პეტერბურგია! ოჰ, მეპატოს გული-ყინული, თეთრად სპეტაკი მარად შავია, წმინდა ქართული და რუტინული აზრისთვის იგი დამნაშავეა! შემდეგ უდაბნოს ყვავილთა მზოგარ თვალით მძებნელი და მარებელი, ვუდარაჯებდით, თუ ქარში როგორ აცდა ლიანდაგს მატარებელი; და მიგვაფრენდა ლოცვათ მაგიერ ფრთიან ქიმერათ გვიანი ჯარი, ოჰ, ვერასოდეს გვერდს ვერ ავიარ მე, უდროობის იანიჩარი!“ (ტაბიძე, 1988:173).

„ელეგიაში“ (1914წ.) გამქრალია გაზაფხული, ყვავილები, რწმენა, უსიხარულოა არსებობა და ელეგიური განწყობილება ისადგურებს სულში: „რა ადრე გაქრა გაზაფხულის მზიანი ჩრდილი, რა ადრე გაქრა ჩემი ყრმობა, ჩემი სიზმარი, დროო წყეულო, სად წარიღე ჩემი ფიქრები, დროო ბოროტო, სად დამარხე ოცნება წყნარი... სადაა ჩემი ყვავილები, სადაა რწმენა, ზეცავ სასტიკო, მიპასუხე, მოთხარი რამე!“ (ტაბიძე, 1988:33).

გაზაფხული და ყვავილები საღმრთო სახელებია.

ქრონოლოგიურად, საქვეყნო არასწორი სვლები ათეისტური მარქსიზმის პირმშო სოციალ-დემოკრატების მოვლინებით იწყება, ამიტომ მწუხარე ნოტები ისმის ათიანი წლების ლექსებშიც: „ბუნება, ტრფობის წმინდა ყვაილი რომ დამაბარე, ვერსად ვერ ვპოვე, ბედნიერება ჩემთვის არ არის, ბედკრული შვილი გამომიგლოვე“ („ყვაილები“ – 1910წ.) (ტაბიძე, ტ. I, 1993:33).

„ტრფობის წმინდა ყვაილი“ ღმერთის სახელია.

ლექსში „არ ღირს ერთ ცრემლად“ „სეტყვით“ დაღუპული ყვაილებისა და ვენახების სევდაა. აქვე ყურადღებას იქცევს სხვათა ფუჭსიტყვაობისა და უსაგნო ღრიანცელის განქიქება: „მთელი ღრიანცელი ყველა პოეტების, დაუსრულებელი როცა კამათია, არ ღირს იმ ერთ ცრემლად, რაც თვალს მოედების და ღრმა მოგონებამ მე რომ დამათია. მაგრამ დაცემული არვის ვენახები, თუმცა, მრავალია გულში დაგუბული, როგორც ყვაილები, როგორც ვენახები, დაუსრულებელი სეტყვით დაღუპული“ (ტაბიძე, ტ. I, 1993:371).

მაგრამ ურწმუნოებით გულში გაჩენილი უდაბნო მომავალში ღმერთთან შერიგებით განათდება, ასეთი იმედიანია პოეტი: „შენ ნუ დაეცემი, შენ ნუ შეშინდები, გულის უდაბნოსთან ბრძოლას ეგ არ იგებს, ჯერ არ შებინდდება, ყველა ამია, მხოლოდ გამარჯვება ღმერთთან შეგვარიგებს“ (ტაბიძე, ტ. I, 1993:371).

პოეტი გამუდმებით ეძებდა „ზამბახის პრინცესას“ (მარიამს), არ ასვენებდა „ცისფერი ვარდების“ წყურვილი (ეს იყო 15 წლის წინათ) (ტაბიძე, 1988:312).

1915-1918 წწ. იქმნება „ატმის ყვაილების“ ციკლი, რომელიც უღმერთობის, უღვთისმშობლობის ტრაგედიას ავიქსირებს მიგნებული, განუმეორებელი მხატვრული სახეებით (იხ. დაწვრილებით: 4, 99-113).

პოეტი „ცისფერ ყვაილს“ ევედრება არ დატკნეს, მას სწყურია თავისი ქნარით გააცოცხლოს ყვითელი ფოთლები, ყვითელი ვარდები (ყვითელი ფოთოლი) (ტაბიძე, 1988:55).

გალაკტიონი დაეძებს „ზამბახის პრინცესას“ (მარიამს), „ცისფერ ვარდებს“ (ქრისტეს) (ეს იყო 15 წლის წინათ).

ლექსში „გაქრენ ზაფხულის დღენი“ (1925წ.) ღრმა ქვეტექსტის მქონე ფრაზაა „ქარი ყვაილებს ურევს“ (ტაბიძე, ტ. III, 1993:276).

და პოეტის მიზანი ხდება გრიგალისგან, ღამისგან ვარდების გადარჩენა: „ვით ლოცვა, ედება საღამო მთის კალთებს, შორს ქარი გაჰკივის, ბნელდება თანდათან. მე გავალ ამ ქარში, გავიტან ამ ვარდებს და შენი ღოდინის სიმღერას გავიტან“ („ლოცვისთვის“ – 1919წ.) (ტაბიძე, ტ. I, 1993:162).

ამიტომაც გალაკტიონის მიზანი ხდება შექმნას „ღოდინის სიმღერა“, „გადარჩენის სიმღერა“, „გადარჩენის ჰიმნი“, „იმედები უსაზღვრო და განსაზღვრულ მხარეთა“.

პოეტის ერთადერთი წუხილია „ჩვენი დეკა და ღვია“ (მე ერთადერთი მქონდა წუხილი – 1923წ.) (ტაბიძე, ტ. I, 1993:215).

გალაკტიონს „შემოდგომის ყვაილები“ მიჰქონდა დიდებასთან და მარადის ახსოვდა „ერთი შორი ოცნება ძველ მოტივიდან“ („გულო, რა გემართება“ – 1927წ.) (ტ. II, 836).

დიდება სულიწმინდის ატრიბუტია. „ღვთისმეტყველებაში“ სულიწმინდის ღმერთებაზე საუბრისას მუდამ აღნიშნავენ მის დიდებას და ბრწყინვალებას: „რამეთუ დიდებისაი იგი და ღმრთისაი სული თქვენ ზედა განსვენებულ არს“ (I პეტრე, 4, 14) (გამსახურდია, 1991:126).

„ორნამენტში“ (1948წ.) „გარეთ ყინვაა, ყვაილებიც გადაიყინა“.

„გული“ (1919წ.) გვაუწყებს, რომ „მეგობრად დასახული მტრის“ ნახელავია „დაწვეტილი ვარდები“ (რწმენის უარყოფა). „მეგობრად მყავდა დასახული მოსის-

ხლე მტერი, დაწვეტილ ვარდებს ძალამოკლულ თვალთ დავცქერი“ (ტაბიძე, 1988:155).

„პორტრეტში“ ვარდთან და ზამბახთან ღამეა და გველი სისინებს (ტაბიძე, 1997:222).

ყვავილებთან დემონების, დამალული მხეცის გამოჩენა, მონგრეული ზეცის აქცენტირებაა ღმერთისმგომბელი, დემონებთან დაძმობილებული ეპოქის შინაარსზე მიმთითებელი („სად დასასრული იყო“) (ტაბიძე, 1988:66).

„თოვლში“ (1916წ.) ჩაგვაფიქრებს „მწუხარე გრძობა ქროლვის, მიმოვლის და ზამბახების წყებად დაწვენა“, ზამთრისაგან გადარჩენის ნატვრა.

ზამბახები მარიამის სიმბოლოდ გვესახება, თოვლში დაწვენილი ზამბახები უკუღმართ დროში დამდაბლებული მარიამია, ჩვენის აზრით (ტაბიძე, 1988:7) (იხ. დაწვერილებით – სორდია, 2009:165-174).

შემოდგომით „ჩაღეს ჩალა“, წვიმით დაყრუებულ გზებზე, „ჭაობის ვარდებზე“ ფიქრობენ სხვები, პოეტს კი ცეცხლის შიშინშიც აკვიატებია კითხვა: „მოვა თუ არა, მოვა თუ არა?“ („შრიალებს ჩალა“, 1927წ.) (ტაბიძე, 1988:336).

ღმერთის, რწმენის უარყოფა (ვარდის ჭკნობით გამოხატული) უმამულოდ ყოფნის, ყოველივეს გაუფასურების ტოლფასია და ამასთან შერიგება გაცვებით ავსებს პოეტს: „არ მეგონა, რომ ოდესმე დასჭკნებოდა ვარდი, მე მეგონა – მაგნოლიებს ვერ დასძლევათ დარდი. არ მეგონა, არ მეგონა, არ მეგონა გულო, თუ ამგვარი გახდებოდი – ცივი, უმამულო. და ამგვარად თუ სიცოცხლის მოკვდებოდა კონა – არ მეგონა, სიცოცხლეო, არა, არ მეგონა“ (არ მეგონა, 1937). ლექსის დაწვერის თარიღი – 1937 წელი – ძალზე საგულისხმოა.

კეთილშობილი ვარდები კვდებიან „სწრაფი გარდაცვალებით“, ფაენი სიცილით დაძრწის მთა-ველად და დაუნდობლად კლავს ყვავილებს (ავადმყოფს, 1925წ.).

მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოდ გვესახება „ყვავილების ქალი“, რომელიც წუხს განსვენებულ რწმენაზე, დამარხულ იმედებზე, ჩამქრალ ალზე: „აი, ოდესმე მკრთალი – ეხლა ჩამქრალი ალი, აქ განისვენებს რწმენა, სწუხს ყვავილების ქალი. სწუხს ყვავილების ქალი, ხედავს დამარხულ იმედს და ებინდება თვალთ. აქ ძველი ხანა მოკვდა, სწუხს ყვავილების ქალი“ (ყვავილების ქალი, 1926წ.).

პოეტი ეთაყვანება წარსულის „ია-ზამბახის თოვლს“, ამასთან, „მზეთუნახავი ალვის“ სახეს ამკვიდრებს თავის პოეზიაში: „წარსულმა ღამემ შენს ფანჯარაში დათოვა თოვლი ია-ზამბახის, შენი ალვა დგას, როგორც დარაჯი, მზეთუნახავი და მკრთალი სახის“ (ავდრის მოლოდინი).

ია-ზამბახი მარიამის, ალვა ღმერთის სიმბოლური სახელებაა.

პოეტების მეფე უფროხილდებოდა ყვავილებს როგორც „ნატვრის თვალს“, მოსავდა „ნატვრის ფარჩა-გვირგვინით“ (ყვავილები-წუთები) (ტაბიძე, ტ. I, 1993:134).

გალაკტიონი უგალობს „დაუმტკნარ ყვავილებს“ (მარიამს) (აკაკი წერეთელი), მთის სურნელოვან ვარდებს, გრიგალით, თოვლით დაუმარცხებელთ, რომელთაც ძალა და სიხარული მზისგან ენიჭებათ: „სამხრეთის მზის ქვეშ, მთის ჰაერში ჰყვავიან ვარდნი – ფერად-ფერადნი, მშვენიერნი, სურნელით წმინდა, არ ეშინიათ არც გრიგალის და არც თოვლ-ვარდნის, მათში ძალა და სიხარული მოსტკვივის მზიდან“ (რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს?).

მთა მარიამის, ვარდი, ძალა, სიხარული – ქრისტეს, მზე – მამადმერთის სიმბოლოებია.

თოვლზე უსპეტაკესი სულის მქონე პოეტი ვერ ურიგდებოდა ყინვაში „გაფურჩქნილი ვარდის“ ჰანგზე მომღერალ მედროვე ვაი-პოეტების გნაძს: „იანვარია, თოვლი ჰფარავს ქუჩებს და ბინებს, მაგრამ ვინაა, რომ ჯინაზე ასეთ ამინდის მაისის ვარდნი გაფურჩქნილის ხმით მილიდინებს?“ (სამოცდაათი წლის პოეტი ქუ-

ჩაში მიდის).

უსასრულოდ იზრდება გალაკტიონის პოეზიაში გათელილი, დამჭკნარი, ცრემლიანი, გაყინული, ნაწვიმარი, გამჭრალი, დაწვეტილი, მოცელილი ყვავილების რიცხვი.

გაზაფხულზე სულს ლევს მშვენიერი ნამი ყვავილის გულზე (რა მშვენიერი იყო ნამი).

ცვარი, ნამი საღმრთო სახელია: „ვიქნები ცვარი ისრაელისთვის, აყვავდება, როგორც შროშანი და ლიმონით გაიდგამს ფესვებს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 12, 11).

მეგობრად დასახული მტრისგან დაწვეტილი ვარდები და ძეგლები გვზარავს ლექსში „გული“ (1919წ.). მასში პოლიტიკური ქვეტექსტები იკითხება.

ყვავილების (რწმენის) კვდომას ბალიც სასიკვდილო აგონიით მოუცავს (ბალი კაცური ბუნებაა იპოლიტე რომაელის მიხედვით). ღმერთის უარყოფა ადამიანურ სიქველეთა გაუფასურებას მოასწავებს. ამ აზრს ასეთი მიგნებული სახეებით გამოხატავს პოეტი: „მკვდარ ყვავილების ფენას გრძნობს მომაკვდავი ბალი, გული იბურავს წყენას, როგორც კატარღის დაღი“ (შემოდგომის დღე) (ტაბიძე, 1997:328).

ლექსში „მე ლაჟვარდიდან“ დაღეწილი ვარდის ღრუბლები მიგვანიშნებს მთავარ პრობლემაზე: „ვარდის ღრუბლები გადაიღეწა, ზეცის მაგიერ ქვეყანა იწვის“: ვარდი ქრისტიანული ღმერთის, ღრუბელი მარიამის სიმბოლოა.

ზამბახებიც სიკვდილის ცელის ხვედრი გახდება, წინასწარ გრძნობს პოეტი: „მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი, ატირდება დრო და ჩემი ლექსი“ (ცამეტი წლის ხარ) (ტაბიძე, 1988:354).

„შავი ყვავილის სამუდამოდ მკვდარი ფოთოლია“ ლექსში „ვინ არის ეს ქალი?“ მასში ცისფერ მშვენიერებას ჩასაფრებია გამანადგურებელი ჩახმახის წუთი.

მიუხედავად ეპოქის საბედისწერო ტენდენციებისა, გალაკტიონ ტაბიძეს არასოდეს გაუწვევტია კავშირი უზენაეს საწყისებთან, იგი ეძებდა და ჰპოვებდა „უღაბნოს ყვავილებს“, ბეჭდებზე ვარდის ცვარს და ლოცვის სურნელით ტკბებოდა: „თითქო ბეჭდებზე დაგეყრება ვარდების ცვარი და სურნელებით აივსება შენი ლოცვანი,“ (საღამოვ, ვიცი) (ტაბიძე, ტ. I, 1993:169).

ბეჭედი მარიამის სიმბოლოა (მოსია, 1996:124), ვარდის ცვარი – ქრისტიანული ღმერთისა.

გალაკტიონის დევიზი იყო „ყვავილთ შემოშენება“, გამჭრალი რწმენის აღორძინება.

ყვავილთ მომსპობი ჯაგის და ეკლის (ცდომილება, ურწმუნობა) უზენაესისგან მოსპობა სჯეროდა პოეტს: „ჯაგიც, ეკალიც ბევრზე ბევრია, სპობს ყვავილს, ძალით თუ შეერია. ბარდები? – ამბობს, – რამდენიც გინდა, მრავლობს, გააქრობს მათ ყოვლადწმინდა“ (ტაბიძე, ტ. IX, 1993:291-292).

პოეტის მიზანი იყო ბოლომდე დაეცვა ყვავილები „სისასტიკის შავბნელი“, „მუხთალი ხელისგან“ (მე ამ ყვავილებს) (ტაბიძე, ტ. I, 1993:159).

ყვავილების (რწმენის) გადარჩენის საპატიო მისიას თანმიმდევრულად ერთგულედა გალაკტიონი: „თურმე ნისლი სდარაჯობდა აყვავების პირველ ჩრდილებს, ნუ დაეკარგავთ ჩვენ იმ ხსოვნას, ნუ დაეკარგავთ იმ ყვავილებს“ (ნუ დაეკარგავთ ხსოვნას).

„მრავალი ვარდების მფენი“, ციური, შოპენისა და პაგანინის ფანტასტიკური მუსიკით სავსე, რწმენის მსახური სული გამოარჩევდა პოეტს: „როგორც მრავალი ვარდების მფენი, მას სული ჰქონდა უხვად ციური, მასში მრავალი იყო შოპენი და პაგანინი ფანტასტიური“ (სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს).

ვარდებით მთვრალი სული რწმენით სავსე სულია, რადგან ვარდი საღმრთო

სახელია: „ამ ვარდობისთვის ვარდებით ვთვრები, კარგია თრობა“ (მაისის ისრით).

პოეტისთვის ორგანული იყო „ელვის ბილიკზე“ სიარული, „თოვლის ვარდების“ განცდა: „ელვის ბილიკზე მიდის ფეხები და მეცემიან თოვლის ვარდების“ (ხან უფსკრულები, ხან მწვერვალები).

თოვლის ვარდი – მარიამია (ისევე როგორც „ქალწული თოვლი“, „თოვლის მადონა“) (იხ. მოსია, 1996:124), ელვის ბილიკი – ქრისტეს მეტაფორაა.

მზის (მამადმერთის) მიერ მარადისობად ქცეული ყვავილების (ქრისტეს) და მარადიული დილის (მარიამის) სიყვარულის გამო უზენაესის ნებამ პოეტის ერთი ცხოვრება „ათასზე გადაამრავლა“, ათასის მხედველობა, ასე ათასის სმენა მიჰმადლა (ნიავი, ია, ნარგიზი) (ტაბიძე, 1988:410), რათა „განთიადის სიმღერა“, „სიყვარულის სიმღერა, ბრძოლის, ლოდინის სიმღერა“ შეექმნა ქართველ გენიოსს, რათა „სიხარულის უვერტიურა“ (სიხარული საღმრთო სახელია) მოესმინა და უზენაესის რწმენა გადაერჩინა.

როგორც ვნახეთ, ვარდი, ყვავილი გალაკტიონის პოეზიის ერთ-ერთი მრავლისმთქმელი სიმბოლოა (სორდია, 1993:138-185).

ამ სახემ ჯერ კიდევ პოეტის პირველ, 1914 წელს გამოცემულ კრებულში განსაკუთრებულად იჩინა თავი ესთეტიკურ, სოციალურ, ეროვნულ-პოლიტიკურ ჭრილში, ხოლო 1919წ. დასტამბული წიგნი „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“ ქართული პოეზიის რენესანსულობის დასტურად იქნა მიჩნეული.

ვარდის სახით გაგვიცხადა გალაკტიონმა თავისი უმნიშვნელოვანესი სათქმელი.

შემთხვევითი როდია, რომ სწორედ გალაკტიონის პირველი წიგნისადმი მიძღვნილ წერილში „მარტობის ორდენის კავალერი“ ტიცინან ტაბიძე მიგნებულად შენიშნავდა: „ირგვლივ გაბნეულია ყვავილები, ყოველ შემთხვევაში, ეს მიახლოებითი სიმბოლოა გალაკტიონ ტაბიძის მგოსნური სახის“ (ტაბიძე, 1989:552-562).

ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
3. ტაბიძე გ., რჩეული, თბ., 1997.
4. სორდია ლ., გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, თბ., 2009.
5. ტაბიძე გ., თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 1988.
6. ნეემირებული ძილისპირნი, თბ., 1982.
7. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, თბ., 1975.
8. იოანე-იონა, „რა უნდა ვაკეთოთ“, თბ., 1994.
9. ტაბიძე გ., თხზულებანი 5 ტომად, ტ. II, თბ., 1993.
10. ტაბიძე გ., თხზულებანი 5 ტომად, ტ. III, თბ., 1993.
11. ტაბიძე გ., თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ., 1993.
12. ტაბიძე გ., თხზულებანი 12 ტომად, ტ. XI, თბ., 1993.
13. გამსახურდია ზ., „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ., 1991.
14. მოსია ტ., საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996.
15. სორდია ლ., გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა, თბ., 1993.
16. ტაბიძე გ., რჩეული, თბ., 1989.

Luara Sordia
Display of Godless Era Tragedies in Galaktion Tabidze's Poetry
Summary

Galaktion Tabidze, on the one hand, considered the destination of his poetry to serve the faith of Christianity, on the other hand, he revealed the tragic cases of the irreligious period. He exposed his ideas with the image of frozen, vanished, lost, extinct and withered flowers as symbols of faith negation, because rose is a symbol of Christ and Virgin Mary.

In his poetry verses of this nature are: "Like a Dream", "Sing Me Something", "Without Love", "Flowers of Peach Tree", "Evening", "Chapel in the Desert", "Aspen", "From Fairy Tales", "Fragment of Autumn", "Ornament", "Minstrel is Dead", "Heart", "Azure or Rose in the Sand", "Heart Feels", "Elegy", "Yellow Leaf", "The Portrait" and others.

He condemned life without faith-godlessness and he believed that people would turn to faith in God that really came true later.

Луара Сордиа
Выражение трагедии эпохи богоотрицания в поэзии Галактиона Табидзе
Резюме

Галактион Табидзе главнейшим назначением своей поэзии считал служение христианству, вере, но, с другой стороны, фиксировал трагедии эпохи богоотрицания. Он использовал различные виды умирающих цветов, как предвестников отрицания веры, т.к. роза является символом Христа и Св. Марии. Носителями такого содержания являются следующие стихотворения: „Как сон“, „Спой что-нибудь“, „Без любви“, циклы: „Цветы персика“, „Фрагмент осени“, „Орнамент“, „Сердце“, „Элегия“, „Портрет“ и др.

Раскрывая сущность безбожия, поэт верил, что люди обратятся к вере. Что и случилось.



მედია კვარაცხელია (საქართველო)

ბაბრატი შინკუბას საბავშვო პოეზია

ინგლისელი პოეტი დილან ტომასი წერდა: „მე ძალიან მიყვარს, როდესაც ვინმე თავისი ბავშვობის ამბავს მიყვება, მაგრამ მან უნდა დამასწროს, თორემ, თუ დაგასწარი, მაშინ მე მოვუყვები მას ჩემი ბავშვობის შესახებ“ (საყმაწვილო ლიტერატურის..., 1968:30). ბავშვებისთვის და ბავშვობაზე საუბარი მხოლოდ „განსაკუთრებული ნიჭით მირონცხებულ“ ადამიანს შეუძლია.

აფხაზი მწერალი - ბაგრატ შინკუბა ერთ-ერთი იმათგანი აღმოჩნდა, ვინც თავის შემოქმედებაში გაისიგრძეგანა, რომ „ახალი თაობის მსოფლმხედველობის სწორად ჩამოყალიბება და ფორმირება მისთვის შექმნილ ლიტერატურაზე დამოკიდებული“.

„საბავშვო ლიტერატურის ვალი ბავშვის მამულიშვილად აღზრდაა. მოზარდის გონებაში განუწყვეტლივ უნდა შედიოდეს და მკვიდრდებოდეს ყოველივე უკვდავი და ლამაზი, რაც მის მშობლიურ ერს არსებობის, სიამაყის და ბრძოლის უფლებას აძლევს.“

საბავშვო მწერლობამ უნდა აჩვენოს სიტბო, რომელიც დაგროვილია ენის სტიქიაში, მშობლიური მიწის ოსშივარში, ეროვნული ტრადიციების თვითმყოფადობაში“ (საყმაწვილო ლიტერატურის..., 1972:103).

ბაგრატ შინკუბას შემოქმედებიდან მშობლიური მიწის, ცის, ზღვის, ყვავილების სუნს და სურნელს ხარბად ისრუტავენ პატარები. მისი ნაწარმოებების უმრავლესობა „ნიჭიერად არის დაწერილი“ და ყველა სტრიქონიდან თითქოს დიდი ილიას შეგონება ისმის: „ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივე ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია, თუ ეს ითქმის, და არა მსხვილ და სრულ ასოებით დამთავრებული კაცი, არ უნდა გაგიკვირდეს, რომ, რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ, იმას მის პატარა სათავეშიც ვხედავთ. ბავშვი სათავეა, საწყისთა დიდი ადამიანისა“ (ჭავჭავაძე, 1926:280). ამ „დიდი ადამიანების საწყისს“ თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების გარკვეული ნაწილი დაუთმო ბაგრატ შინკუბამ.

1917 წელს დაიბადა აფხაზეთში, სოფელ ჭლოუში. როგორც თვითონ აღნიშნავს: „ჭლოუ ცნობილია არა მარტო მქუხარე ყინულოვანი მდინარეებით, მდიდარი ტყეებით, დაბურული ხეობებითა და ლამაზი გორაკებით, არამედ მის ახლოს სახელგანთქმული გამოქვაბულია, სადაც, ხალხის გადმოცემით, მიჯაჭვული ყოფილა აფხაზეთის პრომეთე, ღმერთებთან მებრძოლი გმირი - აბრსკილი.“

ბაგრატ შინკუბას მშობლებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ, მაგრამ ძალიან უყვარდათ ხალხური სიტყვიერება, რამაც დიდი ზეგავლენა იქონია მწერლის შემოქმედებაზე. „წერა ჩემთვის არავის ურჩევია. ეს სურვილი, ალბათ, სტიქიურად აღმეძრა... და ეს სურვილი ჩემში თანდათან ძლიერდებოდა. ვსინჯე, შემეთხზა ლექსები საკუთარი ხმით, მაგრამ ამ ლექსებში ჯერ კიდევ იგრძნობოდა ხალხური სიმღერების გავლენა“ (შინკუბა, 1969:6).

მწერლის პირველი ლექსი „ვაჟკაცობა“ 1935 წელს დაიბეჭდა. მაშინ ის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი იყო. „ჩემი პოეტური „მე“-ს ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული ზემოქმედება იქონია აფხაზური მწერლობის ფუძემდებლის - დიმიტრი გულიას და ნიჭიერი აფხაზი პოეტის - იუა კოდონიას პოეზიამო“, მიუთითებდა.

პირველი პოეტური კრებული გამოსცა 1938 წელს.

1939 წელს დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და, მშობლიური ენის ღრმად შესწავლის მიზნით, სწავლა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1945 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სახელთა წარმოება აფხაზურ ენაში“ და დაიწყო მუშაობა აფხაზეთის ენის ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტში, დაწერა აფხაზური ენის სახელმძღვანელო დაწვებითი სკოლებისთვის, შეადგინა აფხაზური მწერლობის ქრესტომათიები და პროგრამები.

1950 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, „აფხაზური ლექსთწყობის პრინციპები“, აფხაზური ლექსის თავისებურებანი განიხილა.

„ფილოლოგიური ძიებანი, ნაწილობრივ, თუმცა, ხელს მიშლიდნენ პოეტურ მოღვაწეობაში, მაგრამ მუხმარებოდნენ მშობლიური ენის ღრმად შესწავლაში“, წერდა მკვლევარი (აფხაზეთის მწერლობა, 1937:16). ის პირველია აფხაზურ მწერლობაში, ვინც რომანი ლექსად დაწერა. „მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, მე მიყვარს ეს ნაწარმოები, როგორც სიმღერა ხალხის შრომაზე“ (აფხაზეთის მწერლობა, 1937:7), აღნიშნავდა ის.

მ. გორკის მიმართვამ აფხაზი ახალგაზრდობისადმი: „შეუდექით ხალხური პოეზიის შესწავლას, შეკრიბეთ და ჩაწერეთ აფხაზური სიმღერები, ზღაპრები, ღეგენდები - აღწერეთ ძველი ადათ-ჩვეულებანი, გადათარგმნეთ აფხაზურიდან რუსულად და ეს იქნება სასარგებლო არა მარტო თქვენთვის, არამედ ბევრ ადამიანს გააცნობს აფხაზეთის წარსულს“ (აფხაზეთის მწერლობა, 1937:8) – ხალხური პოეზიის სიყვარული უფრო გაუძლიერა და ბ. შინკუბაც აქტიურად ჩაერთო ზეპირსიტყვიერების შესწავლასა და შეკრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამუშაომ მას დიდი დრო წაართვა, ის, როგორც პოეტი, კმაყოფილი იყო მოპოვებული საგანძურით. „მწერლის ენის გამდიდრების წყაროა დაუშრეტელი ხალხური ენა“ (აფხაზეთის მწერლობა, 1937:9). „ბედნიერების მომტანია, თუ უბედობის, - იგი ამშვენებს გვირგვინით ჩემს აღთქმულ მწვერვალს“ (ინალ-იფა, 1973:3). ამ ენის და სიტყვის ძალა დღემდე აძლიერებს ბ. შინკუბას შემოქმედებას.

აფხაზეთის მწერალთა გამგეობის თავმჯდომარე (1953წ.), აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (1958წ.), საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, საბჭოთა კავშირის, საქართველოს და აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, დიმიტრი გულიას სახელობის დიპლომის და შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი – ყველა ამ რეგალიას მისი სიტყვები აღემატება: „მუდამ ვცდილობდი, არ გადამეხვია ცხოვრების მთავარი გზიდან და, შეძლებისდაგვარად, ყოველთვის კვალდაკვალ მივსდევდი ჩემს ხალხს შრომაში. ჩემი მოვალეობაა, ვწერო სიმართლე ჩვენი საუკუნის ცხოვრებაზე, დროის სურათი გადავშალო მკითხველის წინაშე, დავეხმარო მას, უფრო ღრმად ჩასწვდეს თანამედროვეობის ჭეშმარიტებას“ (შინკუბა, 1969:10).

ისე, როგორც მისი შემოქმედება შეუზღუდავი თემატიკითა და ჟანრობრივი მრავალფეროვნებითაა გამორჩეული, განსხვავებულია მისი პიროვნული თავისებუბიც: „Ого, какой большой, большой, крепкий как гора... и седина, совсем как снег на вершине и лицо смуглое в крупных морщинах, словно высеченное из горного камня. А за ним сверкало и переливалось лазурное море. И я подумал, до чего же он похож на свою Абхазию“ (Кушак, 1989:3), - წერდა მუშნი ლასურია.

ბაგრატ შინკუბას შემოქმედებაში, დიდებისთვის დაწერილ რომანებში, მთხრობებში, პოემებსა და პიესებში ადამიანური სულის ზეიმი და ბუნების სილამაზის შეგრძნება ჩვეული ხელწერით არის ერთმანეთთან შერწყმული, მაგრამ, რო-

გორც რუსი მკვლევარი აღნიშნავს: „Баграт Васильевич любит детей, поэтому пишет специально для них стихи, сказки о детских заботах и забавах – об озорниках, непослушных мальчишках – наоборот, без которых не бывает ни одного села. ни одного двора в городе на всей земле, о лентяях, о затейниках. Это стихи очень добрые, без ворчания и скучных поучений. Живые и веселые без назиданий показывающие, что такое хорошо и что такое плохо“ (Николаевская, 1989:2).

მწერალმა, აფხაზურ ფოლკლორთან ერთად, ზედმიწევნით იცოდა ზუნების-მეტყველება, ბოტანიკა, იცნობდა ფრინველთა და, განსაკუთრებით, ცხოველთა სამყაროს. ამიტომაც მისი საბავშვო ნაწარმოებების პერსონაჟები, უმეტესწილად, ისინი არიან. მათი ცხოვრება ისე სადად, ლაღად, ლაკონურად და პატარებისთვის გასაგები, ლამაზი ენით არის აღწერილი, რომ, ნორჩებთან ერთად, დიდებიც კმაყოფილნი რჩებიან.

ბ. შინკუბას საბავშვო ნაწარმოებების დაჯგუფება შეიძლება მკითხველის ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით. მის ლექსებსა და ზღაპრებს ერთნაირი პოეტური წარმოსახვით კითხულობენ როგორც სკოლამდელი, ისე საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვები.

სკოლამდელთათვისაა დაწერილი პატარა ლექსი „ფისუნია“ („Котенок Цис“). კატის მსუნაგობას საზღვარი არა აქვს. ის იმ საწყალ წიგწივასაც არ ინდობს და კუდს აპუტავს, რომელიც ხშირად ჩამოუგალობებს ხოლმე. ავტორი მკითხველთან ერთად ოსტატურად სჯის ოხერ ფისოს და ცდილობს, ჩააგონოს, რომ სტუმარი - მშვიერი და საცოდავი ჩიტი უნდა დაიცვას. მუსრი კი ვირთხებს გაავლოს.

„Позабыв приличия, позабыв обычай,

Ну-ка брысь, брысь, брысь“ (Шинкуба, 1953: 89).

ტყის იდილია კუდფუმფულა მელიამ დაარღვია („კუდფუმფულა მელია“) ის ჩვეული ოსტატობით შემოიჭრა ჩიტების სამყაროში და შიშის ზარი დასცა მათ, მაგრამ ბუღბუღის ტკბილხმოვანებამ, მოსახლეობასთან ერთად ძაღლების გამოჩენამ, ცბიერი ცხოველი კუდამოძუებული დატოვა. მელიის თავგადასავალზე, რომელიც მსუბუქი იუმორითაა გადმოცემული, პატარები ხალისობენ და ნაწარმოების მიხედვით ასკენიან, რომ ბოროტება სიკეთეზე ვერასდროს იხეიმებს.

ზოგიერთი მეცნიერის მტკიცების მიუხედავად: „მსოფლიო ეპოსში მელია ცნობილია თავისი ცბიერებით და მოხერხებულობით. ეშმაკობით მელიას ვერცერთი ცხოველი ვერ ჯობნის“ (საყმაწვილო ლიტერატურეს..., 1968:53), „ქართული ფოლკლორული მონაცემების მიხედვით, მელიის სახე გამორჩეული და საინტერესოა“, ბ. შინკუბასთან ეს ცხოველი ყოველთვის დამარცხებულია. მეტიც, ზოგჯერ, ბუღბუღის სტვენის გაგონებაზე მოცახცახე, ყვითელ ფოთოლს ემსგავსება ხოლმე.

ცნობილია, რომ ცხოველების, ფრინველების, მცენარეების ტანდემი და, საერთოდ, ტყის ბინადართა ცხოვრება განსაკუთრებით სკოლამდელი და უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის არის საინტერესო. ტყის სამყაროში „მართლაც დიდი და საოცარი ცხოვრებაა, რომელშიც აუცილებლად უნდა შეიხედოს ბავშვის გაფართოებულმა, იდუმალი შიშით, სიყვარულით ავსილმა თვალებმა. ბავშვმა უნდა ნახოს, მთელი სილიადით იგრძნოს ტყის მთვარიანი ღამეები. ტყეების ზაფხული და ზამთარი, ტყის ბინადართა სიხარული და სევდა, მარტის პირზე აყვავებული შინდები და მუხის ტევრის გვიანი ყვავილობა. უნდა ნახოს მუხები და თელეები, შგლეები და ღათეები, ნამდვილი ნაკადულები და მთვარიანი ღამეები...“ (საყმაწვილო ლიტ..., 1968:84).

მწერლის მიერ დახატულ ამ სამყაროს, განსაკუთრებით მზის სხივები ათ-

ბობს, რომელიც ასე ძალუმად უყვარს მწერალს: „Верный спутник поэзий, его небесный друг, щедрый, ласковый, могучий. Поэтому наиболее излюбленным временем года в его поэзии стало лето – пора наивысшего расцвета, творческих сил природы, зенитного солнцестояния, пора, которая невольно напрашивается на сравнение с переломным моментом в жизни человека“ (Баирамукова, 1981:3).

მრავალფეროვან და საოცრად ჰარმონიულ ბუნებაში მიმდინარე მოვლენებს, მისი გაღვიძების, განახლების პროცესებს, მზეს და ზაფხულს ბაგრატ შინკუბას შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს. ამ საკითხს ეხმაურება სკოლამდელთათვის დაწერილი ლექსი „როდის?“, სადაც წელიწადის დროების შესახებ დასმულ ყველა კითხვას ტექსტშივე გაეცემა პასუხი.

პოეტის შემოქმედება პატარების ყურადღებას ფრინველების ნაირსახეობითაც იპყრობს. შაშივი, ბულბული, იადონი, წივწივა (Синица), ზარნაშო (Филин), წითელგულა, კოდალა და სხვა ჩიტები ბავშვების მეგობრებად, გამართობებად ან ტყის სამკაულებად არიან წარმოდგენილნი. მათ პარალელურად ყველგან ფიგურირებს ალვის ხე.

შაშივი („შაშივი“) გალობით ეგებება ალიონს და პატარა გოგონებს სამშობლოზე უმღერის. ეს ბოლო აკორდია, რომლითაც ფრინველი ზაფხულს ეთხოვება. პატარებს უჭირთ მასთან განშორება, მაგრამ ერთი იმედით სულდგმულობენ, ხშირად გაიხსენონ ალვის ხის ბინადარი შაშივი, მისმა სიმღერებმა დაატკბოს ულამაზესი მშობლიური კუთხე.

„ადამიანისთვის დედამიწა თავისი ტყეებით, მინდორ-ველებით, მთებით და მინარეებით სიმდიდრეცაა და შთაგონების წყაროც“ (გეგეჭკორი, 1985:8) ბუნება ყველაზე მშვენიერი გაზაფხულზეა. დედამიწა მწვანდება და ყვავილების ფიფქებით იპნტება ირგვლივ ყოველივე. „ამ დროს თვით უდაბნოც კი ალისფერად მოკაშკაშე ყაყაჩოებითა და ტიტა-ზამბახებით ნამდვილ საყვავილე-ორანჟერეას ემსგავსება. ცოცხლდებიან რუ-ნაკადულები. ზამთრის ხუნდებისგან თავისუფლდებიან მდინარეები. ახალ ცხოვრებას იწყებენ ცხოველები. ერთი სიტყვით, გაზაფხულთან – „წლის დილასთან“ ერთად, როგორც მას სიყვარულით უწოდებდა პუშკინი, ძალაში შედის, მკვიდრდება ახალი სიცოცხლე“ (გეგეჭკორი, 1985:9).

სწორედ ასეთ ახალ სიცოცხლეს ეხმატკბილება ბ. შინკუბა ლექსით: „ისე ტკბილად უსტვენს ჩიტი“ (თარგმ. ხ. გაგუასი):

„ისე ტკბილად უსტვენს ჩიტი, ბრმამაც იცის, ყრუმაც იცის,
ესე ნახად ჰყვავის ია, რომ ნამდვილი ზეიშია ცის და მიწის,
გაზაფხულის უჩვეულო ხალისია.
ახლა, როცა ყრუმაც იცის, ბრმამაც იცის,
მხვნელს და მთესველს, ნაზამთრალი უხმობს ველი,
ვინც ამ ზეიმს მთელი გულით არ განიცდის,
მის მკერდში ყინულია ულხობელი“ (შინკუბა, 1980:86).

მწერლისთვის გაზაფხული არა მარტო ბუნებაშია, არამედ მისი ლექსების პწკარების ათვლაც ამ პერიოდს უკავშირდება.

„გაზაფხულს ქვეყნად პირველად შევხვდი, ახლა მდებლოსკენ მივეჩქარები,
მინდა, გავავლო ენძელა გვერდით ჩემი სახნისით ლექსის პწკარები“...
(„მთებისკენ მიდის თოვლი და წვიმა“ (აფხაზეთის მწერლობა, 1941:18).

ბ. შინკუბას საბავშვო ლექსებში მზე ათბობს არა მხოლოდ ბუნებას და გარესამყაროს, არამედ თვით სათამაშოებსაც კი ჰქვია მისი სახელი.

მარჯვე და შრომისმოყვარე გოგონა („თოჯინა“) დიდი სიყვარულით უვლის ნაჩუქარ თოჯინას, რომელსაც იმიტომ, რომ ძალიან ჰგავს მზეს, „ამრას“ ეძახიან

(ამრა - აფხაზ. მზე - მკ). უმწეოს და პატარას დამოუკიდებლად საქმეების კეთება არ შეუძლია და ამიტომ დედობილი ეხმარება:

„Все по дому делать мне, свою доченку любя,
За нее и за себя“ (Шинкуба, 1963:79).

მზის შუქით არის გამთბარი კიდევ ერთი ლექსი პოეტისა – „პატარა გოგონას სახელს ურჩევენ“. აკვანზე აციაგებულნი მზის სხივი ბებია-ბაბუას გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება: „Назовем ее Амрой – будет солнышку сестрой“.

ციური სხეულისადმი ასეთი დამოკიდებულება, რომ მნათობი მუდამ ათბობდეს და ახალისებდეს აფხაზეთის მიწა-წყალს, თავისებურად აღამაზებს მწერლის შემოქმედების დიდ და საინტერესო ნაწილს.

პატარა, მაგრამ საინტერესო ლექსია სკოლამდელთათვის დაწერილი „მარწევი“. გოგონები ტყეში სიმღერ-სიმღერით აგროვებენ ყველაზე გემრიელ, სურნელოვან კენკრას და მის ფოტლებს - დედა უნდა გაახარონ. თუ „ბავშვობა სიყვარულით იწყება“, მაშინ, ამ ასაკიდანვე უნდა ისწავლონ პატარებმა მადლიერების გამოხატვა მშობლებისადმი.

უფროსებისადმი პატივისცემის, მეგობრობის, „ხორუმის“ შემსრულებლებით ხელის ჩაჭიდების სურვილია ჩადებული საცეკვაო ლექსში: „აბა ერთად!“

„Швай – сай, швай – сай, Ну-ка, место занимай
в хороводе, при народе, руку другу подовай“ ((Шинкуба, 1989:57).

იგივე თემა გრძელდება ლექსში „კიკინი და ცვაბუვი“.

ორი სხვადასხვა ხასიათის მქონე მეგობრის, მსუქანა ცვაბუვისა და სუსტი, გამხდარი კიკინის თავგადასავალი ღიმილნარევი სტრიქონებითაა გადმოცემული. ცვაბუვი - სულსწრაფი და მოუთმენელი, კიკინი - ნებისმიერი ინფორმაციიდან დაუჯერებელი ჭორის ამგორებელი. ერთს ჭამა უყვარს, მეორეს - დაღევა, ერთს ცეკვა უყვარს, მეორე - ქარის წისკვილებს ებრძვის:

„Цвабжбв стариком танцевать любил, Каким в винограднике ветер ловил“ (Шинкуба, 1989:57).

განსხვავებული ხასიათის მიუხედავად, ისინი განუყრელ მეგობრებად რჩებიან.

მშრალი დარიგება და ჭკუის მომაბეზრებელი სწავლება საშინლად არ უყვართ პატარებს. ბაგრატ შინკუბას ლექსები ერთნაირად მოძღვრავს როგორც სამაგალითო, ისე ზარმაც და ცუდლუტ ბავშვებს. მიმზიდველად უხსნის, რომ მათი უპირველესი საქმე სწავლაა, ხოლო წიგნი ცოდნის შუქია, რომელიც უბედურების დროსაც კი მზის სხივით ათბობს ყველას. ის დიასახლისია ოჯახში და არა სტუმარი:

„То не гостя к нам, а хозяйка в дом ... (Шинкуба, 1963:4)

Книга – буквы звезд, мы их все прочтем

Между прошлым мост и грядущим днем...

Книга – знаний свет, когда света нет,

Книга – Солнца свет, среди зла и бед“ (Шинкуба, 1963:4).

მწერალი თითქოს ეხმაურება ფრანგი მწერლის, პრუსტის სიტყვებს: „მგონი, არ ყოფილა ბავშვობაში იმაზე საუსე დრო, როცა ვერ ვგებულობდით დროის მსვლელობას - ეს იყო საყვარელ წიგნთან გატარებული დღეები“ (საყმაწვილო ლიტ..., 1975:69).

პასუხისმგებლობის მქონე, მოწესრიგებული ბავშვის სახე გვიცინის ლექსიდან „მერცხლის ჭიკჭიკი“, ხოლო ლექსი „ვისი ბრალია?“ გვიჩვენებს ზარმაც, ცუდლუტ, თამაშს გადაყოლილ, ონავარ და თავნება მოზარდს, რომელიც საკუთარ

ინტერესებს და სურვილებს თავს ახვევს მეგობრებს, მაგრამ მისთვის არავის სცხელა. გამწარებული და გაბრაზებული, ჯავრს ბურთზე იყრის და გამეტებით ურტყამს ფეხს. ირგვლივ მყოფთ მწერლის სიტყვები ამშვიდებს:

„Ну и пусть пока позлится,
Поскучает во дворе,
Ведь сначала сговориться,
Надо вместе об игре“ (Шинкуба, 1963:75).

დედის დავალებით წყაროზე წასული ომარი („ქუდი“) ცდუნებას ვერ უძლებს და მწიფე ქლიავით დახუნძლულ ხეზე, მზისგან დამცავი ქუდით გაიხლართება. საინტერესოა და სიტუაციას მორგებული დედის სიტყვებით გადმოცემული მწერლის შეგონება:

„Сын мой милый, нет воды под этой сливой
И на сливе никогда не росла еще вода,
И к нему же, бестолковый, есть для сливы мест садовый
Шапка лишь для головы, если есть она – увы!“ (Шинкуба, 1963:78).

„საბავშვო მწერალს უნდა ჰქონდეს მოზარდთა ცხოვრების, სულიერი სამყაროს ღრმა ცოდნა, ხასიათზე, ქცევაზე დაკვირვების უნარი“ – თითქოს ამ ციტატას ეხმაურება ბ. შინკუბას ლექსი „ყეყეჩი“, სადაც მწერალი პატარებთან ერთად თვალს ადევნებს ყეყეჩი ბიჭუნას თავგადასავალს და ყმაწვილებსვე უტოვებს საკითხს განსასჯელად. ტექსტში მკითხველის თანამონაწილეობა, ჩვენი აზრით, ნაწარმოებისთვის მოგებიანია.

არათუ მეზობლებსა და მეგობრებს, დედასაც კი არ ახსოვს ამ ბავშვის ნამდვილი სახელი. მწერალი დახმარებას სთხოვს ყეყეჩის თანატოლებს, როგორც დაუბრუნონ ამ უყურადღებო ყმაწვილს დაკარგული სახელი და დასაჯონ იმ უპასუხიმიგებლობისთვის, რომელსაც არამარტო ადამიანებთან ურთიერთობისას იჩენს:

„Взял рубашку – и зевает, наизнанку надевает
с опозданием каждый раз в класс приходит лоботряс“ (Шинкуба, 1963:81).
საქმის კეთებისას მოხუცივით მკვნესარე:

„Но когда обед готов, лоботряс всегда готов“ (Шинкуба, 1963:81).
სახელდაკარგული ბავშვის ბედს პოეტი მის მეგობრებს მიანდობს:

„Ты читаешь этой книжки, написать мне не забудь:
Как помочь тому мальчишке имя доброе вернуть?“ (Шинкуба, 1963:82).

ლექსში „დროზე მიხვდა“ ხასიათგამოცვლილი ბავშვის სახე გვიჩვენა მწერალმა. გაჩი უფროსების ნათქვამს, როგორც იტყვიან, „ერთი ყურიდან მეორეში უშვებს“, ყველა საქმეს და თხოვნას უკუღმა ასრულებს. არც დედის სიტყვებია მისთვის მნიშვნელოვანი, გაკვეთილების მომზადება კი საერთოდ ზედმეტ ტვირთად მიაჩნია, მაგრამ გადის წლები და ბავშვის დამოკიდებულება ირგვლივ მყოფებისა და გარესამყაროსადმი იცვლება – ყველას უსმენს და უჯერებს. ცხენზე ჯიგითვით ამხედრებული დაჯირითობს, მისი საქციელით მშობლებიც და მეგობრებიც კმაყოფილნი არიან:

„Видно, понял он однажды, что совсем не так живет
А уж кто метит вперед, оседлав коня отважно –
Тот назад не повернет“ (Шинкуба, 1963:87).

ზედმეტი თავდაჯერებულობა, ზოგჯერ იმ შედეგით შეიძლება დამთავრდეს, როგორც უმცროსკლასელთათვის დაწერილი ლექსში „რა შუაშია ნაჯახი?“ იარაღი, როგორც მჭრელიც არ უნდა იყოს, თუ ადამიანმა მისი გამოყენება არ იცის, იმ პატარა ბიჭუნას ბედს გაიზიარებს, რომელიც იკვებხის, ერთი დაკვრით შეშა მზად

მექნებაო, და რამდენიმე წუთში მიწაზე გორავს, ნაჯახი კი ხან გორაკებს და ხანაც მთებს იქით მიფრიალებს.

„Видно, мало, чтоб топор был и крепок и остер

Есть такое мнение, что нужно и умение!“ (Шинкуба, 1963:7).

„საბავშვო ლიტერატურის შესწავლა არასდროს იქნება სრულქმნილი, თუ არ არის ამოცნობილი საბავშვო ფოლკლორი: მის მიმზიდველ ფორმას შეუძლია ბევრი რამ მისცეს ლიტერატურას“, – წერდა ფოლკლორისტი, საბავშვო ზეპირსიტყვიერების მკვლევარი, პროფესორი ქსენია სიხარულიძე.

ხალხური სიტყვიერება აფხაზური ლიტერატურის განვითარების საფუძველია. ეს საკითხი საინტერესოდ და ოსტატურად არის წარმოჩენილი ბ. შინკუბას შემოქმედებაში. ავტორს შესწევს უნარი, „ფოლკლორული მასალა ჭეშმარიტად მხატვრული სრულყოფის დონეზე აიყვანოს, როდესაც პოეტი ფოლკლორული ესთეტიკით არ იფარგლება, შეუძლია დიდ განზოგადებას მიაღწიოს“ (კიკნაძე, 2008:143).

აფხაზი ხალხის ეროვნული ტრადიცია მისთვის ჩვეული ოსტატობით ასახა მწერალმა ლექსში „მოჰაჯირული ნანა“. ის სააკუნო სიმღერათა რიგს განეკუთნება და ფოლკლორიდან იღებს სათავეს. ხალხურმა „ნანამ“, რომელიც უფაქიზესი მელოდიურობით გამოირჩევა, „ბევრს აუტკერა გული, ბევრს აუნთო შემოქმედებითი ცეცხლი, ბევრი დაუბრუნა ტანჯულ მამულს“. ბ. შინკუბა ლექსის მთავარ გმირს აკვანშივე მოძღვრავს, რომ მშობლიურ კერას მოშორებულ, სხვა ქვეყანაში უცხო ცის ქვეშ დამკვიდრებულ მოჰაჯირებს პატარაობიდანვე უნდა ახსოვდეთ თავიანთი სადაურობა:

„მოიგონე, როგორც დედა, მშობლიური შენი მხარე...

გაიზრდები და მხარულით, ვიცი, შავ ზღვას გადასერავ.

მიმქრალი და მიმალული, გააჩადე შენი კერა...

ხალხს აცილვე გასაჭირი, ხალხს დაუდექ სათავეში,

სამშობლოსთვის გმირთა გმირი საბრძოლველად გადაეშვი!“

ბ. შინკუბა მოჰაჯირებთან ერთად პატარა მკითხველს იმ ძლიერ და გაუნელეზებელ ტკივილს განაცდევინებს, რაც სამშობლოდან ძალით მოწყვეტილი ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი. ლექსში ჩანს მწუხარე ფიქრები და დარდი დაუცველი ხალხისა, ჩანს შეურაცხყოფილთა სწრაფვა სამშობლოსთან მიხმატკბილებისა და ეროვნული სულის შენარჩუნებისა, მაგრამ, ქართული „ნანას“ გმირის მსგავსად, „მოჰაჯირული ნანას“ გმირსაც ჯერჯერობით სძინავს:

„დაიძინე, უნანი, მოწყვეტილ მშობელ კერს,

მინდობილო ბედისწერას, შიში ნანი, შიში ნანი“ (შინკუბა, 1980:350).

ჩვენს ზეპირსიტყვიერებას უამრავი „ნანა“, „იანანა“ და „ნანინა“ აქვს შემონახული, რომლებშიც ქართველი დედების უდრეკი სულის გამოძახილია შენარჩუნებული. „მოჰაჯირული ნანაც“ ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ შემოქმედებითად უდგება პოეტი მშობლიურ ფოლკლორს და როგორ ალამაზებს მხატვრულად სახეცვლილი ნიმუშებით აფხაზურ მწერლობას.

ხალხურობით და ბუნებრივობით გამორჩეული ნაწარმოებები, პერსონაჟები ზღაპრებიდან, ლეგენდებიდან, თქმულებებიდან პირდაპირ გადმოსული გმირები სამუდამოდ გვამახსოვრდება.

ბალადაში „მალხაზი და ალი“ ცნობილი ზღაპრული პერსონაჟი კიდევ ერთხელ შემოიჭრება პატარების გულში და ააფორიაქებს და დაამძიმებს მათ სულს.

დამწუხრებული ბუნება და შავად ჩამობნელებული ჭალა „რალაც ისეთს“ გვპირდება (პეიზაჟი საბავშვო ნაწარმოებებისთვის დამახასიათებელი ოსტატობით არის აღწერილი), „მოჰხვევია წყლის პირს ნისლეები და ბინდი“ და ამ დროს მალ-

ნაზი დიდი ტომით წისქვილისკენ ფრთხილად მიდის, რადგან ძალიან ეშინია: „თვალს არიდებს ჯმუხად ჩამობერილ მუხებს, ნათქვამია, შიშით ძალი მთვარეს უყეფს“ (შინკუბა, 1980:135), ფულურო და ფუყე ხეები ქაჯები ჰგონია. არაჩვეულებრივად არის დახატული წყლიდან მოულოდნელად ამოჭრილი ალის სახე. ტყის მზაკვარი ქალი ვარსკვლავით თვალებით, მხრებზე დაფენილი ვერცხლისფერი ნაწნავებით (ფოლკლორში და ლიტერატურაში ალი ცეცხლისფერი თმებით გვხვდება ხოლმე. აფხაზური ენის არცოდნის გამო, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ ნაწარმოების ორიგინალში გაცნობას. ვერც იმას, ვის ეკუთვნის ალის თმის სივერცხლისფრე – მწერლის თუ მთარგმნელის ფანტაზიას) ფეხდაფეხ მისდევს დაფეთებულ ბიჭუნას. შეშინებულს და წისქვილში შესულს, წინ კიდევ ერთი გამოცდა ელის, თავშალი, რომელიც კედელზე დარჩენია დედას, სიბნელეში ალი ჰგონია და იატაკზე გაიშხლართება. დიდხანს ვერ მოდის გონს. დიმილნარევი სტრიქონები კი პატარა მკითხველს აუწყებს:

„დოლაბი კი ბრუნავს, ბრუნავს, სიმინდს როშავს,

შავ კედელზე დედის თეთრი შალი მოჩანს“ (შინკუბა, 1980:138).

ტყის აღქაჯთან შეხვედრით გამოწვეული შიშის სცენას მწერალი ერთგვარი დიდაქტიკისთვის იყენებს:

„ეი, ბიჭო მალხაზ, უქნარავ და ზანტო, დედაშენი შრომობს, შენ კი ყალთაბანდობ,

ერიდები შრომას, გიყვარს მუქთა პური, მოიხედე აქეთ, მე დამიგდე ყური,

კაცს ვერაფერს უზამს, ტყის ქაჯი და ალი, თუ დედისწინ თვისი მოიხადა ვალი,

ვინც თესავს და იმკის, რომ ირჩინოს თავი, ის ვაჟკაციც არის, არის გამბედავი“ (შინკუბა, 1980:138).

თითქოს, ერთი ამოსუნთქვით და სიამოვნებით იკითხება პატარა ლექსი „დიდი ოჯახის ზეიმი“. ტრადიციული საკრავის, აფხიარცას სიმების ფონზე, ბაღში, აკაციის ჩრდილქვეშ გაშლილ სუფრასთან მსხდომ შთამომავლებს, 120 წლის ბაბუა „ოი, რაიდა, რაიდას“ ხმაზე არწმუნებს, რომ აფხაზებს ოდითგანვე მოსდგამთ დიდი ხნის სიცოცხლისა და სიმღერის ნიჭი.

ბაგრატ შინკუბა ლექსებით: „კოლმეურნეობის ბაღი“ და „შემოდგომის ბაღი“ თითქოს ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციებს აგრძელებს. აკი თვითონაც ამბობს: „თბილისში სწავლისას მე დიდი დრო მოვანდომე მოძმე, მრავალსაუკუნოვანი მწერლობის შესწავლასო“ (შინკუბა, 1970:10)

სუბტროპიკული ზონისთვის დამახასიათებელ ხეხილს (ფორთოხალი, ყურძენი, ბროწეული...) გვიხატავს მწერალი, სამხრეთისკენ მიმფრენი ფრთებგაშლილი წეროების ფონზე:

„ქარვისფერი ფორთოხლები სიოს ფრთებზე ქანაობენ

და გაშლები ნაზი რხევით მზის სხივებში ბანაობენ...

მწიფე მტევნის სურნელს გესვრის აკაჭიჭი, ახარდინი,

რა კარგია ბაღში, როცა დაისის მზე სხივებს გაშლის,

მოელვარე, წითელლოყა შემოგცინებს ხიდან ვაშლი.

შენც მებაღვე, სხივთა ალით, გელის ბაღი და დახანძრული

შეინახე მოსავალი, შეხვდი ზამთარს მარისელი“ (შინკუბა, 1970:50).

ულამაზესია შემოდგომა ლექსში „კოლმეურნეობის ბაღში“ – გაყვითლებულ ფოთლებს სიო ნაზად აშრიალებს. კავკასიონს ღრუბლები ქულა-ქულა ეხვევა. თბილი ქვეყნებისკენ მიმავალი წეროების გუნდი ცას შერთვია – თითქოს, ხეებზე დამწიფებული ყურძენი მწიდნავს ელოდება, ხილი – დამბინავებელს.

„მიწა - შავი, როგორც ჭვარტლი, გვართობს, გვალხენს თავის მადლით,

შორს იფრქვევა სურნელება ყურძნების და მწიფე ვაშლის და მზე მკრთალად ეთბუნება ნარინჯების ბუჩქებს გაშლილს, მწიფე მტევნის ელვარებას ბროწეულიც ედავება, რა კარგია აქ საღამოს, როცა დაჰქრის ნიავექარი, სურ ნელება ჰაერს ათრობს და ყვავილი თრთის ნარნარი“ (შინკუბა, 1970:88-89).

არ ვიცით, რამდენად აქტუალურია დღეს კოლმეურნესა და კოლმეურნეობის ბაღზე საუბარი, მაგრამ ერთი კი უდავოა - ლექსი ისე ლამაზად და მკითხველისთვის საინტერესოდ არის დაწერილი, რომ თითქოს, ბწკარებს შორის თეიმურაზ მეორის „ხილთა ქებიდან“ გადმოსული ბაღჩა-ბაღის სურნელი იგრძნობა.

„მე ძალიან მიყვარს, როდესაც ვინმე თავისი ბავშვობის ამბავს მიყვება, მაგრამ მან უნდა დამასწროს, თორემ, თუ დავასწარი, მაშინ მე მოვუყვები მას ჩემი ბავშვობის შესახებ.“ (საყმაწვილო ლიტერატურის..., 1972:230), – გავიმეორებთ ზემოთქმულს, მწერლის მრწამსს რომ უზუსტესად ირეკლავს.

ბავშვობასა და სიყმაწვილესთან „განშორების ტკივილზე საუბრობს ბაგრატი შინკუბა ლექსში „კუმარჩა“.

სუფთა, პაწაწინა და ვერცხლისფერი, ფაფარივით აქონრილი კუმარჩა მთიდან მოედინება და ჭადარაშერეულ პოეტს ყმაწვილობისდროინდელ ამბებს უყვება: „ბიჭი ტიტლიკანა, სულ არ გრძნობდი სირცხვილს, აშენებდი თანაც სათამაშო წისქვილს

შუადღისას ცურვით, ამ ადგილას სწორედ, ისრულეები სურვილს - გადაჭრიდი მორევს...“ (შინკუბა, 1970:15).

წყალი დავიწყებას უსაყვედურებს მწერალს, მაგრამ უკანასკნელი, მდინარესთან ერთად, მკითხველსაც ამშვიდებს:

„მართალია, გამითეთრდა თმები, შენი ქაფის დარად, ხშირად ვეღარ გხვდები,

მაგრამ სიყვარული შენი მუდამ დამაქვს გულით:

სადაც უნდა ვიყო, სადაც უნდა მნახონ, მწუხნუხებ თითქოს, იმყოფები ახლოს...

იცო, ასე არი, ბევრჯერ მითქვამს შენთვის, რომ პატარა წყალი დიდ მდინარეს ერთვის,

მასაც ძალას მატებს, ნაკადული ერთვის, თურმე შენაკადებს“ (შინკუბა, 1970:15-16).

წყალზე, როგორც სიცოცხლის მამოძრავებელ ძალაზე და მისი არსებობის აუცილებლობაზეა საუბარი ლექსებში – „წყარო“ და „ანდერძი“.

მხიარული, სუფთა და ანკარა წყარო, რომელიც ერთ დროს კენჭებს შორის ლაღად მოხტოდა და მოიმდგროდა, არავინ იცის, სად დაიკარგა. მის კეთილდღეობაზე ირგვლივ მცენარეები და ახლომახლო მოსახლეობა ზრუნავდა, მაგრამ, დროთა განმავლობაში, იქაურობა ხალხისგან დაიცალა, ქარიშხალმა ხეები მოთხარა. შეწყდა ბუღბუღის საამური გალობა, ნაკადულის სათავე ბუჩქებით დაიფარა და, დარჩა მწყურვალე მოწყურებული, მაგრამ კეთილშობილმა ადამიანმა, რომელიც განთიადს ტყეში შეხვდა, ისევ გამოაცოცხლა იქაურობა. საოცარ სიწმინეში მოულოდნელად შემოჭრილი ნაკადულის ხმას მისდია, ვარსკვლავების შექვე ნაჯახით კაფა ხშირი ბუჩქები და, როცა სიბნელეში ბავშვის თვალებივით გაბრწყინებულმა წყალმა გამოანათა, კმაყოფილი და ბედნიერი მიესიყვარულა აურიაშულეებულ გარემოს.

თუ სწორი გზით ივლი, წყაროსთან მისულს აუცილებლად დაგხვდება ხელადა, რადგან:

„ამ წუთისოფლად უღეველი მხოლოდ წყალია, მაგრამ მწყურვალნი, შვილ-
ნო ჩემო, მრავალ არიან,

წყაროს და ბინულს გაუფრთხილდით, ეს გქონდეთ წესად,

დაე, მწყურვალმა გზად წყალი შესვას („ანდერძი“).

მწერლის აზრით, დოლაბებს მთავარი მამოძრაველი ძალა, წყალი, არ უნდა
მოაკლდეს, თორემ... მისი გაჩერება კერიაზე ცეცხლის ჩაქრობისა და ჭერქვეშ მერ-
ცხლების ჭიკჭიკის შეწყვეტის ტოლფასი იქნება!

„დაე, ტალყები ეცემოდეს წისქვილის ბორბალს,

ფლავდნენ და ფლავდნენ დოლაბები ოქროსფერ ხორბალს...

ოლონდ გახსოვდეთ, რაც მთავარია, წყალი და ცეცხლი მტრები არიან“
(შინკუბა, 1970:83), რადგანაც „ცეცხლის უკანასკნელი ქმედება სამყაროს აღსასრუ-
ლისას წარმოინდება“ და „ცეცხლით გამოიცდება ყოველი“ (კუცია, 2006:34); წყალი
კი - სიცოცხლის მამოძრავებელი ძალაა. მათ გარეშე ყოფიერების წარმოდგენა შე-
უძლებელია. ჩვენი აზრით, უფროსკლასელთათვის განკუთვნილი ლექსი „ანდერძი“
ამ შეხედულების დასტურია.

გამორჩეულია ბ. შინკუბას პოეზია თემებით, პერსონაჟებით და, შეიძლება
ითქვას, ფერებითაც. დიდია მისი დამსახურება საბავშვო მწერლობის წინაშე. ბევ-
რი ლექსი აქვს დაწერილი როგორც სკოლამდელი, ისე - უფროსი სასკოლო ასა-
კის ბავშვებისთვის. ის საინტერესო მასალაა, რომელიც აფხაზურიდან არ არის
თარგმნილი ქართულ ენაზე, სასურველია, ხელმისაწვდომი გახდეს ფართო მკით-
ხველი საზოგადოებისთვის, რათა წარმოჩნდეს ბავრატ შინკუბას როლი და ღვაწ-
ლი საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში.

ლიტერატურა:

1. შინკუბა ბ., ბუღბუღი და მელა, თბ., 1970.
2. შინკუბა ბ., ერთტომეული, თბ., 1969.
3. შინკუბა ბ., რჩეული, თბ., 1980.
4. Шинкуба Б., Стихотворения, Москва, 1953.
5. Шинкуба Б., Медвежья пляска (сказки), Москва, 1963.
6. Шинкуба Б., Праздник большой семьи, Москва, 1987.
7. Шинкуба Б., Праздник большой семьи, Москва, 1963.
8. Шинкуба Б., Сказка о капризном козленке, Москва, 1989.
9. აბაშიძე ბ., ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1991.
10. Абашидзе Гр., Гамсахурдия К., Слово о друге, Газ., «Заря Востока», от 2 мая, 1967.
11. ანთელავა გ., გაზეთი „ოქროს საწმისი“, №3, IV, 1990.
12. აფხაზეთის მწერლობა, ტფილისი, 1937.
13. აფხაზეთის მწერლობა, სოხუმი, 1941.
14. Баирамукова Н., Баграт Шинкуба, Москва, 1981;
15. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., წერეთელი ნ., სოციალისტური რეალიზმის
თეორიული ისტორია, წიგნი I, თბ., 2010.
16. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №7, 1968.
17. გეგეჭკორი ა., დედაბუნება, თბ., 1985.
18. ინალ-იფა, აფხაზური მწერლობა გუშინ და დღეს, თბ., 1973.
19. კიკნაძე ზ., ქართული ფოლკლორი, თბ., 2008.
20. კუცია ნ., ქართული რომანის პარადიგმები, თბ., 2009.
21. კუცია ნ., საკითხავი წიგნი ქართულ ლიტერატურაში, წიგნი I, 2006.
22. Кушак Ю., Б. Шинкуба, Москва, 1989.

23. Ласурия М., Мои земляки, газ. «Советская Абхазия, от 18 октября, 1967.
24. Махова К., Жизнь народа – главная тема, алманах ЭЛитературная Абхазия», №3, 1958.
25. მზისკენ მზირალი ოდა (აფხაზ მწერალთა რჩეული მოთხრობები), თბ., 1987.
26. მრეკლიშვილი მ., „შენ გიგალობ, პატარავ...“, თბ., 1973.
27. Николаевская Е., О народном поэте Абхазии, Баграте Шинкуба, Москва, 1989.
28. მესხია ც., მირიან მირნელი და აფხაზეთი, თბ., 2010.
29. მოსია ტ., დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობის სამყაროში? თბ., 2010.
30. საყმაწვილო ლიტერატურის მოამბე, წიგნი VIII, 1972.
31. საყმაწვილო ლიტერატურის მოამბე, წიგნი IX, 1975.
32. საყმაწვილო ლიტერატურის მოამბე, 1968.
33. ფოლკლორის თეორია და ისტორია, ტ.VIII, თბ., 1975.
34. ქურდოვანიძე თ., ქართული ფოლკლორი, თბ., 2001.
35. შატბერაშვილი გ., წერილები, ტ. IV, თბ., 1975.
36. ჩოლოყაშვილი თ., ზღაპარი და სინამდვილე, თბ., 2009.
ინოვაციური პროგრამა GECAP (Georgian Educational and Career Assistance Program) – საქართველოს განათლებისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა – მოიცავს მოსწავლე-ახალგაზრდების ჩართულობას 20 დღიან ინტენსიური განათლების გამოცდილების ტურში ამერიკის შეერთებულ შტატებში. პროგრამა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლე-ახალგაზრდებს შეიმეცნონ ლიდერობა, დემოკრატიული პრინციპები და უმაღლესი განათლების გაგრძელების შესაძლებლობები. GECAP-ის ორი წარმატებული საპილოტე პროექტის შედეგად გამოვლინდა პერსპექტივა დავეხმაროთ საქართველოში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს გახდნენ თვითმოტივირებული და პროდუქტიულები.

GECAP პროგრამა ეყრდნობა ტრანსფორმაციული სწავლის კონცეფციას, რომე-

230

ლიც ჩამოაყალიბა მერიზოვმა. ტრანსფორმაციული სწავლა მოიცავს განათლების გამოცდილებაში მონაწილეობას, რაც იმდენად ეფექტურია, რომ მრავალმნიშვნელოვნად ცვლის ადამიანის ცხოვრებას. ამის მისაღწევად საჭიროა მიზნობრივი გამოცდილება, რომელიც შერწყმული იქნება თვითგამოხატულებით ნაკარნახევ აქტივობებთან გამოცდილების მიღების პროცესში და დამთავრების შემდეგ. თვითგამოხატულების გამოყენებით ხდება აზროვნებაში ცვლილებების იდენტიფიცირება, გამყარება, ინტეგრირება და ზემოქმედება. „ტრანსფორმაციული“ სწავლა უმეტესწილად ხდება საკლასო ოთახში გამონაკლისი მასწავლებლის ფასილიტაციის შედეგად და ვრცლად ისწავლება. თუმცა, არსებობს პატარა კვლევა, რომელიც უჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მოკლევადიანი მგზავრობის გამოცდილება გაგვიძღვეს ტრანსფორმაციულ სწავლამდე. არსებობს კვლევები, რომლებიც ხაზს უსვამენ მის ღირებულებებს. ჩვენმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ მოკლე ვადიანი (სამი კვირა) განათლების მიღებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეძლო მოსწავლე-ახალგაზრდების პირადი და პროფესიული წარმატებულობის მოტივაციის მნიშვნელოვნად გაზრდა.

Томас Гардвелл, Рита Прокопенко
Программа планирования образования и карьеры Грузии
Резюме

Программа планирования образования и карьеры Грузии включает в себя участие молодежи в двадцатидневное интенсивное образовательное турне в США. Программа дает возможность молодым людям изучить лидерство, демократические принципы и возможность продолжения учебы в Высших учебных заведениях. В результате успешных пилотных проектов выявилась перспектива помочь беженцам, живущим в Грузии, стать мотивированными и продуктивными.

Программа опирается на концепцию трансформационного учения. Это учение подразумевает участие в образовательных процессах, что является эффективным и основательно меняет жизнь человека.

Образовательный опыт докторов Т. Гардвелла и Р. Прокопенко в области образования в США показал всесторонний рост личной и профессиональной мотивации молодежи.



Nana Khazalia
(Georgia)

COMMUNICATIVE COMPETENCE IN THE LIGHT OF THE METHODS OF EDUCATIONAL PSYCHOLOGY

In the philosophical understanding of communication, or interaction, it is the need of man in a man. This problem is both general and private issue that is investigated depending on the perspective of the question. Here we will try to illuminate some of the pedagogical methods of communication through the prism of educational psychology.

Historical patterns of socio-economic development have caused a transition to a new educational paradigm, hallmark of which is primarily student-oriented approach to learner. As is known, in an authoritarian pedagogy, the principle of leveling is personal quality of a student. He is not an object of teaching, but is the subject of pedagogical communication. Famous Serbian educator and psychologist I. Ivich, suggested in his book "Active School" (1999) ingenious formula: "the child minus personality is equal of a student".

The logic of historical development of society poses new demands: for the advancement of society as a whole and the realization of personal potential of every individual is not smart enough to learn. For the realization of the individual in society the time proposes a new model: the professional (ability to learn), plus the ability to the shortest and the best way to find answers to the tasks; correctly, but convincing evidence of his innocence, be prepared to hear the opponent and the logic of his arguments. Consequently, it is time to reconsider a look at the role and place of the student, the student in the educational-training process.

In this regard, we would like to highlight some aspects of educational psychology. Educational Psychology does not only explore the psychological mechanisms and regularities of the processes taking place in education, but also seeks to integrate them into a modern educational practice.

Educational Psychology – a science, subject field of which is education. The main purpose of education in modern conditions is education of the individual capable to be self-educated and self-developed, free and competent defined in society, culture, profession. Contemporary Educational Psychology is based on the principle of continuity of subject and object. Due to the complexity of the educational process there is a tendency to emphasize the diversity of the subject of Educational Psychology, which lies on the tools and patterns of development of social and cultural experience of the person (child) in the process of changing its intellectual and personal development as a subject of training activities organized and managed by teacher.

In psychology, including teaching, so far developed two methodological approaches to the study of man: the Sciences and the Humanitarian.

Natural science approach seeks to build a true picture of what is happening, knowing the objective, the general laws of nature. Psychologist takes stand aloof researcher, not affecting what is happening to the object being studied. Exclude the influence of their own attitudes to what is happening, the values that recognizes the researcher. Different typologies, classifications are the result of the use of mathematical methods for processing the results.

Humanitarian approach focuses on the most essential manifestations of human nature: the value, meaning, freedom and responsibility. For this approach, the most important is not so much understanding of the psychological patterns and facts as man's relation to these facts,

meaning that it attaches to. In human cognition the emphasis shifts to identifying common patterns in the search for an individual. In addition, a humanitarian approach acknowledges the complexity, inconsistency and variability of human existence.

Empirical evidence of educational psychology is analyzed on the basis of the following key strategies.

Observing Strategy, which provides data collection, within the context of the given task, accumulation of empirical data in order to continue the description of the regularities observed process or phenomenon.

Strategy science of ascertaining the experiment, which reveals a phenomenon or process under controlled conditions to measure its quantitative characteristics and a qualitative description.

Strategy of forming specific process with the desired properties involves active collaboration of a psychologist with another person. The emergence of this strategy due to the fact that modern Educational Psychology that is the science, which is not about personal well-established human consciousness, but the consciousness of becoming, evolving, growing spiritually conscious person who commits an effort and work on its development. There are particularly important skills of psychologists and teachers to implement this strategy to interpret, understand, reflect on, “problematize”, and engage in dialogue with another person.

Among the main methods of Educational Psychology it should be specified the following:

- * observation
- * experiment
- * survey method
- * method of studying the products of activity
- * sociometry
- * biographical method
- * methods of psychological assistance and support
- * methods of active social learning.

Let us concentrate on some of the methods listed here.

Observation is understood as a purposeful, organized and specially fixed item of the object. Application of this method allows you to identify the psychological characteristics of the child/student, teacher or parent in their natural environment. The student can watch during the classes or games while interacting with peers. The observer should be based on objectively observable parameters of behavior and not interpret them as errors of observation for the most part are connected with the personality of the observer (the halo effect, the error of a false agreement, etc.). Kind of observation is introspection.

Experiment - is method of gathering the facts in a controlled and managed environment which fosters the active manifestation of the studied psychic phenomena. We should distinguish natural and laboratory experiment. Natural experiment is conducted in a familiar subject of activity (in the classroom, in the game). Laboratory experiment is conducted in specially created environments. Note that this type of experiment is carried out very often, because there is a problem transfer obtained in the laboratory data in real teaching practice. The experiment may be ascertaining and forming. Special form of the experiment is to examine by means of the tests.

Tests are standardized tasks designed to measure a comparable magnitude of individual-psychological characteristics of personality, as well as knowledge and skills. In teaching practice for the first time tests were used in 1864 in the UK to test students' knowledge. In the

broad scientific and pedagogical sciences the term "test" was introduced by American psychologist J. M. Cattell (1890), who created a series of tests aimed at determining the level of intellectual development.

The quality of any test is determined by its reliability (stability of test results), validity (compliance test diagnostic purposes), the differentiating power of the job (ability to divide the test subjects by the expression of the studied characteristics).

The method of the survey provides information on the process of direct (conversation, interviews) or indirect (questionnaires, survey) communication. To clarify literate of the questionnaires and interviews it is important to make issues so that they should be understood by the students. It is essential that while preparing questionnaires we should not use confusing scientific terms.

The method of activity of the products can gather the facts, based on analysis of materialized products of mental activity. A researcher that uses this method does not deal with the man himself, and the material products of its activities: academic, creative, etc.

Requirements for the method: 1) analyzing the products of the activity, should establish whether they are the result of a typical characteristic of human activity or created by accident, and 2) you need to know in what conditions the activity proceeded, and 3) to analyze not isolated, and many of the products.

Sociometry is a method of studying the peculiarities of interpersonal relations in small groups. The basic measurement technique is the issue, responding to which each member shows his attitude towards others. The results are recorded on sociogram - schedule on which the arrows indicate the election (rejection) of members of the group or in a table that counts the number of elections received by each member of the group. Positive status characterizes the leadership position as a member of. Negative - disorganize trends in the behavior of the individual. Used group and individual forms sociometry, as well as modifications in the form of games, picturesque tests, etc.

Biographical method is collecting and analyzing data about the life of the individual. Study of life style and personality script can be used to identify the features of formation of the student lifestyle. This method has an important therapeutic and remedial burden both in terms of the individual and group counseling.

In addition to support the planning and processing the results of the experiment, in test surveys, questionnaires and interviews there are used mathematical methods.

Naturally, we stopped here only on one aspect of educational psychology. In general, the tasks of modern educational psychology are determined by the humanitarian ideals of science, aimed at producing an independent human being in the process of unique spiritual education in training and education.

Literature:

1. Василюк Ф.Е., От психологической практики к психотехнической теории//Московский психотерапевтический журнал, I, М.,1992.
2. Джеймс М., Джонгвард Д., Рожденные выигрывать, М., 1993.
3. Ивич И., Активная школа, Белград, 1999.
4. Педагогическая психология. Учеб. для студ. высш учеб заведений/Под ред. Н.В. Ключевой. М., 2003.
5. Романова Е.С., Потемкина О.Ф., Проективные методы в психологической диагностике, М., 1991.
6. Шванцара И., Диагностика психического развития. Прага, 1998.

ნანა ხაზალია
*კომუნიკატიური კომპეტენცია პედაგოგიური
ფსიქოლოგიის მეთოდთა ჭრილში*
რეზიუმე

სტატია აღწერს უცხო ენების სწავლების მეთოდის მიმართებას პედაგოგიურ ფსიქოლოგიასთან. თუ მეთოდის იკვლევს და განსაზღვრავს ამა თუ იმ საგნის სწავლების მიზნებს, ამოცანებსა და შინაარსს, ფსიქოლოგია იკვლევს ამ პროცესთან დაკავშირებულ ფსიქიკურ მოვლენებს, სწავლის, როგორც ადამიანის ქცევის ერთ-ერთ ფორმას.

უცხოური ენის სწავლების მეთოდისა და ფსიქოლოგიის მიმართება ორმხრივია და, როცა ფსიქოლოგი სწავლობს უცხოური ენის სწავლებასთან დაკავშირებულ ფსიქიკურ მოვლენებს, ის აუცილებლად უნდა იცნობდეს და ითვალისწინებდეს სასწავლო-მეთოდურ კანონზომიერებებს.

Нана Хазалия
*Коммуникативная компетенция в свете методов
педагогической психологии*
Резюме

В данной статье рассматриваются тенденции, подчеркивающие многоплановость предмета педагогической психологии, которая заключается в том, что с помощью фактов, механизмов и закономерностей освоения социокультурного опыта человека (ребенка) идет процесс изменения его интеллектуального и личностного развития как субъекта учебной деятельности, организуемой и управляемой педагогом.



მინედა ჭანტურია, ანტონინა მსხილაძე, დარეჯან გულბანი
(საქართველო)

**წყალბადის მაჩვენებლის ბაანგარიშების შესწავლა
ინოვაციური მეთოდებით**

ქიმიის სფეროში სპეციალისტთა მომზადების გარკვეული მიმართულებები ჩამოყალიბდა. შეიცვალა მოთხოვნილება ქიმიკოსის კომპეტენციებთან მიმართებაში. მეტი როლი ენიჭება ინფორმაციის მოპოვების, გადამუშავების, ანალიზის, კომუნიკაციის, მომიჯნავე მეცნიერებათა სექტორის ცოდნის უნარს. საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებასთან ერთად გაჩნდა ახალი სფეროები და მოთხოვნილება ქიმიკოსის კვალიფიკაციაზე. ქიმიაში განათლების პროგრამების შემუშავების ამოცანას წარმოადგენს იმ ადამიანთა პროფესიონალური განათლება და მომზადება, რომლებიც პასუხობენ საზოგადოების დაკვეთას (მანჯგალაძე, მახარაძე, ჩიჩუა, 1991:7).

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს ქიმიის სწავლების ახალი მეთოდების დაწერვას, მოდულური ტექნოლოგიების, ინოვაციური მიდგომების შემუშავებას. განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებმა განაპირობეს დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების გაუმჯობესების აუცილებლობა, მეცნიერული სიახლეებისა და ინდუსტრიასთან კავშირის გაცნობა, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის გააქტიურება, რაც გულისხმობს სალექციო მასალის ჩანაწერების გაკეთებას, შესაბამისი ლიტერატურის მოძიებასა და შესწავლას, ამოცანების ამოხსნას, ლაბორატორიული სამუშაოების, საშინაო დავალებების შესრულებას, ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავებას, ცხრილების შედგენასა და შევსებას, მზადებას ტესტური გამოკითხვის, სემინარული მეცადინეობებისა და საკონტროლო სამუშაოებისათვის, რეფერატების დაწერას, პრეზენტაციას. ზემოაღნიშნულის მისაღწევად საჭიროა ახალი სტრატეგიების დიება ქიმიის სწავლების პროცესში (<http://www.nanojournal.ru>, <http://www.nanonewsnet.ru>).

ახალი მიდგომის რეალიზების საფუძველს შეადგენს მოდულური სწავლების პრინციპი, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის საშუალებას აძლევს თითოეულ სტუდენტს დამოუკიდებლად მიაღწიოს სასწავლო-შემეცნებითი მოღვაწეობის კონკრეტულ მიზანს. ამ თვალსაზრისით განვიხილავთ წყალბადის მაჩვენებლის გაანგარიშების შესწავლის საკვანძო ეტაპებს. ლექციის მსვლელობის პროცესში აუდიტორიის მოტივირებისა და სტიმულირების მიზნით, აქცენტი გაკეთებულია თემის შესწავლის აქტუალობასა და მომავალ პროფესიაში მისი გამოყენების აუცილებლობაზე.

პრობლემის მნიშვნელობას ის ფაქტი განაპირობებს, რომ ადამიანის ორგანიზმში შინაგანი გარემოს მუდმივობის შენარჩუნება, უპირველეს ყოვლისა, უჯრედებსა და ბიოლოგიურ სითხეებში წყალბადიონთა კონცენტრაციის სტაბილურობას გულისხმობს, რადგან ბიომოლეკულების სტრუქტურის მუდმივობა და ბიოლოგიური აქტივობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გარემოს pH-ზე. ორგანიზმში pH-ის სიდიდის მეთავეით ცვლილებამაც კი შეიძლება სიცოცხლესთან შეუთავსებელი

ბელი დარღვევები გამოიწვიოს. კლინიკურ პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ბიოლოგიურ სითხეში (სისხლი, შარდი და სხვა) წყალბადიონთა კონცენტრაციის განსაზღვრას, რადგან რიგი დაავადების დროს – შაქრიანი დიაბეტი, გულის იშემიური დაავადება – მისი ცვლილება დაავადების გართულების მაჩვენებელია (გაბრიჩიძე, არზიანი, 2003).

მჟავები, სხვა ნაერთებთან ერთად, დიდ როლს ასრულებენ ფიზიკურ-ქიმიურ, ბიოლოგიურ, ტექნოლოგიურ პროცესებში. მჟავას pH-ის განსაზღვრის ასათვისებლად მასალას განვიხილავთ ეტაპობრივად, ვცდილობთ ყოველი თემა დავაკავშიროთ მისი ჩამოყალიბების ისტორიულ ასპექტთან, რათა სტუდენტებს საშუალება მიეცეთ შეაფასონ თანამედროვე ცნებების ჩამოყალიბების თანმიმდევრობა.

I ეტაპი – მოკლე ისტორიული ექსკურსი – მჟავათა კონცეფციები. ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია იმ თეორიული მასალის ცოდნა, რომელიც განსაზღვრავს მჟავას როლს წონასწორულ პროცესებში. სალექციო მასალა ლოგიკური თანმიმდევრობით უნდა იყოს ორგანიზებული (მარტივიდან რთულისაკენ) და ადვილად გასაგები აუდიტორიისათვის. 300 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქიმიაში დამკვიდრდა ტერმინი „მჟავა“, მაგრამ ჯერ კიდევ არაა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული, თუ რომელი ნაერთები მიეკუთვნებიან მას. შესაბამისად, არ არსებობს ყველასათვის მისაღები სრულყოფილი განმარტება (მანჯგალაძე, მახარაძე, ჩიჩუა, 1991). განვიხილავთ სხვადასხვა ეპოქის ცნობილ მეცნიერთა მიერ მოწოდებულ მჟავათა განმარტებებს, რომელთა თანახმადაც, მჟავა არის ნივთიერება:

- რომელსაც აქვს დამახასიათებელი მჟავე გემო და წითლად აფერადებს ღურჯ ლაკმუსს (ინგლისელი ფიზიკო-ქიმიკოსი რობერტ ბოილი, 1663);
- რომელსაც აქვს დამახასიათებელი მჟავე გემო, წითლად აფერადებს ღურჯ ლაკმუსს და ცარცთან ურთიერთქმედებისას გამოყოფს ბუშტუკებს (ამერიკელი ფიზიკო-ქიმიკოსი უ. ლუისი, 1746);
- რომლის შემადგენლობაში აუცილებლად შედის ელემენტი ჟანგბადი (ინგლისელი ფიზიკო-ქიმიკოსი ლავუაზიე, 1778);
- რომლის შემადგენლობაში აუცილებლად შედის ელემენტი წყალბადი (ინგლისელი ფიზიკო-ქიმიკოსი დევი, ფრანგი ფიზიკო-ქიმიკოსი პ. დიულინგი, 1814, 1815);
- რომელიც შეიცავს მეტალით ჩანაცვლების უნარის მქონე წყალბადს (გერმანელი ფიზიკო-ქიმიკოსი ი. ლიბიხი, 1833, 1838);
- რომელიც წყალხსნარში წყალბადის იონის წარმოქმნით დისოცირდება (შვედი ფიზიკო-ქიმიკოსი ს. არენიუსი, 1887);
- რომლის დისოციაციის დროს მიიღება გამხსნელის კატიონის ანალოგიური კატიონი (ამერიკელი მეცნიერი ვ. ფრანკლინი, 1905);
- რომელიც წყლიდან იკავშირებს ჰიდროქსიდის იონს, რითაც ხსნარში ზრდის წყალბადის იონის კონცენტრაციას (შვეიცარიელი მეცნიერი ა. ვერნერი და უნგრელი ქიმიკოსი ი. პფეიფერი, 1907);
- წყალბადშემცველი, რომელიც იჩენს პროტონის გაცემის უნარს, ე.ი. პროტონის დონორია (დანიელი მეცნიერი ნ. ბრენსტედი, ინგლისელი ქიმიკოსი ტ. ლორი, 1923, 1928);
- რომელიც ქიმიური რეაქციის დროს იერთებს ელექტრონს და ელექტრონული წყვილით კოვალენტურ ბმას წარმოქმნის (ამერიკელი ფიზიკო-ქიმიკოსი პ. ლუისი, 1923);
- რომელიც ფუძესთან ურთიერთქმედების დროს მარილს წარმოქმნის და

შეუძლია გასცეს კატიონი (პროტონი) ან შეიერთოს ანიონი (ელექტრონი) (რუსი ფიზიკო-ქიმიკოსი მ. უსანოვიჩი, 1938);

- რომელიც გამსხნელების მოლეკულასთან ურთიერთქმედებისას გადასცემს მას კატიონს – პროტონს (გუტმან-ლინდკვისტი, 1954);

- რომელსაც მჟავასთვის დამახასიათებელი ყველა თვისება აქვს და ფუძესთან ურთიერთქმედების დროს იქცევა ისევე, როგორც მისი ანტიპოდი (რუსი ქიმიკოსი ა. კრეშკოვი, 1967);

- „რბილი მჟავა“ – ნივთიერება ან ნაწილაკი, რომელიც ელექტრონის აქცეპტორს წარმოადგენს და მაღალი პოლარიზების უნარით ხასიათდება.

- „ხისტი მჟავა“ – ელექტროაქცეპტორული ნაწილაკი, რომელიც პოლარიზების დაბალი უნარით გამოირჩევა.

თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ ქიმიის სასწავლო კურსებში მჟავების და ფუძეების კლასიკური განმარტება მოცემულია შვედი ქიმიკოსის სვანტე არენიუსის მიერ მოწოდებულ ელექტროლიტური დისოციაციის თეორიაში, რომლის განსაკუთრებული მნიშვნელობის აღიარებისათვის 1903 წელს მას მიენიჭა ნობელის პრემია. ამ თეორიის მიხედვით, მჟავა ეწოდება ნივთიერებას, რომელიც წყალში დისოციაციისას იძლევა წყალბადიონებს (1887). მიუხედავად ნაკლოვანი მხარეებისა, წყალხსნარებში წყალბადიონთა კონცენტრაციის განსაზღვრის არენიუსისეული მეთოდური ხერხებით დღემდე სარგებლობენ ქიმიაში (მანჯგალაძე, მახარაძე, ჩიჩუა, 1991). 1909 წელს დანიელმა ქიმიკოსმა სორენსენმა შემოიღო **pH** – წყალბადის მაჩვენებლის ცნება (**potentio Hydrogenium** – წყალბადის ძალა) **pH = -lg[H⁺]**.

II ეტაპი – წყალბადიონთა კონცენტრაციისა და pH-ის გაანგარიშების მეთოდების შესწავლა

- სუსტ ერთფუძიან მჟავებში;
- სუსტ პოლიპროტონულ მჟავებში;
- ძლიერ მჟავებში;
- ორფუძიან მჟავებში;
- სამფუძიან მჟავებში.

როგორ მოვახერხოთ, რომ სტუდენტებმა ეფექტურად აითვისონ ცოდნა? ცოდნის ათვისების სამი ფაზაა – **კოგნიტური, შეთვისების, ავტომატიზაციის**. ძალზე მნიშვნელოვანია ცოდნის ათვისების თითოეულ ეტაპზე შესაბამისი მასალის და მეთოდების ზუსტი გამოყენება. **კოგნიტურ ფაზაზე ხდება** ინფორმაციის გააზრება, გადამუშავება, დასკვნის გაკეთება, ყურადღების კონცენტრაცია. საჭიროა სერიოზული ძალისხმევა ასათვისებელი მასალის წვდომისათვის. მაგალითისათვის მოტანილია სუსტი ერთპროტონული მჟავების ხსნარების წყალბადიონის კონცენტრაციისა და pH-ის გაანგარიშება. ამ მიზნით, წყალხსნარში სუსტი მჟავას დისოციაციას განვიხილავთ მოქმედ მასათა კანონის საფუძველზე და მჟავას დისოციაციის კონსტანტას გამოვსახავთ მათემატიკურად: $HA \rightleftharpoons H^+ + A^-$. $K_A = \frac{[H^+] \cdot [A^-]}{[HA]}$

ერთფუძიანი მჟავებისათვის წყალბადის იონის კონცენტრაცია ტოლია წარმოქმნილი მჟავას ანიონის კონცენტრაციის:

$$[H^+] = [A^-].$$

არაიონიზირებული მოლეკულის HA ნაშთი ტოლია მჟავას საერთო კონცენტრაციის და წყალბადის იონის კონცენტრაციის სხვაობის:

$$[HA] = C_{HA} - [H^+]$$

$$K_A = \frac{[H^+]^2}{C_{HA} - [H^+]}; \quad H^+ = \sqrt{K_A \cdot (C_{HA} - [H^+])};$$

$$[H^+]^2 + K_{HA}[H^+] - K_{HA} \cdot C_{HA} = 0;$$

$$[H^+] = \frac{-K_{HA} \pm \sqrt{K_{HA}^2 + 4K_{HA} \cdot C_{HA}}}{2},$$

თუ $\alpha < 0,03$, მაშინ სუსტად დისოცირებული მჟავასათვის წყალბადის იონის კონცენტრაცია C_{HA} -ის კონცენტრაციასთან შედარებით იმდენად მცირეა, რომ შესაძლებელია მისი უგულებელყოფა და $[HA] = C_{HA}$;

$K_A = \frac{[H^+]^2}{C_{HA}}$ ტოლობა დებულობს შემდეგ სახეს:

$$[H^+] = \sqrt{K_{HA} \cdot C_{HA}}.$$

ამ ტოლობის გალოგარითმებით უარყოფითი ნიშნით, მიიღება:

$$-\lg[H^+] = -\frac{1}{2} \lg K_{HA} - \frac{1}{2} \lg C_{HA}; \quad \text{ვინაიდან } pK_{HA} = -\lg K_{HA},$$

$$pH = -\frac{1}{2} \lg K_{HA} - \frac{1}{2} \lg C_{HA}.$$

მჟავების pH-ის გამოსათვლელი შეჯამებული ფორმულები იძლევა კარგად ცნობილი თეორიული მასალის თავიდან გააზრების და ხელახლა დანახვის, ახლის აღმოჩენის საშუალებას. **შეთვისების ფაზაზე ხდება** შეცდომების გამოვლენა-აღმოჩენა და კომპეტენციის ზრდასთან ერთად მათი გამოსწორება. ამ ეტაპზე არ უნდა მიეწოდოს სტუდენტებს ბევრი, კომპლექსური, ახალი ინფორმაცია. მათ ეძლევათ დამოუკიდებელი სამუშაოები. ისინი ავსებენ ცხრილებს, იყენებენ მოცემულ ფორმულებს კონკრეტულ ამოცანებში და ა.შ. (გაბრიჩიძე, არზიანი, 2003:6).

მჟავების წყალხსნარებში $[H^+]$ და $[OH^-]$ -ის გასაანგარიშებელი ფორმულები

| ელექტროლიტი | $[H^+]$ | $[OH^-]$ |
|--------------|------------------------------|--------------------------------------------------------------|
| წყალი | $[H^+] = \sqrt{K_w}$ | $[OH^-] = \sqrt{K_w}$ |
| ძლიერი მჟავა | C_{HA} | $\frac{K_w}{[H^+]} = \frac{K_w}{C_{HA}}$ |
| სუსტი მჟავა | $\sqrt{K_{HA} \cdot C_{HA}}$ | $\frac{K_w}{[H^+]} = \frac{K_w}{\sqrt{K_{HA} \cdot C_{HA}}}$ |

მჟავების pH-ის გამოსათვლელი ფორმულები

| ელექტროლიტი | ფორმულა |
|---------------------------|------------------------------------------------------|
| ძლიერი მჟავა | $pH = -\lg C_{HA}$ |
| სუსტი ერთფუძიანი მჟავა | $pH = -\frac{1}{2} pK_{HA} - \frac{1}{2} \lg C_{HA}$ |
| სუსტი პოლიპროტონული მჟავა | $pH = \frac{1}{2} pK_1 - \frac{1}{2} \lg C_{HA}$ |
| ორფუძიანი მჟავები | $pH = \frac{1}{2} pK_{A_1} + \frac{1}{2} pK_{A_2}$ |
| სამფუძიანი მჟავები | $pH = \frac{1}{2} pK_2 + \frac{1}{2} pK_3$ |

III ეტაპი – ტესტური დავალებების შესრულება და ამოცანების ამოხსნა

ტესტური დავალებების შესრულება ქიმიის ზოგად საკითხებზე და აღნიშნულ თემაზე თითოეულ სტუდენტს მისცემს საშუალებას დამოუკიდებლად იმუშაოს მოდულური სისტემის შესაბამისად. ტესტი ფართოდ გამოიყენება განათლების ყველა საფეხურზე, როგორც შეფასების ერთ-ერთი ობიექტური და სწრაფი მეთოდი პიროვნული თავისებურებების, ინტელექტის კოეფიციენტის ან ცოდნის დონის შესამოწმებლად.

ამ თემასთან დაკავშირებული ტესტების მაგალითებია:

1. სუსტი ერთფუძიანი მჟავას დისოციაციის ხარისხი 0,2 N ხსნარში ტოლია 0,03. გამოიანგარიშეთ წყალბადის მაჩვენებელი.

ა) 11,78; ბ) 7,98; გ) 9,78; დ) 12,67.

2. იპოვეთ 0,1 N ძმარმჟავას ხსნარის წყალბადის მაჩვენებელი, თუ ცნობილია, რომ $K(CH_3COOH) = 1.76 \cdot 10^{-5}$

ა) 3,46; ბ) 2,87; გ) 4,14; დ) 3,16.

ამოცანების ამოხსნა წარმოადგენს ქიმიის მოდულური სწავლების ერთიანი სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს. იგი დაკავშირებულია შესასწავლ თეორიულ მასალასთან და სისტემატურ ხასიათს ატარებს დამოუკიდებელი მუშაობის ყველა ეტაპზე. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ადრე ათვისებული ცოდნის გადრმავება-განმტკიცებას და იმ აუცილებელი ურთიერთკავშირის დამყარებას, რომელიც მნიშვნელოვანია ქიმიური აზროვნების განვითარებისათვის (ბუნებისმეტყველება..., 2006-2011).

მაგალითისთვის განვიხილოთ ტიპური ამოცანების ამოხსნა.

ამოცანა №1. გამოიანგარიშეთ $[H^+]$, a_{H^+} , pH და p_aH 0,01 N ძმარმჟავას ხსნარისათვის იონთა აქტიურობის კოეფიციენტის გათვალისწინებით, თუ ცნობილია, რომ ძმარმჟავას იონიზაციის კონსტანტა $K_{CH_3COOH} = 1,8 \cdot 10^{-5}$.

| | |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| მოც.: $C_N(\text{CH}_3\text{COOH})=0,01 \text{ N}$ $[\text{H}^+]=?$ $a_{\text{H}^+}=?$ $\text{pH}=?$ $\text{p}_a\text{H}=?$ | საცნობარო ლიტერატურით დადგენილია, რომ 0,01 M მმარ-მჟავას აქტიურობის კოეფიციენტი ტოლია $f_{\text{H}^+}=0,92 \cdot C_N = C_M$. $[\text{H}^+] = \frac{1}{0,92} \sqrt{1,8 \cdot 10^{-5} \cdot 1 \cdot 10^{-2}} = 4,7 \cdot 10^{-4} \text{ მოლი/ლ.}$ |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

$$\text{pH} = -\lg[\text{H}^+] = -\lg 4,7 \cdot 10^{-4} = -(\lg 4,7 + \lg 10^{-4}) = 4 - 0,7 = 3,3.$$

$$a_{\text{H}^+} = \sqrt{1,8 \cdot 10^{-5} \cdot 1 \cdot 10^{-2}} = 4,2 \cdot 10^{-4} \text{ მოლი/ლ.}$$

$$\text{p}_a\text{H} = -\lg a_{\text{H}^+} = -\lg 4,2 \cdot 10^{-4} = -(\lg 4,2 + \lg 10^{-4}) = 4 - 0,6 = 3,4.$$

ამოცანა №2. განსაზღვრეთ 0,01 M მარილმჟავას ხსნარის pH, წყალბადის იონის აქტიურობა ხსნარის იონური ძალის გათვალისწინებით.


ამოხსნა:

მოც.:

$$C_M(\text{HCl})=0,01 \text{ მოლი/ლ}$$

$$\text{pH}(\text{HCl})=? \text{ p}_a\text{H}=?$$

